# ლელო

№221
(12 291)
19 სექტემბერი ოთხშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი
50 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარეკორდო მოსავალი
# ცირეკიძე, ბედინაძე, ნოზაძე!



გუშინ თბილისის აეროპორტში. მსოფლიო ჩემპიონი ირაკლი ცირეკიძე


ვიცე-ჩემპიონი ნესტორ ხერგიანი

ნუგზარ სუარიძის ფოტოები



რამაზ ნოზაძე

ზურაბ ქურციკიძის ფოტო, ბაქოდა

## კიდევ ერთი მსოფლიო ჩემპიონი და ბრინჯაოს მედალი

**ნიკოლოზ ნეფარიძე**
ბაქოდან

გუშინ ქართული სპორტის ოქროს რთველი გაგრძელდა – **დავით ბედინაძის** შემდეგ ანტიკურ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული 96 კილოგრამ წონით კატეგორიაში **რამაზ ნოზაძემ** მოიპოვა. მაშინ, როცა ნოზაძის გამარჯვების აღსანიშნავად დარბაზში საქართველოს დროშა აღიმართა და ჩვენი ქვეყნის ჰიმნი შესრულდა, ვერაფრით მიხვდებოდით, რომ თბილისში სპორტის სასახლეში კი არა ჰეიდარ ალიევის სპორტკომპლექსში იმყოფებოდით - იქ მყოფმა ქართველმა ქომაგებმა საქართველოს ჰიმნი ჩემპიონთან ერთად იმღერეს, რაც მართლაც შესანიშნავ, სადღესასწაულო გარემოს ქმნიდა. გუშინვე ჩვენი დროშა კიდევ ერთხელ აფრიალდა - ბრინჯაოსმედალოსან **ბადრი ხასაია** (84 კგ) საპატივცემულოდ.

11

**მსოფლიო ჩემპიონატებიდან რეპორტაჟების სპონსორია საქართველოს ოლიმპიური ფონდი**

# ილია ზედგინიძე ველარ ითამაშებს
## ნაკრების კაპიტანი კარიერის დასრულებაზე დაფიქრდა

საქართველოს ნაკრების კაპიტანი ილია ზედგინიძე ვერ ითამაშებს მსოფლიო თასის ორ დანარჩენ შეხვედრაში. ზედგინიძემ ირლანდიასთან მატჩში მარჯვენა მუხლი იტკინა და პირველივე ტაიმში შესაცვლელი გახდა. - ასეთი ცნობა გაავრცელეს გუშინ "პლანეტ რაგბიმ" და მსოფლიო თასის ოფიციალურმა ვებგვერდმა.

საქართველოს ნაკრებისა და ფრანგული "ოშის" 31 წლის მეორეხაზელი ამ ტრავმის შემდეგ მოთამაშის კარიერის დასრულებას აპირებს. განაცხადა საქართველოს ნაკრების მედიამეკავშირემ, გიორგი ჭუმბურიძემ.

ილია ზედგინიძეს ნაკრებში დებიუტი 1998 წელს, ირლანდიის წინააღმდეგ ჰქონდა და როგორც ჩანს, ირლანდიასთან მატჩითვე დაასრულა. ამ ხნის განმავლობაში მან 48-ჯერ ითამაშა ეროვნულ გუნდში და 14 ლელო გაიტანა. კაპიტნად 2002 წელს აირჩიეს. ზედგინიძე ორი მსოფლიო თასის მონაწილეა - 2003 და 2007 წელს.

დარჩენილ მატჩებში გუნდის კაპიტნობა ვიცე-კაპიტანმა ირაკლი აბუსერიძემ უნდა გადაიბაროს.




13

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



**დინამო-სიონი**

**3:0**

18.09. თბილისი. ეროვნული
800 მაყურებელი

1:0 ხუციშვილი (53), 2:0 მერებაშვილი (77. სპასოევიჩის პასით), 3:0 აკირემი (90. გ. კაშიას პასით)

დინამო: ოვონო - შ. კაშია (83 გ. კაშია), ზელიჩი, კრშკო, დობეში - დილმელაშვილი (77. ოდიკაძე), ხმალაძე - სპასოევიჩი, ხუციშვილი (67. კობახიძე), მერებაშვილი - აკირემი

სათადარიგოები: ლორია, თომაშვილი, ფეიქრიშვილი, ფირცხალავა

სიონი: სტურუა - ქურასბედიანი, სვანიძე (60. ქარდავა), ბოიომო, ვაშაკიძე - ნადირაძე, ოქროპირიძე - სანიკიძე, ბაჯელიძე (53. გაგუა), კვიტაიშვილი (57. ქუცურუა) - ჩასემი

სათადარიგოები: იაშვილი, ქუთათელაძე, თავბერიძე, მენთესაშვილი

გაფრთხილება: ჩასემი (15), ხუციშვილი (59)

გაძევება: ჩასემი (71)

არბიტრი: ლ. სილაგავა

**7.** ჩასემმა შორეული მახვილი კუთხიდან მეკარისთვის უხერხული ტრაექტორიით დაარტყა, მაგრამ კარს ვერ დაუმიზნა.

**9.** ჯორჯ აკირემის თავური ოდნავ ასცდა ზვიად სტურუას კარს.

**16.** მიხეილ ხუციშვილმა ჩინებულად გადააწოდა ბურთი აკირემს, ვინც პირისპირ შეეყარა მეკარეს, მაგრამ სტურუამ დიდებულად ითამაშა და ბურთი მოიგერია.

**20.** ილია სპასოევიჩმა მარჯვენიდან ჩააწოდა, შორეულ კუთხესთან გიორგი მერებაშვილი ვარდნაში შესწვდა ბურთს, თუმცა არაზუსტად დაარტყა.

**31.** ისევ სპასოევიჩის ფლანგური გარღვევა, კარში კი მერებაშვილმა დაარტყა და კვლავ სტურუამ იყოჩაღა.

**36.** მერებაშვილი ორ მცველს გასცდა, ბურთი აკირემს გადააწოდა, მან სპასოევიჩს დაუგორა და "სიონი" ძელმა იხსნა.

**43.** ჩასემმა ბაჯელიძეს კარგი პასი გაუჭრა, რომლის დარტყმული დიდიე ოვონოს ხელიდან გაუვარდა, მაგრამ დამატებაზე ვერავინ იმარჯვა.

**53.** 1:0. დავით დილმელაშვილის ჩაწოდებულს აკირემმა დაჰკრა თავი, ძელიდან ასხლეტილ ბურთს კი ხუციშვილმა მიუჩინა ადგილი ბადეში.

**54.** ხელსაყრელი პოზიციიდან სპასოევიჩმა ვერ გაასწორა მიზანი.

**69.** სანდრო კობახიძემ ორი მეტოქე გააბითურა, მერე კი ძელს შეაწყვიტა ბურთი.

**72.** "სიონი" კაცნაკლული დარჩა, ჩასემი რომან დობეშს ეუხეშა, მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და გააძევეს.

**73.** მერებაშვილმა ერთხელაც გაანიავა საგოლე მომენტი.

**77.** 2:0. სპასოევიჩის პასით დინამოელთა უპირატესობა მერებაშვილმა გაზარდა.

**90.** 3:0. გურამ კაშიამ მარჯვენიდან ჩააწოდა და აკირემმა თავურით მესამედ დაამწუხრა "სიონი".

# დინამო პირველია

## (აკ)ირემის ნარქენები



"დინამო თბილისმა" II ტურის გამოტოვებული შეხვედრაც მოიგო და ცხრილის კენწეროში მოექცა. გუშინ "დინამომ" მძლავრად ითამაშა და საგოლე მომენტების ნახევარი რომ მაინც გამოეყენებინა, უფრო მეტი გოლით ამოყელავდა ბოლნისის "სიონს".

ბოლნისელებმა ოთხი დღის წინათ შინ "ვიტ ჯორჯიას" 3:1 მოუგეს და ეტყობოდათ, რომ ძალები აღდგენილი არ ჰქონდათ - სისწრაფეში, ჯანსა და გამძლეობაში დიდად ჩამორჩებოდა სხვა კომპონენტებშიც მასზე მაღლა მდგომ მეტოქეს.

**დუშან უჰრინის** გუნდი ამ დროისთვის მართლაც ჩინებულ ფორმაშია და სავსებით ლოგიკურია, ეროვნულ ჩემპიონატს რომ ლიდერობს.

ორივე გუნდმა ფაქტობრივად ერთნაირი განლაგებით ითამაშა, შეიძლება ითქვას, "სიონმა" გამოიცნო მეტოქის ტაქტიკური მონახაზი, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს მაშინ, როცა ერთი გუნდი ფეხზე ძლივს დგას, მეორე კი - დაქშიტინობს.

"სიონი" ათი კაცით იცავდა თავს, თავდასხმაში ეულად მყოფი ჩასემი კი აქტიური იყო, რამდენჯერმე მოხდენილად მოიგდო ბურთი და "სიონის" მოფამფალებულ შეტევებს სწორი გაგრძელება გამოუძებნა, თუმცა ამან "დინამოს" დიდად ვერაფერი დააკლო.

"დინამო" უტევდა, "სიონი" თავს იცავდა. გოლი კი **ზვიად სტურუას** კარში არა და არ გადიოდა. უჰრინმა შეტევა მარჯვენა ფლანგზე **დავით ოდიკაძესა** და **გიორგი ფეიქრიშვილს ილია სპასოევიჩი** ანაცვალა, მარცხენა ფლანგი კი **გიორგი მერებაშვილს** გადაულოცა, ხოლო **სანდრო კობახიძე** მხოლოდ შეცვლაზე ათამაშა. "დინამოს" სხვაზე მეტი და ხარისხიანი რესურსი აქვს და თუ ამ უპირატესობას უჰრინი სეზონის ბოლომდე წარმატებით გამოიყენებს, მისი გუნდის შეჩერება ძალიან ძნელი იქნება.

მაგრამ "დინამო" უნაკლო როდია. ამდენი საგოლე მომენტის განიავებას "სიონზე" უკეთესი გუნდი ალბათ არ აპატიებდა.

"სიონი" მაშინ გატყდა, პირველი გოლი რომ გაუშვა, თამაშის შემობრუნება ბოლნისელთა ძალებს აღემატებოდა. სტუმრები კამერუნელმა ჩასემმაც დააღალატა - მისი გაძევების შემდეგ "სიონს" სასწაულის მოხდენის შანსიც წაერთვა.

ექვსი ლეგიონერით მოთამაშე "დინამომ" სოლიდური სამი ქულა მიითვალა და 6 ოქტომბრამდე ისეთი მატჩები ელის, ქულებს ალბათ არ დაკარგავს - მერე კი მეტად პრინციპული შეხვედრა აქვს თბილისის "ამერთან".

**მატჩის შემდეგ**

**გიორგი ყიფშიძე (სიონი):** *"დინამომ" ღირსეულად გაიმარჯვა. ოთხი დღის წინათ მძიმე თამაში გვქონდა "ვიტ ჯორჯიასთან" და ეს ჩვენ გუნდზე აისახა - ფეხბურთელებმა დავალების შესრულება მხოლოდ პირველ ტაიმში მოახერხეს. ჩასემის გაძევების შემდეგ კი ათი კაცით დავრჩით და რაღა უნდა გვექნა..."*

**დუშან უჰრინი (დინამო):** *"რთული თამაში იყო. "ვიტ ჯორჯიასთან" გამარჯვებამ "სიონს" თავდაჯერებულობა შემატა. მეტოქემ წინა ტურის შემდეგ ჩვენზე ერთი დღით მეტი დაისვენა. პრობლემა შეგვექმნა საგოლე მომენტების გამოყენებაში. სპასოევიჩი კი იმიტომ დავაყენეთ სასტარტოში ფეიქრიშვილის ნაცვლად, რომ ბოლო თამაშში შეცვლაზე შეგვყავდა და გოლები გაჰქონდა. ასეთ მოთამაშეს თავის გამოჩენის მეტი შანსი უნდა მივცეთ და სპასოევიჩმაც დღეს კარგად ითამაშა".*

**რჩეული**

**ჯორჯ აკირემი**

აკირემი გუშინ ისეთი თავდამსხმელი იყო, რომელიც მართლაც თავს ესხმოდა მეტოქეს, მუდმივ დაძაბულობაში ამყოფებდა "სიონის" მცველებს და მათ რზევასაც წერტილი მან დაუსვა.

დავით **თავართქილაძე**

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 5 | 5 | 0 | 0 | 13-1 | 15 |
| 2. ზესტაფონი | 5 | 4 | 1 | 0 | 12-2 | 13 |
| 3. მესხეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 6-4 | 10 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 5 | 3 | 1 | 1 | 6-5 | 10 |
| 5. მგლები | 5 | 3 | 0 | 2 | 4-3 | 9 |
| 6. ბორჯომი | 5 | 2 | 2 | 1 | 6-3 | 8 |
| 7. სიონი | 5 | 2 | 1 | 2 | 5-7 | 7 |
| 8. ოლიმპი | 5 | 2 | 1 | 2 | 3-4 | 7 |
| 9. ამერი | 5 | 2 | 0 | 3 | 6-8 | 6 |
| 10. სპარტაკი | 5 | 1 | 2 | 2 | 2-6 | 5 |
| 11. დილა | 5 | 1 | 0 | 4 | 4-8 | 3 |
| 12. მერანი | 5 | 1 | 0 | 4 | 2-7 | 3 |
| 13. ლოკომოტივი | 5 | 1 | 0 | 4 | 4-11 | 3 |
| 14. ბათუმი | 5 | 0 | 1 | 4 | 2-6 | 1 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ვიეირა (ზესტაფონი) | 3 |
| კაიდარაშვილი (მესხეთი) | 3 |
| იონანიძე (ზესტაფონი) | 3 |
| გ. ნოდ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 3 |
| სპასოევიჩი (დინამო) | 3 |
| შ. ჯიქია (ბორჯომი) | 3 |
| აკირემი (დინამო) | 3 |
| ტატანაშვილი (ამერი) | 2 |
| გ. ჩიტაია (დილა) | 2 |
| სახოკია (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| რ. ჯიქია (ოლიმპი) | 2 |
| ჩასემი (სიონი) | 2 |
| გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 2 |

**მომდევნო ტური**

**22 სექტემბერი. შაბათი**

| | |
|---|---|
| 16:00 | ლოკომოტივი-დილა |
| 16:00 | ბათუმი-ცხინვალი |
| 16:00 | ზესტაფონი-ოლიმპი |

**23 სექტემბერი. კვირა**

| | |
|---|---|
| 16:00 | მესხეთი-სიონი |
| 16:00 | ვიტ ჯორჯია-ბორჯომი |
| 16:00 | ამერი-მერანი |
| 16:00 | მგლები-დინამო |

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკეთ, შემოგვიარეთ, ჩაერთეთ!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს XVIII

ჯგუფური რაუნდი. I ტური

დავით ყიფიანის სახელობის თასის ყაზბეგის გათამაშება

www.pfl.ge

**I ჯგუფი**

**ამერი-ტორპედო**

**6:1**

01.05. თბილისი. ამერი
300 მაყურებელი

1:0 დობროვოლსკი (16), 2:0 ცხადაძე (18.), 3:0 დავითაშვილი (21), 4:0 ცხადაძე (24), 5:0 ალავიძე (27), 5:1 ხარებავა (73), 6:1 დობროვოლსკი (90)

ამერი: ნადირაშვილი, ელბაქიძე, მესხი, კაკაშვილი, კობაური (30. დიდავა), დობროვოლსკი, ჯელაძე (39. დეკანოსიძე), ჩიკვილაძე (46. შალამბერიძე), ალავიძე, დავითაშვილი, ცხადაძე,

*სათადარიგოები: ქვაჩახია, ტატანაშვილი, დოლიძე, გოცირიძე.*

ტორპედო: ბზიკაძე, გაბუნია, ხარებავა, ვაჩიბერაძე, ხინგავა (გვიჩია 46), კირკიტაძე, შავგულიძე, ჭანკვეტაძე, გოდერიძე (64. ჭყონია), ჯოხაძე, მდივნიშვილი (30. დანელია)

*სათადარიგოები: ბერეკაშვილი, მეტონიძე*

გაფრთხილება: ხარებავა (31)

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

# ამერმა ტორპედოზე გაივარჯიშა

გუშინ საქართველოს თასის ჯგუფური ეტაპი დაიწყო. გამართულ მატჩებს შორის ყველაზე უხვგოლიანი "ამერისა" და "ტორპედოს" შეხვედრა გამოდგა. გლდანში მაყურებელმა ჯამში შვიდი გოლი იხილა, აქედან ექვსი ტორპედოელთა კარში. მთელ პირველ ტაიმს ფეხბურთელები ცალკარას თამაშობდნენ და სწორედ პირველ 45 წუთში გაიტანეს ამერელებმა ხუთი გოლი.

ანგარიშიდან გამომდინარე ცხადია, რომ თამაშს მთლიანად მასპინძლები აკონტროლებდნენ და იმას აკეთებდნენ, რასაც მოისურვებდნენ. მრავალსვლიანი კომბინაციები ხშირად არაზუსტი დარტყმებით მთავრდებოდა, თორემ ვინ იცის რა ანგარიში დაფიქსირდებოდა.

პირველ გოლამდე **დავითაშვილი** და **ალავიძე** დაემუქრნენ სტუმართა კარს. მეთოთხმეტე წუთზე კი ალავიძის წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმა **დობროვოლსკიმ** აქცია გოლად - ძლიერად დაარტყმული ბურთი **ბზიკაძემ** ხელში ვერ შეიმაგრა. რამოდენიმე წუთში ალავიძის ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი **ცხადაძემ** თავით გადაგზავნა მეტოქის კარში. ორ წუთში თანაგუნდელებს მხარი **დავითაშვილმა** აუბა. ალავიძის აქტიურობას მალევე შეეძლო მეოთხე გოლის მოტანა, მაგრამ მან ჯერ დავითაშვილის პასი ვერ გამოიყენა, შემდეგ კი უკვე მისი პასი ვერ შეირგო **კაკაშვილმა.** ეს ყველაფერი ძალიან მოკლე დროში მოხდა, რაკილა მესამე გოლიდან სამ წუთში ცხადაძემ დუბლის შესრულება მოახერხა. ტაიმის ბოლომდე "ამერმა" ერთხელაც გაიხარა - დავითაშვილის კარგი პასი ალავიძემ ალარ გააცუდა და მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ანგარიში გამანადგურებელი გახადა.

გაბრაზებულმა ქუთაისელებმა უხეშობას უმატეს, რის გამოც **ხარებავამ** ყვითელი ბარათიც მიილო. 30-ე წუთზე კი **კობაური** გახდა შესაცვლელი ტრავმის გამო.

მეორე ნახევარი სულ რალაც ხუთი წუთის დაწყებული იქნებოდა, როდესაც მოედნის ცენტრში ცხადაძე ისე მოჩეხეს, მოედნიდან გასაყვანი გახდა. ვინაიდან **გიორგი ჩიხრაძეს** სამივე ცვლილების უფლება გამოყენებული ჰქონდა, დარჩენილი ორმოცი წუთი "ამერს" კაცნაკლულს მოუწია თამაში. ამან "ტორპედოს" თამაშის მცირედით გამოსწორების საშუალება მისცა და პრესტიჟის გოლი გაატანინა - ხარებავას დარტყმული ჯარიმა ძლიერი და რაც მთავარია ზუსტი გამოდგა.

ეს იყო და ეს ამის მეტი სტუმრებს დასამახსოვრებელი არაფერი გაუკეთებიათ. "ამერმა" კი მეექვსეც გაიტანა - შორეული ლამაზი დარტყმით დობროვოლსკიმ დააფიქსირა საბოლოო ანგარიში.

**ავთანდილ ცეცხლაძე**

| **სხვა მატჩები** | |
|---|---|
| მესხეთი-სპარტაკი | 1:0 |
| **II ჯგუფი** | |
| ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი | 3:0 |
| დინამო-მაღაროელი | |
| *26 სექტემბერს გაიმართება* | |
| **III ჯგუფი** | |
| ოლიმპი-მერანი | 0:2 |
| ბორჯომი-ბათუმი | 2:0 |
| **IV ჯგუფი** | |
| ზესტაფონი-კახეთი | 4:0 |
| მგლები-დილა | 1:1 |

U17. ამხანაგური მატჩი

# პორტუგალიას პირველი მოვუგეთ



ჰერბერტ ცანკერი

**პორტუგალია-საქართველო 1:2**

0:1 კაკუშაძე (40. გუგუჩიას პასით), 0:2 რაფავა (71. კაჭახიძის პასით), 1:2 ნანდინიო (80)

საქართველო: ნიორაძე, რიგვავა (კაპ.), მირცხულავა, კაკუშაძე, რობაქიძე, გუგუჩია (68. რაფავა), მელიქიშვილი (30. შონია), გურეშიძე (60. გორდეზიანი), შეყილაძე, ანანიძე, მუმლაძე (50. კაჭახიძე).

არბიტრი: ჟორჟ კაპელა (პორტუგალია)

ევროპის ჩემპიონატის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის ჯგუფური რაუნდის დაწყებამდე ჩვენი 17-წლამდელები პორტუგალიაში გადიან მზადებას. **ჰერბერტ ცანკერის** კრებულს პორტუგალიელ თანატოლებთან ორი ამხანაგური მატჩი ჰქონდა დაგეგმილი, რომელთაგან ერთი გუშინ გამართა. შეხვედრა ჩვენი გუნდის გამარჯვებით დასრულდა.

ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, კარტახაში ჩატარებული მატჩი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. თამაშის სტარტზე მასპინძლები აქტიურობდნენ, მაგრამ ქართველები მალე გამოფხიზლდნენ და თამაშის გაკონტროლებაც შეძლეს. ტაიმის შუაწელს ქართველები თამაშის სადავეებს დაეუფლნენ და პირველი ნახევრის მიწურულს ანგარიშიც გახსნეს. ეს მანამდეც იყო შესაძლებელი - 35-ე წუთზე მეკარესთან პირისპირ გასულმა **ჯანო ანანიძემ** გოლკიპერს ბურთი თავზე კი გადაუგდო, მაგრამ პორტუგალიელთა კარის ხარიხას გაარტყა. მე-40 წუთზე კი **ლუკა გუგუჩიას** მიერ კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი, **თორნიკე კაკუშაძემ** თავით კარში გადაგზავნა.

ქართველებმა მეორე ტაიმშიც მონდომებით ითამაშეს და 71-ე წუთზე ანგარიში ორამდე გაზარდეს. ამჯერად საგოლე პასის ავტორად შეცვლაზე შესული **ერეკლე კაჭახიძე** მოგვევლინა. მისი პასით მერე გოლი **დავით რაფავამ** გაიტანა – 0:2.

სახიფათო მომენტები ჩვენს კართანაც შეიქმნა. თუმცა **თორნიკე ნიორაძემ** ორი "მკვდარი ბურთი" აილო. მან პორტუგალიელთა გუნდის ლიდერი **ევანდრო,** რომელიც "მანჩესტერი იუნაიტედის" ბავშვთა გუნდში ირიცხება, ორჯერ გაანბილა.

პორტუგალიელებმა ანგარიშის მინიმუმამდე შემცირება თამაშის მიწურულს, არბიტრის მიერ დამატებულ დროში შეძლეს.

*"ჩემმა ბიჭებმა დავალება ზუსტად შეასრულეს, თავდადებით იბრძოლეს და შედეგიც სახეზეა. სასიხარულოა, რომ ჩვენ ზუსტად იმ ნაკრებს მოვუგეთ, რომელთანაც გაზაფხულზე საერთაშორისო ტურნირზე 0:5 წავაგეთ. ასე რომ, გუნდის პროგრესი აშკარაა. ეს კი ეროვნული გუნდის თავკაც კლაუს ტოპმიოლერის დამსახურებაცაა. მისი აქ ჩამოსვლა ფეხბურთელებისთვის დიდი მუხტი და სტიმული გახლდათ. ვფიქრობ, საქართველოში დღეისათვის უძლიერესი შემადგენლობა შევკრიბეთ და კონტინგენტის შერჩევისას არ შევმცდარვართ. ვიმედოვნებ, რომ ევროპის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზეც წარმატებით ვიასპარეზებთ"*, - მატჩის შემდეგ აღნიშნა 17-წლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჰერბერტ ცანკერმა.

**კლაუს ტოპმიოლერი** გუშინწინ შეუერთდა ჭაბუკთა ნაკრებს და ჰერბერტ ცანკერთან ერთად ვარჯიშებიც ჩაატარა. ეროვნული ნაკრების მწვრთნელის გამოჩენამ ფეხბურთელებზე დადებითად იმოქმედა. კლაუს ტოპმიოლერმა გუშინდელ მატჩში რამდენიმე მოთამაშე გამოარჩია:

*"ძალიან კარგი ბიჭები არიან, მათთან მუშაობა სასიამოვნოა. რაც მთავარია, ისინი სწავლას მოწყურებულები არიან და მატჩში ყველა ის მითითება შეასრულეს, რომელიც თამაშამდე მე და ჰერბერტ ცანკერმა მივეცით. მცველებს, მირცხულავასა და კაკუშაძეს გამოვყოფდი, რომლებიც რამდენიმე წელიწადში ძლიერ ფეხბურთელებად უნდა ჩამოყალიბდნენ".*

ჩვენი 17-წლამდელები პორტუგალიელ ჭაბუკებთან მეორე ამხანაგურ მატჩს ხვალ, 20 სექტემბერს სანტარემში ჩაატარებენ. თამაში თბილისის დროით 14 საათზე დაიწყება.

**დავით ცაბაძე**



შოთა არველაძე

# შოთა არველაძე: კონტრაქტის გასაგრძელებლად აუცილებლად შედეგი უნდა გაითვალისწინონ

## რატომ უჭირს საქართველოს ნაკრებს

**საამსეზონოდ "ალკმაარიდან" "ლევანტეში" გადასულმა შოთა არველაძემ მარჯვენა მუხლზე ზედიზედ ორი ოპერაცია რომ გაიკეთა, ადრეც გაუწყეთ. 34 წლის არველაძე სავარაუდოდ ნოემბრიდან შეძლებს სრული დატვირთვით ვარჯიშს.**

**შოთამ სანაკრებო კარიერა ასეთი მონაგარით დაასრულა - 61 თამაში, 26 გოლი და ჩვენს ეროვნულ გუნდზე მართლაც ეთქმის სიტყვა. მას ჯერ ჯანმრთელობაზე დავეკითხეთ და მერე ნაკრებზე ჩამოვუგდეთ სიტყვა.**

- ორი ყავარჯნით დავდივარ. თუმცა უკეთ ვარ, მუხლი ალარ მისივდება.

**- საქართველო-უკრაინას ტელევიზიით უყურე, თუმცა ნაწილობრივი, არასრული წარმოდგენა მაინც შეგექმნებოდა ამ მატჩზე...**

- ძნელია ტელევიზორში ნანახით იმსჯელო, თუმცა რაც ვნახე, იმით უკმაყოფილო დავრჩი და ალბათ მხოლოდ მე არ დამრჩა ასეთი შთაბეჭდილება. გარედან ყურება და განსჯა იოლია, თამაშში კი - რთული.

**- პოზიტიური რა დაინახე ნაკრების თამაშში?**

- მომეწონა, რომ ვაგებდით და გამთანაბრებელი გოლი გავიტანეთ. არ მომეწონა 1:1-ის შემდეგ დრო რომ გაგვყავდა, მეტოქე დაბნეული იყო და შეგვეძლო, მივწოლოდით. კიდევ რალაცრალაცები არ მომეწონა, მეტს ველოდი რამდენიმე ფეხბურთელისგანაც.

**- საქმეს ისეთი პირი უჩანს, კლაუს ტოპმიოლერს ფეხბურთის ფედერაცია კონტრაქტს გაუგრძელებს. როგორ ფიქრობ, კონტრაქტის გაგრძელება პირველ რიგში ამ შესარჩევში ნაჩვენებ შედეგებზე არ უნდა იყოს დამოკიდებული?**

- კონტრაქტის გაგრძელება აუცილებლად უნდა იყოს დამოკიდებული შედეგზე. თუ ტოპმიოლერს კონტრაქტს გაუგრძელებენ, ის უფრო წინ იქნება იმაზე, ვინც მის მაგივრად მოვა მასთან კონტრაქტის არგაგრძელების შემთხვევაში, რადგან ტოპმიოლერს უკვე ბევრი ინფორმაცია აქვს საქართველოს ნაკრებზე. მეორე მხრივ, მჯობნის მჯობნი არ დაილევა და თუ ტოპმიოლერზე უკეთესს მოიყვანენ, შეგვიძლია დავფიქრდეთ.

**- ვკეთესი რა კრიტერიუმით უნდა შეირჩეს, მხოლოდ CV-ით?**

- ლოგიკური კითხვაა, მხოლოდ CV-ით ვერ შეატყობ, უფრო რომელი მწვრთნელი გამოგადგება, მთავარია, საქმეს კომპლექსურად მივუდგეთ. ერთი პერიოდი ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები ეროვნულის ტაქტიკური მოდელით თამაშობდა, მაგრამ მერე ასე ალარ გააგრძელა. ტოპმიოლერიც ხშირად ცვლის ეროვნული ნაკრების ტაქტიკურ სისტემას, რაც ჩემი აზრით, არასწორია, მაგრამ გასათვალისწინებელია ფეხბურთელთა ტრავმები და დისკვალიფიკაციებიც. კარგი იქნება, თუ რამდენიმე ქართული გუნდი ეროვნული ნაკრების ტაქტიკურ მოდელს აირჩევს.

**- ნაკრების მთავარ პრობლემას იმაში ხედავ, რომ ასაკობრივი ნაკრებები და ეროვნული ჩემპიონატის მოწინავე გუნდები ეროვნულ ნაკრების ტაქტიკური სქემით არ თამაშობენ?**

- ჩემი აზრით, ქართულმა გუნდებმა ნაკრების ტაქტიკური სქემით იმიტომ უნდა ითამაშონ, რომ ამ გუნდებიდან ადვილი იყოს ფეხბურთელების აყვანა ნაკრებში. ფეხბურთელმა უნდა იცოდეს, რა პოზიციაზე მოუწევს თამაში. ადრე ასე იყო - გიო მოატყუე კაცი, შოთიკო შეაგდე გოლი - და ამიტომაც ვართ ახლა ასეთ დღეში. ქართულ გუნდებს ევროსარბიელზე კიდევ 5-6 წელი პერსპექტივა არ ექნებათ, მაგრამ თუ ერთიან სისტემაში მოექცევიან ნაკრებთან ერთად, ამით კარგი საქმე გაკეთდება. ფეხბურთი წინ წავიდა. უკვე ჩვენზე ნაკლები შესაძლებლობების გუნდებთანაც ვაგებთ. ლიტვას ადრე 4:0 ვუგებდით, რადგან მაშინ ნიჭით გავდიოდით ფონს, ახლა კი ფეხბურთის სწორად თამაში ყველამ ისწავლა და ნიჭი არ აღმოჩნდა საკმარისი, ლიტვასთან არწასაგებად. ფეხბურთი წინ მიდის, საქართველოში, რუსეთსა და უკრაინაში მოთამაშე ფეხბურთელებს კი სათანადო ტაქტიკური მომზადება ძალიან აკლიათ და ნაკრებსაც ამიტომ უჭირს...

**დავით თავართქილაძე**

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

www.pfl.ge

თვალსაზრისი

# აზერბაიჯანში ყველაზე მეტი ლეგიონერი საქართველოდანაა

## რატომ გარბიან ქართველი ფეხბურთელები უცხოეთში?



ფეხბურთი პასს სახელმწიფოსგან ელის

აზერბაიჯანულმა "ექომ" სტატია მიუძღვნა ქვეყანაში მოთამაშე ლეგიონერებს, რომელშიც რაღა თქმა უნდა ქართველებზეც იყო საუბარი. თურმე, ჩვენს მეზობელ ქვეყანაში ყველაზე მეტი ფეხბურთელი საქართველოდანაა.

აზერბაიჯანში პირველი უცხოელი 1994 წელს გამოჩნდა - თურქი **მუსტაფა ხეირი**. მართალია, მან "ინშაატი" დიდად ვერ ახეირა, მაგრამ ლეგიონერებზე აზერბაიჯანელებს უარი არ უთქვამთ. ბუმი უცხოელებზე **ილჰამ ალიევის** პრეზიდენტობის პერიოდში დაიწყო. ქვეყნის ახალგაზრდა მმართველმა ბიზნესმენებს პირდაპირ დაავალა ფეხბურთისთვის მიეხედათ და ისინიც ბოლო სამი წელიწადია ისეთ ტრანსფერებს ახორციელებენ, ბევრს რომ შეშურდება. დროის სვლასთან ერთად, უფრო და უფრო სახელოვანი მოთამაშეები ჩაჰყავთ. თამაშობენ ქართველები, სერბები, ხორვატები, ჩეხები, ბულგარელები, ბრაზილიელები, არგენტინელები, რუსები და თქვენ წარმოიდგინეთ, ფრანგები და ბელგიელებიც. არის რამდენიმე კოლორიტიც, მაგალითად თურქეთის, ნიგერიისა და უკრაინის ნაკრებებში ნათანაშები ვეტერანები. დიდი ფულის გამო, ისინი ჩემპიონატის დაბალ დონეზე თვალს ხუჭავენ.

ყველანი აღიარებენ, რომ აზერბაიჯანში უფრო მაღალი ხელფასებია, ვიდრე ჰოლანდიის, პორტუგალიის, ჩეხეთის, ბელგიის, შვეიცარიის, ავსტრიის, გერმანიის მეორე ბუნდესლიგის ზოგიერთ კლუბში.

სეზონის დასაწყისში აზერბაიჯანის გუნდებმა განაცხადში 23 (?!) ქვეყნის 95 ლეგიონერი შეიყვანეს, რაც ლიგაში მოთამაშეთა 27 პროცენტს შეადგენს. მათი რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდება. ამის მიუხედავად, დღემდე საუკეთესო ბომბარდირობა მხოლოდ ორმა მათგანმა მოიპოვა. ერთ-ერთი **ბადრი კვარაცხელიაა**, რომელმაც თავი 1997-98 წლების სეზონში გამოიჩინა.

აზერბაიჯანში მხოლოდ ერთი ულეგიონერო კლუბია - "აზნ-ბარდუ". მიზეზი ადგილობრივ კადრებზე პრინციპული ორიენტაცია არ გახლავთ, უბრალოდ, უმაღლეს ლიგაში თამაში ბოლოსღა დართეს და უცხოელებით გაძლიერება ვერ მოასწრო.

ყველაზე მეტი ლეგიონერია "ქარვანში" (11), შემდეგ მოდიან "ბაქი" (10) და "ინტერი" (10). რაც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, გამდიდრებულ ლიგაში ყველაზე მეტი ლეგიონერი საქართველოდანაა. "ექოს" ცნობით ლიგაში თოთხმეტი ჩვენებურია.

წარმომადგენლის მიხედვით, ქვეყნების ათეული ასე გამოიყურება.

| | |
|---|---|
| 1. საქართველო | 14 |
| 2. სერბეთი | 12 |
| 3. ბრაზილია | 11 |
| 4. უკრაინა | 10 |
| 5. ნიგერია | 9 |
| 6. ბულგარეთი | 5 |
| 7. გვინეა | 3 |
| 8. ლიტვა | 3 |
| 9. მოლდოვა | 3 |
| 10. თურქეთი | 3 |

თუმცა "ექოს" არაზუსტი ინფორმაცია გამოუქვეყნებია. რეალურად აზერბაიჯანში არა თოთხმეტი, არამედ ცამეტი ქართველია. ზაფხულში ლენქორანის "ხაზარი" **ვალერი აბრამიძემ** დატოვა, მაგრამ კლუბისგან გათავისუფლების ფურცელს დღემდე ელის. ჩანს, "ექომ" ის ჩათვალა მეთოთხმეტე ქართველად.

ყველაზე მეტი, ოთხი ქართველი (**ზურაბ მამალაძე, ირაკლი ვაშაკიძე, თორნიკე აფციაური, გიორგი გაბიდაური**) იმიშლის "გაბალაში" შეიკრიბა. ევლახის "ქარვანში" სამეული გამოდის (**რომან ახალკაცი, ალექსანდრე ინნკირველი, გოჩა ტრაპაიძე**), ორნი "ბაქიში" (**ამირან მუჯირი, ალეკო გოგობერიშვილი**) და აგდამის "ყარაბახში" (**გოგა და ირაკლი ბერაიები**), თითოთითო კი - "სტანდარდში" (**ლადო უგრეხელიძე**) და ბაქოს "ნეფთჩიში" (**გიორგი ადამია**) თამაშობენ. მათგან ერთი ძლიერი გუნდი ჩამოყალიბდებოდა, რომელიც საქართველოს ჩემპიონობისთვისაც კი იბრძოლებდა.

შარშან გაცილებით მრავალრიცხოვანი დიასპორა იყო, მაგრამ ჩემპიონატის დონის ზრდასთან ერთად, რაოდენობაც იკლებს. შარშანდელი სეზონის მსვლელობისას გუნდები დატოვეს **დიმიტრი კაპანაძემ, დიმიტრი დიდმარხვაშვილმა, გიორგი კრასოვსკიმ, ზაზა ლაცაბიძემ**, წლეულს კი ზემოთ ნახსენებმა ვალერი აბრამიძე და **გია მეგრელაძემ**.

რა ხდება ამ მხრივ საქართველოში? ლეგიონერი მხოლოდ ოთხ გუნდს ჰყავს, თბილისის "დინამოს", "ზესტაფონს", ბოლნისის "სიონს" და რუსთავის "ოლიმპს". დანარჩენი ათი გუნდი ფონს ადგილობრივი კადრებით გადის. ზოგიერთს უცხოელთა ჩამოსაყვანი ფული არ აქვს, ზოგიერთს კი სურვილი და იაფფასიანი ფეხბურთელების ჩამოყვანას საჭიროდ არ თვლის - ადგილობრივების გაზრდა ურჩევნია. ასეთებია მაგალითად, "ამერი", "ვიტ ჯორჯია", "ლოკომოტივი".

ქვემოთ ქართული ლიგის ლეგიონერთა სრულ ჩამონათვალს გაგაცნობთ:

**დინამო (6 ლეგიონერი)**

**დიდიე ოვონო, ჯორჯ ედუარდ აკირემი,** ორივე გაბონი

**ნედ ზელიჩი,** ავსტრალია

**მილოშ კრშკო,** სლოვაკეთი

**რომან დობეში,** ჩეხეთი

**ილია სპასოევიჩი,** ჩერნოგორია

**სიონი (3)**

**ერიკ რომეო ჩასემი, ბოიომო ფრიდოლინი, გასტონ ევოჩე,** სამივე კამერუნი.

**ზესტაფონი (3)**

**ჟილვან ვიეირა, ჟონატას ტორესი,** ორივე ბრაზილია.

**პოლ კესანი,** გაბონი.

**რუსთავის ოლიმპი (3)**

**ვლადან ჟივკოვიჩი,** სერბეთი.

**მასუანგა,** კონგო.

**ერნესტ აკუასაგა,** გაბონი.

ლეგიონერების მიხედვით, ჩვენს ჩემპიონატში ქვეყნები ასეთი რაოდენობით არიან წარმოდგენილი:

| | |
|---|---|
| გაბონი | 4 |
| კამერუნი | 3 |
| ბრაზილია | 2 |
| სერბეთი | 1 |
| ავსტრალია | 1 |
| ჩეხეთი | 1 |
| სლოვაკეთი | 1 |
| ჩერნოგორია | 1 |
| კონგო | 1 |
| **სულ** | **15** |

დასაფიქრებელი სტატისტიკაა. აზერბაიჯანში 95 ლეგიონერია, ჩვენთან კი სულ რაღაც 15. სამეზობლოში ქართველთა პირველობა სულაც არ გვახარებს, რადგან აზერბაიჯანი ესპანეთი არაა. ჩვენთან უცხოელთა სიმცირე კი ქართული ლიგის სიღარიბეზე მეტყველებს.

რატომ გარბიან ფეხბურთელები უცხოეთში? თანამედროვე ფეხბურთში წარმატება უფულოდ წარმოუდგენელია. ბუნებრივია მდიდარი და ღარიბი უცხოეთშიცაა, მაგალითად "ლიონი" მადრიდის "რეალზე" ღარიბია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ხელფასებს ვერ იხდის. საქართველო კი ფინანსურად დანარჩენ სამყაროს მეტისმეტად ჩამორჩა. აზერბაიჯანელები მესამე წელია ფეხბურთში უზარმაზარ თანხებს აბანდებენ და საკმაოდ კვალიფიციური ფეხბურთელების გულებს იგებენ. ჩვენი ინფორმაციით, ზოგიერთი ლეგიონერი თვეში 30-50 ათას დოლარს იღებს. ქართველების ხელფასები კი 1 500-დან 10 ათას დოლარამდე მერყეობს. ასეთი სიმდიდრის მიუხედავადაც, აზერბაიჯანელებმა დიდ პროგრესს ვერ მიაღწიეს - გადახედეთ მათი ნაკრებებისა და გუნდების საერთაშორისო გამოსვლებს.

ჩვენთან გამორჩეული ფეხბურთელების მაქსიმალური ხელფასი 2500 დოლარია, მინიმალური კი - 250 ლარი. ასეა ღარიბ კლუბებში. ბუნებრივია, ფეხბურთელებს უცხოეთში წასვლა მოუნდებათ.

ამის გათვალისწინებით, დღევანდელი გარემოს შეუცვლელად, უახლოეს ათ წელიწადში ქართული ფეხბურთის განვითარება წარმოუდგენელია. დაბალ ხელფასზე არათუ უცხოელები, ქართველებიც აღარ ითამაშებენ. ჩვენი მეზობლების დარად, საქართველო მსოფლიო მნიშვნელობის ენერგეტიკული რესურსებით ვერ დაიკვეხნის. საინვესტიციო გარემოც არაადეკვატურია, ბიზნესმენებს ქვეყნის ჩემპიონატი და მისი მონაწილე გუნდები არ აინტერესებთ და საქმე უკან-უკან მიდის.

საბჭოური ინერციის პერიოდიც დასრულდა, ახალი ფეხბურთის საფუძვლები კი ჯერ არ ჩაყრილა. ფედერაციისა და პროფლიგის მცდელობა აშკარაა, ორივე აწუხებს ყველას, ვისი შეწუხებაც შეიძლება, სახელმწიფო სტრუქტურებს, ბიზნესმენებს... მაგრამ ქართული ფეხბურთის განვითარება მხოლოდ მათ არ ხელეწიფებათ, მასზე სახელმწიფომ უნდა იზრუნოს.

ორი აზრი არაა, ქართულ ფეხბურთს კორუფცია ანგრევს. მართალია საბჭოთა ფეხბურთს პირველად ქართული ფედერაცია განუდგა, მაგრამ ევროპულის ნაცვლად, ისევ საბჭოური ფეხბურთის "საუკეთესო გამოცდილებას" გავყევით. ფიზკულტურის აკადემიის მაშინდელმა რექტორმა **ელგუჯა გუგუშვილმა** საინტერესო რამ ბრძანა - ევროპაში გარიგებული შეხვედრები სეზონის ბოლოს მატულობს, ჩვენთან კი თავშივე იწყება ვაჭრობაო. იტალიის რა გითხრათ და ამ კაცმა ჩვენი ჭირისა ბევრი იცის და დაეჯერება.

და მაინც, მთავარი მაინც სახელმწიფო პოლიტიკაა. აზერბაიჯანისა და უკრაინის მოდელები არ გვაწყობს, რადგან ამ ქვეყნებში სახელმწიფო პირდაპირ გამოდის ინვესტორის როლში, რაც საბჭოური პერიოდის ასოციაციას იწვევს. თუმცა, სულ ტყუილად.

სახელმწიფოს წახალისების პოლიტიკა არავის უკვირს თურქეთშიც. ქვეყნის ექსპრეზიდენტ **თურგუთ ოზალის** ეკონომიკური სასწაულის შედეგები ყველასათვის ცნობილია. ჩამორჩენილი აზიური ქვეყანა დღეს რეგიონში ყველაზე ევროპულად გამოიყურება. ამ პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი ფეხბურთის განვითარებისთვის გადადგმული ნაბიჯებიდან მიღებული შედეგებიცაა. ლიბერალური საგადასახადო კოდექსი (რომლითაც ბიზნესი საფეხბურთო ინფრასტრუქტურის მშენებლობით და კლუბების სპონსორობით დაინტერესა) მხოლოდ ფეხბურთის განვითარებას არ ემსახურებოდა. მთავარი ამოცანა ქვეყნის ბიუჯეტში შემოსავლების ზრდა იყო, რაც წარმატებული საფეხბურთო ინდუსტრიით სავსებით შესაძლებელი ჩანდა. სავსე ტრიბუნები, საკლუბო ატრიბუტიკის გაყიდვების გაზრდა, საერთაშორისო სარბიელზე მიღებული ბონუსები, ტრანსფერები და ა.შ. დიდი თანხების ტრიალი დაიწყო, ბიუჯეტში კი ათმაგი შემოსავლები შევიდა.

ყველაზე წარმატებულ თურქულ კლუბს, "გალათასარაის" უეფას თასის მოპოვების შემდეგ, უზარმაზარი ვალები დააწვა. ბანკები კლუბს 35 მილიონი დოლარის დავალიანების სასწრაფოდ გადახდას ითხოვდნენ. ყელში ხელი მაინც არ წაუჭირეს, ვალები სახელმწიფომ გადაუხადა და ამით ქვეყნის საფეხბურთო ინფრასტრუქტურა გადაარჩინა.

კარგით, არც ეს მაგალითი გვაწყობს, თურქეთი მაინც აზიაა. ცხოვრების დონით მსოფლიო ჩემპიონ ნორვეგიაში გავიხედოთ. სპორტის განვითარებისთვის კანონმდებლობა იქაც შეცვალეს. დახლართული საგადასახადო სქემების ახსნით თავი რომ არ მოგაწყინოთ, მარტივად გეტყვით - გადასახადის 25 პროცენტის ნორვეგიულ სპორტში დაბანდების შემთხვევაში, ბიზნესმენს შეღავათი გააჩნია.

ესეც საბჭოური მენტალიტეტის გამოვლენაა? აქ საუბარია არა გადასახადებისგან საერთოდ გათავისუფლებაზე, არამედ ლიბერალური საგადასახადო სისტემით ქვეყნის ბიუჯეტის გაზრდაზე, რაც აწყობილი საფეხბურთო და საერთოდ, სპორტული ინდუსტრიიდან შესაძლებელია.

ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამა დიდი ხანია იწერება. ჯერ კიდევ 2005 წლის არჩევნების შემდეგ გვითხრეს რომ პროგრამა მზადაა და მალე ამოქმედდებოდა. ამის დოკუმენტური მტკიცებულებაც არსებობს, ვინ რას ამბობდა.

ამბობენ, სტატისტიკა მშრალიაო, მაგრამ ზოგჯერ ძალიანაც მეტყველია. დაპირების იქით ვერ წავედით და ჩვენი ფეხბურთის რეგრესიც კატასტროფულ მასშტაბებს იძენს. ჩვენი ნაკრები და კლუბები არსებულ მდგომარეობაში ლაკმუსის ქაღალდის როლში გვევლინებიან. ფეხბურთს დაპირების ნაცვლად, რეალური საინვესტიციო გარემო სჭირდება. მხოლოდ ეროვნული გუნდის მწვრთნელებისთვის გაცემული ხელფასებითა და მინი-მოედნების მშენებლობით შორს ვერ გავფრინდებით.

აზერბაიჯანის, ყაზახეთისა და ბანგლადეშის ლეგიონერებში კი ქართველები ყოველთვის მრავლად იქნებიან.

**მერაბ მამულაშვილი**

გახსენი...
ყაზბეგი
www.kazbegi.com
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ გია გურულთან

# ფრანგებს სჯერათ, რომ შოტლანდია საქართველოში ქულებს დაკარგავს


გია გურული და ალენ ჟირესი

**ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელი გია გურული ამჟამად საფეხბურთო აგენტია და ქართულ კლუბებს აფრიკელი ფეხბურთელებით ამარაგებს. სამშობლოში მისი მორიგი ჩამოსვლაც ტრანფერს უკავშირდება. გურულის დახმარებით გაბონის ნაკრების ფორვარდი ესიენ ბიტოო "ზესტაფონში" ჩაირიცხა.**

**გია გურული გუშინ, ეროვნულ სტადიონზე ვნახეთ, "დინამო"-"სიონის" მატჩს ადევნებდა თვალს, რომელშიც მისი ჩამოყვანილი ფეხბურთელებიც ასპარეზობდნენ.**

**სატრანსფერო ამბების გარდა გია გურულს სხვა მნიშვნელოვან თემებზე, მათ შორის სანაკრებოზეც გავესაუბრეთ...**

- ამჯერად ესიენ ბიტოოს ტრანსფერის ფორმალობათა მოსაგვარებლად ჩამოვედი. გაბონის ნაკრების თავდამსხმელმა "ზესტაფონთან" გააფორმა კონტრაქტი. ის გამოცდილი ფეხბურთელია და იმერულ კლუბსაც დიდ სარგებელს მოუტანს. კონტრაქტი ორწლიანია და საქართველოს ჩემპიონატშიც მალე გამოჩნდება. ბიტოო ცენტრფორვარდია, მაგრამ თავდამსხმელების უკანაც შეუძლია თამაში.

**- ეს ტრანსფერი გასაგებია, მაგრამ საინტერესოა, თუ რა შეფასება მისცეს საფრანგეთში რაიმონ დომენეკის მეორე მარცხს შოტლანდიასთან...**

- ბუნებრივია, ფრანგები უკმაყოფილონი არიან და წაგებას შემთხვევითობას მიაწერენ. ამასთან, ბოლომდე სჯერათ, რომ ევროპის ჩემპიონატზე გავლენ.

**- ჯგუფის ლიდერი შოტლანდია 17 ოქტომბერს თბილისში გვეწვევა. იტალიელთა დარად ალბათ ფრანგებიც იმედოვნებენ, რომ შოტლანდიას საქართველოს ნაკრები შეაფერხებს...**

- საფრანგეთშიც კარგად იციან, რომ ფეხბურთი ლოგიკას ყოველთვის არ ექვემდებარება და სწორედ ასეთი შემთხვევითობით ხსნიან შოტლანდიელებთან წაგებას. მათ მართლაც აქვთ იმისი იმედი, რომ შოტლანდია თბილისში ქულებს დაკარგავს. გლაზგოში ჩვენი ნაკრების მიერ შარშან ჩატარებულ მატჩს თუ გავიხსენებთ, წაგებას არ ვიმსახურებდით. უკრაინასთან ნათამაშებმა ფრემ ფრანგებსაც იმედი შესძინა, რომ შოტლანდიელებს თბილისში ქულების დატოვება მოუწევთ.

**- ცოტა ხნის წინათ ფრანგულ "ლე მანში" ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელები ამირან სანაია და ვახტანგ ფანცხავა ჩაირიცხნენ. მათზე რისი თქმა შეგიძლია?**

- ამ საქმეში მონაწილეობა არ მიმიღია. თავად "ლე მანის" მენეჯერ-სელექციონერებმა ნახეს ახალბედა მოთამაშეები. ჩემი ვაჟი სანდრო ფრანგული საფეხბურთო სკოლის აღზრდილია, მას არ ჩავთვლი და ძალიან გამეხარდა, რომ ჩემ შემდეგ, კიდევ ორი ქართველი ფეხურთელი ჩაირიცხა საფრანგეთის მთავარი ლიგის კლუბში.

**- სანდრომ, ისევ გამოიცვალა კლუბი?**

- დიახ, ლიონის "დუშერში" დაბრუნდა. ეს გუნდი ახლა რიგით მეოთხე ლიგაშია და ზედა ლიგაში გადასვლას ისახავს მიზნად.

**- ზემოთ გაბონის ნაკრები ვახსენეთ და საინტერესოა, ალენ ჟირესი უკვე აიბარგა გაბონიდან თუ ჯერ მხოლოდ აპირებს?**

- არა ჯერ გაბონშია, მაგრამ როგორც ჩანს კონტრაქტს აღარ გააგრძელებს. გაბონის ფეხბურთის ფედერაციამ ჟირესს კონტრაქტის გაგრძელება კი შესთავაზა, მაგრამ ალენი ველარ ძლებს გაბონში და სამშობლოში დაბრუნებას აპირებს. სხვათა შორის, პარიზში გაბონისა და ბენინის ნაკრებების მატჩს დავესწარი და გული დამწყდა. რატომ ვერ უნდა თამაშობდეს ჩვენი ნიჭიერი ქართველი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული ნაკრები გაბონის ნაკრებზე უკეთ.

**- ჩვენი ნაკრების ბოლო მატჩები თუ ნახე?**

- სამწუხაროდ, გარკვეულ მიზეზთა გამო უკრაინასთან მატჩს ვერ ვუყურე. ფრე ურიგო შედეგი არაა, მაგრამ კარგი იქნებოდა შინ უკრაინისა და ამ დონის ნაკრებების დამარცხება მოგვეხერხებინა.

**- ვიცით, რომ მწვრთნელად მუშაობ. როგორ მიდის შენი გუნდების საქმეები?**

- დიუნკერთან ახლოს მდებარე ქალაქ ბედუნში ორი გუნდი მყავს, 18-წლამდელთა და უფროსების, "სენიორების" გუნდის მთავარი მწვრთნელი ვარ. შარშან სტაჟირება გავიარე და ახლახან პასუხი მომივიდა, რომ დიპლომი უკვე ავიღე. გასულ უქმეებზე ჩემმა ორივე გუნდმაც მოიგო.

**- რომელი კატეგორიის სერთიფიკატი გაქვს?**

- საფრანგეთში არსებული სერთიფიკატების სისტემა უეფას სისტემისგან განსხვავდება. ამჯერად მე-4 კატეგორიის სერთიფიკატი ავიღე, რაც უეფას B კატეგორიის სერთიფიკატის ტოლფასია.

**დავით ცაბაძე**


ბერნდ ვუტცერი და გია ფირცხალავა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

სტუმარი. ინტერვიუ ბერნდ ვუტცერთან

# პოლიტანის ოფისი თბილისში გაიხსნა

## გვჯერა, საქართველოშიც ბევრი კლიენტი გვეყოლება

ორი დღეა, საქართველოს კომპანია "პოლიტანის" ექსპორტის დირექტორი **ბერნდ ვუტცერი** სტუმრობს. "პოლიტანი" მსოფლიოში ცნობილი ფირმაა, რომელიც ხელოვნურსაფარიან მოედნებს აწარმოებს და სპეციალური ტექნოლოგიის გამოყენებით აგებს. 2004 წელს ათენში ჩატარებული ოლიმპიადისას, სპორტის სხვადასხვა სახეობაში შეჯიბრებები, სწორედ "პოლიტანის" მიერ დამზადებულ ხელოვნურსაფარიან მოედნებზე ჩატარდა. 2008 წელს კი შვეიცარია-ავსტრიაში ევროპის ჩემპიონატის რამდენიმე მატჩი ასევე "პოლიტანის" მოედნებზე გაიმართება.

ბერნდ ვუტცერის თქმით, კომპანიას ამ საქმიანობაში 39-წლიანი სტაჟი გააჩნია და მსოფლიოს 80-მდე ქვეყანაში აქვს წარმომადგენლობა. ამჯერად ის საქართველოშიც გაიხსნა და ვუტცერის ვიზიტიც ამას უკავშირდება.

სხვათა შორის, "პოლიტანი" მხოლოდ ფეხბურთის კი არა, რაგბის, ჩოგბურთის, ბალახის ჰოკეის მოედნებსაც ამზადებს.

*"ქართველ პარტნიორებთან ერთად საქართველოში ჩვენი წარმომადგენლობა გავხსენით. ამ საკითხით დაინტერესებულ კერძო პირებსა და ფირმებს უკვე შეუძლიათ თბილისში მოგვმართონ. ჩვენ მათ უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით, საუკეთესო მოედანს დავუმონტაჟებთ. უეფას მიმართულება სწორედ ხელოვნურსაფარიანი მოედნების მომრავლებისკენაა მიმართული. ის ნაკლებხარჯიანია და გამოყენებაც მეტჯერ შეიძლება. ამასთან ჩვენი კომპანიის ნაწარმს უეფასგან ყველაზე მეტი, ორი ვარსკვლავი აქვს მიღებული, ამ სფეროში ლიდერები ვართ.*

*ამასთან, ვაწარმოებთ მოედნებს, რომლის გამოყენება ფეხბურთისთვისაც შესაძლებელია და რაგბისთვისაც.*

*ჩვენი პროდუქციის ფასი საქართველოსთვისაც ხელმისაწვდომია და გვჯერა, აქაც არაერთი კლიენტი გვეყოლება"*, - აღნიშნა ვუტცერმა "ლელოსთან" საუბარში.

**დავით ცაბაძე**

# ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური მომზადება ფეხბურთელებისთვის არგენტინაში

ვიწვევთ **17-18** წლის პერსპექტიულ ფეხბურთელებს მოსამზადებლად არგენტინაში. მომზადების ვადაა **6** თვიდან ერთ წლამდე. მომზადების პერიოდში ფეხბურთელები ითამაშებენ ამხანაგურ მატჩებს არგენტინის საფეხბურთო კლუბებთან. მომზადების შემდეგ ფეხბურთელები გააფორმებენ ხელშეკრულებას ერთიდან ორ წლამდე და ჩაატარებენ ოფიციალურ შეხვედრებს არგენტინის საფეხბურთო კლუბებში. ფეხბურთელებს მოამზადებს ედუარდო დელგადო. ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური მომზადების, გზის (ავიაბილეთები), ადგილზე ცხოვრების (კვების, ბინის) და სავიზო ხარჯები გაღებულ უნდა იქნას მსურველთა მიერ.

*მსურველთა მიღება და მათთან გასაუბრება იწარმოებს მისამართზე: თბილისი, ლეონიძის ქ. N4 (თავისუფლების მოედანთან). მხოლოდ წინასწარ ჩაწერით, საქართველოში არგენტინის წარმომადგენელთან, ტელეფონზე:* ***899-23-55-20.*** *მსურველები არგენტინაში გაემგზავრებიან ოქტომბრის დასაწყისში.*


სურათზე: დიეგო მარადონა და ედუარდო დელგადო

# ქართველებმა შახტიორი მაღლა აიყვანეს

ყაზახეთის ჩემპიონატში მორიგი გამარჯვება მოიპოვა ყარაღანდის "შახტიორმა" და ახლა ლიდერ "აქტობეს" სამი ქულით ჩამორჩება. თუმცა ისიც სათქმელია, რომ "აქტობეს" თამაშით ნაკლები აქვს გამართული.

"შახტიორმა" ამჯერად "თარაზს" აჯობა 2:0. მასპინძელთაგან პირველი გოლი **ლევან მელქაძემ** გაიტანა, რომელიც მწვრთნელად **რევაზ ძოძუაშვილის** მისვლის მერე აშკარად უკეთ თამაშობს. ანგარიში მეტიც იქნებოდა, მეორე ქართველს, **ლაშა ნოზაძეს** პენალტი რომ არ გაეფუჭებინა.

*"ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის, მაგრამ უკეთესად უნდა იყოს. ჩვენ მეორე ადგილზე ვართ და როგორმე უნდა მოვახერხოთ პირველზე გადასვლა. ფეხბურთის ჩემებური ხედვა მაქვს, რასაც ფეხბურთელებს გადავცემ, თუმცა ახალი მოსული ვარ გუნდში და ყველაფერი ისე არაა, როგორც მინდა. დროთა განმავლობაში კიდევ უფრო დავხვეწთ თამაშს და არც ჩემპიონატის მოგება იქნება აუხდენელი ოცნება"*, - აღნიშნა ძოძუაშვილმა ყაზახ ჟურნალისტებთან საუბარში.


ლევან მელქაძე

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. პირველი ტურის წინ

# ფრთხილად, ჰამერ, გახსოვდეს ფრისკი!

## სამი წლის წინათ, რომა-დინამო მსაჯის სისხლმა შეწყვიტა...



რობერტო მანჩინის საკადრო პრობლემები აქვს

### E ჯგუფი

### ბარსელონა-ლიონი

კატალონიური გიგანტი ჩემპიონთა ლიგის სტარტს ცუდ ფორმაში მყოფი ხვდება. "ბარსა" ვერა და ვერ დაიქოქა და **ფრანკ რიიკაარდის** სამწყსოს სწორედ ასეთ არასახარბიელო დროს უწევს "ლიონთან" დაპირისპირება. "ბარსელონას" განსაკუთრებით სტუმრად უჭირს სასურველი შედეგის მიღწევა - კატალონიელთა ნაქები თავდასხმა, ისევე, როგორც სანტანდერში, "ოსასუნასთანაც" ხახამშრალი დარჩა (0:0). თამამად შეიძლება ითქვას, რომ გუნდის უმთავრესი გოლეადორის, **სამუელ ეტო'ოს** ტრავმა გაცილებით რთულად გადასატანი გამოდგა, ვიდრე ამას რიიკაარდი ელოდა. ჩვენი ესპანელი კოლეგები ვარაუდობენ, რომ ჰოლანდიელი მწვრთნელი დღეს სასტარტო შემადგენლობაში ახალგაზრდა **ჯოვანი დოს სანტოსს** ათამაშებს. **ლეო მესი** სასტარტო თერთმეტეულში ისევ არ მოიაზრება.

"ბარსასგან" განსხვავებით, "ლიონი" ჩემპიონთა ლიგის სტარტს კარგ ფორმაში მყოფი ხვდება. ფრანგულმა გრანდმა სეზონის ცუდად დაწყების შემდეგ, მდგომარეობა გამოისწორა და ზედიზედ ოთხი თამაშია, არ წაუგია. გასულ შაბათს კი, **ალენ პერენის** შეგირდებმა "მეცი" 5:1 გაანადგურეს. განსაკუთრებით კარგ ფორმაში კი "ლიონის" მე-10 ნომერი **კარიმ ბენზემაა**, რომელმაც "მეცთან" ჰეთ-თრიკი შეასრულა და რომელიც საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია (7 თამაშში 8 გოლი). *"ჩვენ არავისი გვეშინია, მათ შორის, არც "ბარსელონის". კატალონიური გუნდი ევროპაში ერთ-ერთი უძლიერესია, მაგრამ ამ გუნდსაც აქვს სუსტი წერტილები, რაც აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ,"* - აცხადებს ბენზემა.

სავარაუდო შემადგენლობები

**ბარსელონა:** ვიქტორ ვალდესი, ძამბროტა, ტიურამი, გ. მილიტო, აბიდალი, ი. ტურე, ინიესტა, ჯოვანი, დეკუ, რონალდინიო, ანრი.

**ლიონი:** ვერკუტრი, რევეილერი, სკილაჩი, ბოდმერი, გროსო, ჟუნინიო პერნამბუკანო, კალსტრიომი, ტულალანი, ბენ არფა, გოვუ, ბენზემა.

**მსაჯი:** მასიმო ბუსაკა (შვეიცარია).

### რეინჯერსი-შტუტგარტი

გერმანიის მოქმედ ჩემპიონს გლაზგოში უმძიმესი მატჩი ელის და ეს შვაბებმა ძალიან კარგად უწყიან. "შტუტგარტის" მთავარმა მწვრთნელმა **არმინ ფეემ** შვებით ამოისუნთქა, რადგან გუნდის უმთავრესი გოლეადორი **მარიო გომესი** "რეინჯერსთან" მატჩს სრულიად ჯანმრთელი ხვდება. სამაგიეროდ, ფეე ისევ ვერ დაიხმარს **ილდირაი ბაშთურქს**, რომელიც ტრავმირებულია. "შალკეს" ფორვარდმა **პეტერ ლოვენკრანდსმა**, ვინც 2000-დან 2006 წლამდე "რეინჯერსის" ღირსებას იცავდა, შოტლანდიურ პრესაში გლაზგოური კლუბის ფეხბურთელებს რჩევები მისცა, "შტუტგარტი" კონტრშეტევებზე ვერაფერს ახერხებს ხოლმეო. ლოვენკრანდსმა ისიც თქვა, რომ დიდი სურვილი აქვს, "შტუტგარტი" გლაზგოში განადგურდეს, რადგან ჯერ არ დავიწყებია, შვაბურმა კლუბმა მის "შალკეს" ჩემპიონობა ბოლო ტურში რომ წაართვა.

*"ჩვენ მერვედფინალში გასვლა გვსურს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ გლაზგოში უნდა მოვიგოთ,"* - ეს VFB-ს კაპიტან **ფერნანდო მეირას** სიტყვებია. გომესი კი პირდაპირ ამბობს, "რეინჯერსი" არაფრით გვჯობიაო. თუ რა შეუძლია გერმანიის ჩემპიონს რეალურად, ამას უშუალოდ თამაში გამოაჩენს. ფეეს კიდევ ერთი საკადრო პრობლემა აქვს: ვერ ითამაშებს გუნდის ლიდერი **თომას ჰიტცლშპერგერი**, რომელიც კლუბს გერმანიის ნაკრებიდან ტრავმირებული დაუბრუნდა.

"რეინჯერსში" დენთის სუნი ტრიალებს. გლაზგოელთა მთავარი მწვრთნელი **უოლტერ სმიტი** კრიტიკის ქარცეცხლში იქნა გატარებული, რადგან მისმა სამწყსომ გასულ უქმეებზე "ჰართსთან" 2:4 წააგო და ლიდერობაც დაკარგა. თვითონ მწვრთნელიც განრისხებულია და ამბობს: *"თუ "შტუტგარტთანაც" ისე ვითამაშებთ, როგორც "ჰართსთან" პირველ 25 წუთში, სამარცხვინო ანგარიშით გავნადგურდებით!"* ცნობილია, რომ დღეს აუცილებლად სასტარტო შემადგენლობაში იქნება "რეინჯერსის" ლიდერი **ბარი ფერგიუსონი**, რომელსაც სმიტი ბოლო მატჩებში ნაკლებად ენდობოდა.

*"ძალიან რთულ ჯგუფში მოვხვდით, ამაზე რთულ ჯგუფში მოხვედრა წარმოუდგენელია. "შტუტგარტი" ყველასათვის მოულოდნელად გერმანიის ჩემპიონი გახდა. ე.ი. ძალიან ძლიერი გუნდია, რადგან ბუნდესლიგის მოგება არ არის იოლი. ერთი სიტყვით, მეტოქეს პატივს ვცემთ,"* - განაცხადა სმიტმა მატჩისწინა პრესკონფერენციაზე.

სავარაუდო შემადგენლობები

**რეინჯერსი:** მაკგრეგორი, ჰატონი, კუელარი, უეირი, პაპაცი, ემდანი, უაიტეკერი, ბ. ფერგიუსონი, ტომსონი, მაკკალოხი, კუზენი.

**შტუტგარტი:** რ. შეფერი, ოსორიო, ტასკი, მეირა, მანინი, პარდო, ჰილბერტი, ხედირა, და სილვა, კაკაუ, გომესი.

**მსაჯი:** სტეფანო ფარინა (იტალია).

### F ჯგუფი

### რომა-დინამო

"რომა" კიევის "დინამოს" მასპინძლობს და ფეხბურთში კარგად ჩახედულ გულშემატკივარს, შეუძლებელია, არ გაახსენდეს ამ გუნდების უკანასკნელი დაპირისპირება "ოლიმპიკოზე", რომელსაც უდიდესი სკანდალი მოჰყვა. ეს შეხვედრა 2004/05 წლების სეზონში, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის პირველ ტურში გაიმართა, მაგრამ არ დასრულებულა - 45 წუთის შემდეგ შეწყდა. "დინამო" **გორან გავრანჩიჩის** გოლით იგებდა, საბოლოოდ კი, 3:0 მოგება ჩაეთვალა, რადგან მთავარ მსაჯ **ანდერს ფრისკს** ტრიბუნებიდან ნასროლმა საგანმა თავი გაუტეხა. აღსანიშნავია, რომ მანამდე ფრისკმა რომას მოედნიდან **ფილიპ მექსე** გაუძევა. "ჯალოროსიმ" ხსენებულ შეხვედრაში მიღებული შოკი ვერ გადაიტანა და იმ სეზონში ევროპაში პირწმინდად შერცხვა - "რომამ" ერთადერთი ქულით ბოლო ადგილი დაიკავა. დღეს **ლუჩანო სპალეტის** შეგირდები შურისძიების სურვილით იქნებიან შეპყრობილნი. ამ მატჩს ლუქსემბურგელი **ალან ჰამერი** განსჯის. მართალია, მას მერე რომას საშინაო თამაშებში ფანებს არბიტრი აღარ დაუსისხლიანებიათ, მაგრამ ჰამერი გარკვეული წნეხის ქვეშ მოექცევა.

"რომამ" სერია A-ში ჩინებული სტარტი აიღო, მოიგო რა სამივე შეხვედრა და ახლა იტალიის პირველობის ლიდერია. სპალეტის გუნდში განსაკუთრებით სტაბილური დაცვის ხაზია, სადაც **ჟუანი** და მექსე შეუვალ კედელს ქმნიან. თავდასხმაში კი, "რომას" იმედი, რაღა თქმა უნდა, **ფრანჩესკო ტოტია**, რომელმაც ცოტა ხნის წინათ იტალიის ნაკრები დატოვა და ახლა მთლიანად კლუბზეა კონცენტრირებული. რაც შეეხებათ კიეველებს: **ანატოლი დემიანენკოს** გუნდი უკრაინის ჩემპიონატში, რბილად რომ ვთქვათ, ვერ ბრწყინავს. წინა ტურში, "დინამომ" დონეცკის "მეტალურგს" მხოლოდ ბოლო წუთზე გატანილი გოლის მეშვეობით მოუგო, გოლით, რომელიც **ტარას მიხალიკმა** მიითვალა.

*"რომაელთა შესახებ უამრავი ინფორმაცია მოვიპოვეთ. ვნახეთ ვიდეოჩანაწერები და "ჯალოროსის" თამაშებს ჩვენი ხალხი დაუსწრო. როგორია შთაბეჭდილება? "რომა" ძალიან ძლიერი გუნდია და შემთხვევითი სულაც არ გახლავთ ის, რომ ამ გუნდმა იტალიის პირველობა შესანიშნავად დაიწყო. იმისათვის, რომ "ოლიმპიკოზე" რამე გამოგვივიდეს, ყველა ფეხბურთელი 100 პროცენტით უნდა დაიხარჯოს. ჩვენი უმთავრესი საზრუნავი ტოტის განეიტრალება იქნება. თუ ფრანჩესკოს თამაშიდან გავთიშავთ, ცხადია, სასურველი შედეგის მიღწევა უფრო გაგვიადვილდება,"* - აცხადებს დემიანენკო.

სავარაუდო შემადგენლობები

**რომა:** დონი, კასეტი, ჟუანი, მექსე, ტონეტო, ჟიული, აკუილანი, დე როსი, პეროტა, ტადეი, ტოტი.

**დინამო:** შოვკოვსკი, ფიოდოროვი, გავრანჩიჩი, მარკოვიჩი, მაიკლი, ელ-ქადური, მიხალიკი, როტანი, იუსუფი, შაცკიხი, ბანგურა.

**მსაჯი:** ალან ჰამერი (ლუქსემბურგი).

### სპორტინგი-მანჩესტერი

წინა სეზონში "სპორტინგი" ჩემპიონთა ლიგაში პირწმინდად შერცხვა, დაიკავა რა ჯგუფში ბოლო ადგილი. **პაულო ბენტუს** შეგირდები ამჯერად მაქსიმალურად ეცდებიან, რომ შარშანდელი სირცხვილი აღარ განმეორდეს. პორტუგალიის ვიცე-ჩემპიონის ფანები უდიდეს იმედებს ამყარებენ ფორვარდ **ლიედსონზე**, რომელმაც კვირას "ამადორასაც" გაუტანა (2:0). "სპორტინგს" "მანჩესტერთან" არცთუ ცუდი შანსები აქვს, რადგან **სერ ალექს ფერგიუსონს** საკადრო პრობლემები აწუხებს. **დარენ ფლეტჩერისა** და **ჯონ ო'შის** გარდა, ტრავმირებულია **მიკაელ სილვესტრიც**, რომელმაც შაბათს, "ევერტონთან" შეხვედრაში მყესები გაიწყვიტა. სამაგიეროდ, დიდი შანსია, რომ თამაშში მოახერხოს **უეინ რუნიმ**, ოღონდ არა 90 წუთი. თუ საჭირო გახდა, ფერგი რუნის მეორე ტაიმში შეიყვანს.

*"კარგად ვარ, თამაში შემიძლია, მაგრამ თავიდან ბოლომდე არ მათამაშებენ. ალბათ ასე ჯობია - მწვრთნელმა და ექიმებმა უკეთ იციან, რა არის უმჯობესი,"* - აცხადებს რუნი.

სავარაუდო შემადგენლობები

**სპორტინგი:** სტოიკოვიჩი, ანდერსონ პოლგა, რონი, ტონელი, ველოსო, აბელი, ჟოაო მუტინიო, რომანიოლი, ვუკჩევიჩი, ლიედსონი, პუროვიჩი.

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, ბრაუნი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, ნანი, ქერიკი, კ. რონალდო, სქოულზი, გიგზი, ტევესი.

**მსაჯი:** ჰერბერ ფანდელი (გერმანია).

### G ჯგუფი

### ეინდჰოვენი-ცსკა

"ეინდჰოვენი" მოსკოვის ცსკა-ს შესანიშნავ ხასიათზე მყოფი ხვდება. **რონალდ კუმანის** სამწყსოს კმაყოფილების უმთავრესი მიზეზი ის გახლავთ, რომ ორთვიანი პაუზის შემდეგ, გუნდის ლიდერი **ჯეფერსონ ფარფანი** ლაზარეთიდან დაბრუნდა. პსვ-სთვის მოგება აუცილებელია, მით უმეტეს, რომ **ვალერი გაზაევს** სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს. ცსკა-ს ორი ლიდერი აკლია - მეკარე **იგორ აკინფეევი**, რომელსაც სათადარიგო კიპერი **მანდრიკინი** შეცვლის და ფლეიმეიქერი **დანიელ კარვალიო**.

*"ის, რომ რუსეთის ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება, ხოლო ჰოლანდიაში კი, სეზონი ახლახან დაიწყო, არც ჩვენთვის და არც ცსკა-სთვის არაფერს ცვლის,"* - აცხადებს კუმანი, - *"ძირითადი შემადგენლობიდან ყველა მწყობრშია. ჩვენი ერთადერთი დანაკლისი, დისკვალიფიცირებული ზონეველდის არყოფნაა. მოსკოველებს ძალიან კარგი გუნდი ჰყავთ. ცსკა-ს ნებისმიერი ფეხბურთელი სახიფათოა. გაზაევს არ ვიცნობ, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მას უდიდესი გამოცდილება აქვს. უეფას თასს იოლად ვერავინ იგებს!"*

სავარაუდო შემადგენლობები

**ეინდჰოვენი:** გომეში, სალსიდო, სიმონსი, კრომკამპი, ვაირინენი, ადო, აფელეი, კუვერმანსი, ბაკალი, პერესი, ლაზოვიჩი.

**ცსკა:** მანდრიკინი, ა. ბერეზუცკი, ვ. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, შემბერასი, დუდუ, კრაშიჩი, რახიმიჩი, ჟირკოვი, ჟო, ვაგნერ ლავი.

**მსაჯი:** პედრო პროენცა (პორტუგალია).

### ფენერბაჰჩე-ინტერი

"ფენერბაჰჩე" ჩემპიონთა ლიგაში დღემდე ვერაფერს ახერხებდა - პირიქით: ევროპის ელიტარულ საკლუბო ლიგაში "ფენერის" თამაშს სამარცხვინო ეთქმის. მაგრამ თურქულ გრანდს წელს სერიოზული მიზნები აქვს - მინიმუმ მერვედფინალში გასვლა. თუნდაც იმიტომ, რომ გუნდმა **რობერტო კარლოსი** შეიძინა და ამას გარდა, არც მეტი, არც ნაკლები, **რონალდოსაც** კი ეპატიჟებოდა. გასულ უქმეებზე "ფენერი" საკუთარ კედლებში მოულოდნელად "რიზესპორს" დაუზავდა (1:1). ასე რომ, **ზიკოს** სამწყსო ცუდ ფორმაშია. ექსპერტები განსაკუთრებით **მატეა კეჟმანს** ემდურიან.

მაგრამ ეს ყველაფერი იმას არ ნიშნავს, რომ ჯგუფის ფავორიტ "ინტერს" იოლი თამაში ელის. ჯერ ერთი, თურქეთში წარმატების მიღწევა ყოველთვის ძალიან ძნელია და ესეც არ იყოს, იტალიის მოქმედი ჩემპიონის მთავარ მწვრთნელ **რობერტო მანჩინის** სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს. თავად განსაჯეთ: დღეს მანჩინი 5 მცველს ვერ დაიხმარს! შარშანდელი სეზონის სკანდალური მატჩის გამო (ვალენსიასთან), **მაიკონი, ნიკოლას ბურდისო** და **ივან კორდობა** დისკვალიფიცირებულები არიან, **მარკო მატერაცი** და **კრისტიან კივუ** კი - ტრავმირებულები. ეს იმას ნიშნავს, რომ დაცვაში **ხავიერ ძანეტი, ვალტერ სამუელი** და **მაქსველი** ითამაშებენ, მაგრამ ვინ იქნება მეოთხე? ზემოთ ჩამოთვლილი მცველების გარდა, "ინტერს" განაცხადში შემდეგი უკანახაზელები ჰყავს: **ნელსონ რივასი, დენის ესპოზიტო, დანიელე ფედერიჩი** და **ფაბიო პერისინოტო**. ტრავმირებულია და "ნერაძურის" ვერ დაეხმარება **პატრიკ ვიეირაც**. დისკვალიფიცირებულია **ხულიო კრუსიც**.

სავარაუდო შემადგენლობები

**ფენერბაჰჩე:** ვოლქან დემირელი, თურაჩი, ლუგანო, ედუ, რობერტო კარლოსი, აურელიო, ალექს დე სოუზა, ს. შაჰინი, ბილგინი, კეჟმანი, დეივიდი.

**ინტერი:** ჟულიო სეზარი, ხ. ძანეტი, სამუელი, მაქსველი, რივასი (ან ესპოზიტო), ფიგუ, დაკური, კამბიასო, სტანკოვიჩი, ადრიანო, კრესპო.

**მსაჯი:** ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი).

### H ჯგუფი

### არსენალი-სევილია

H ჯგუფს სიკვდილის ჯგუფს ვერავინ უწოდებს და პირველივე ტურში, ის გუნდები ხვდებიან ერთმანეთს, რომლებსაც მერვედფინალში გასვლის პრეტენზია დანარჩენ ორზე მეტად ექნებათ: "არსენალი" "სევილიას" მასპინძლობს. მართალია, ლონდონელებმა პრემიერლიგაში ჩინებული სტარტი აიღეს, მაგრამ **არსენ ვენგერის** გუნდი დაცვაში არცთუ კარგად გამოიყურება. ეს "ტოტენჰემთან" შეხვედრაშიც დამტკიცდა (3:1 "არსენალის" სასარგებლოდ), სადაც მამლებმა "მეთოფეების" დაცვის ხაზი არაერთხელ შეარცხვინეს. სამაგიეროდ, ვენგერის გუნდს შეტევაში ყველაფერი იდეალურად აქვს.

"სევილიას", უეფას თასის ზედიზედ ორჯერ მოგების შემდეგ, ჩემპიონთა ლიგაში სურს თავისი სიძლიერის დამტკიცება. ანდალუსიელები დღესდღეობით შესანიშნავ ფორმაში არიან. განსაკუთრებით კარგად კი თავდასხმის დუეტი (**კანუტე-კერჟაკოვი**) გამოიყურება.

*"სევილია" კარგად შევისწავლე და მიმაჩნია, რომ ეს გუნდი ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა,"* - აცხადებს ვენგერი, - *"ეს მატჩი ორივე გუნდისთვის უმნიშვნელოვანესია. ოთხშაბათს გამოჩნდება, თუ რა შეგვიძლია ჩვენ და რა შეუძლია "სევილიას" სინამდვილეში. ჩემი გუნდი ვალდებულია მოიგოს - ჩვენ ხომ საკუთარ მოედანზე ვთამაშობთ!"*

სავარაუდო შემადგენლობები

**არსენალი:** ალმუნია, კლიში, კოლო ტურე, ფლამინი, სანია, ჟილბერტო სილვა, ფაბრეგასი, გლები, დიაბი, ვან პერსი, ადებაიორი.

**სევილია:** პალოპი, დანი ალვეში, ბულარუზი, დრაგუტინოვიჩი, ფასიო, დუდა, რენატო, ხესუს ნავასი, კეიტა, კანუტე, კერჟაკოვი.

**მსაჯი:** პეტერ ფრიოდფელდტი (შვედეთი).

### სლავია-სტიაუა

ექსპერტები პრაღის "სლავიას" ჯგუფის აუტსაიდერად მიიჩნევენ, მაგრამ ჩეხურმა კლუბმა "აიაქსთანაც" დაამტკიცა, რომ სენსაციების მოხდენა შეუძლია. რუმინეთის რეკორდსმენ "სტიაუას" კი, სერიოზული პრობლემები აქვს: **გეორგე ჰაჯის** წამყვანი ნახევარმცველები, **მირელ რადოი** და **მიჰაიტა პლესანი** ტრავმირებულები ჰყავს, თანაც, დიდი ხნით...

სავარაუდო შემადგენლობები

**სლავია:** ვანიაკი, ბრაბეცი, დრიჟდალი, ჰუბაჩეკი, სუხი, ბელაიდი, პუდილი, კალივოდა, ვოლეშაკი, ვლჩეკი, გაუჩო.

**სტიაუა:** საპატა, ბაჩიუ, ნემუ, გოლანსკი, რადა, ლოვინი, ნიკოლიტა, დიკა, პეტრე, ნეაგა, ზაჰარია.

**მსაჯი:** ოლეგარიო ბენკერენსა (პორტუგალია).



2004 წელი. რომა-დინამო. აი, ასეთ დღეში იყო ანდერს ფრისკი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსენალი

# უსმანოვი ამოქმედდა

## მეთოფეებსაც გარუსება უწერიათ, ვენგერი მშვიდადაა და საიანვრო გეგმებს ადგენს...



ალიშერ უსმანოვი არსენალს შეუფასებელ ბიზნესს უწოდებს

რუსი ოლიგარქი **ალიშერ უსმანოვი** "არსენალის" მეორე უმსხვილესი აქციონერი გახდა. მან საკუთარი წილი 21 პროცენტამდე გაზარდა. უსმანოვზე მეტი აქცია მხოლოდ **დენი ფიშმანს** აქვს. ამ უკანასკნელის განკარგულებაშია კლუბის 24 პროცენტი. უსმანოვს ამერიკელი **სტენ კროენკეს** 12.5 პროცენტიანი წილი არ უყიდია. მან უფრო წვრილი აქციონერების ფასიანი ქაღალდები გამოისყიდა. კროენკესთან გარიგება უახლოესი დროის საქმეაო, წერენ ტაბლოიდები. თუ უსმანოვი უმსხვილესი აქციონერი გახდება, დირექტორატის გადაწყვეტილებებზე ვეტოს დადების უფლებას მოიპოვებს. რუსი ბიზნესმენი არ მალავს, რომ კლუბის დასაკუთრება სურს. აი, მისი გულახდილი კომენტარი: *"არსენალი", როგორც ბიზნესი, შეუფასებელია. ამიტომ საკუთარი წილის გაზრდას ვაპირებ. დარწმუნებული ვარ, აქციები მალე გაძვირდება. ამ კლუბს გააჩნია ყველაფერი, რის გამოც ადამიანმა შეიძლება ინვესტიციის განხორციელებაზე იფიქროს."*

ეკონომიკური მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ "არსენალის" საბაზრო ღირებულება 750 მილიონ გირვანქას შეადგენს. ეს თითქმის იმდენივეა, რამდენიც **გლეიზერებმა** "მანჩესტერ იუნაიტედში" გადაიხადეს. საგულისხმოა, რომ გასულ ფინანსურ წელიწადში "მეთოფეებმა" უფრო მეტი ფული იშოვეს, ვიდრე სხვა ინგლისურმა გრანდებმა. "არსენალის" შემოსავალმა 180 მილიონი გირვანქა შეადგინა. ის 22 მილიონით ჩამორჩა "რეალს" და 12 მილიონით გაუსწრო "მანჩესტერ იუნაიტედს". "არსენალს" გააჩნია პოტენციალი, მსოფლიოს უმდიდრეს კლუბად იქცეს. ზემოხსენებულ 180 მილიონიდან ლომის წილი ახალ სტადიონზე მოდის. "არსენალის" საშინაო მატჩებზე დასწრება მთელ ინგლისში ყველაზე ძვირი სიამოვნებაა. მართალია, "ოლდ ტრეფორდი" "ემირიტსზე" 16 ათასი მაყურებლით მეტს იტევს, მაგრამ ლონდონური არენა მაინც უფრო მეტ შემოსავალს იძლევა.

"არსენალის" ხელმძღვანელობა უსმანოვის გააქტიურებას მშვიდად ხვდება. უმთავრესი აქციონერი დენი ფიშმანი ამბობს, რომ საკუთარი წილის დათმობას არ აპირებს. მისი ინფორმაციით, არც დირექტორატის სხვა წევრები ფიქრობენ კლუბიდან აბარგებას. "მეთოფეების" აღმასრულებელი დირექტორი **კიტ ედელმანი** ამბობს, რომ კლუბს ინვესტიციები არ სჭირდება. "არსენალის" ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია, ხოლო მთავარ მწვრთნელ **არსენ ვენგერს** ტრანსფერებში უპრობლემოდ შეუძლია ათეულობით მილიონი გირვანქის დახარჯვა. აღსანიშნავია, რომ თუ რომელიმე აქციონერის წილი 30 პროცენტს გადასცდება, ბრიტანული კანონმდებლობით, მას უფლება აქვს, მთელი კლუბი გამოისყიდოს. ესე იგი, იმის მიუხედავად, სურს თუ არა რომელიმე აქციონერს საკუთარი წილის გაყიდვა, ვალდებულია მთავარი მეწილის შეთავაზება მოისმინოს.

ვენგერი დირექტორატში მიმდინარე მოვლენებს შორიდან აკვირდება. მას შეუძლია, მშვიდად იყოს. უსმანოვის გაპრეზიდენტების შემთხვევაში, კლუბის გაძღოლას ყოფილ ვიცე-თავმჯდომარე **დევიდ დინს** დააკისრებენ. დინი მოსიე არსენის მოკავშირეა და მწვრთნელს ალბათ სამუდამო კონტრაქტს შესთავაზებს. ვენგერი ძალთა გადანაწილებაზე კომენტარს საერთოდ არ აკეთებს. სამაგიეროდ, საფეხბურთო საკითხებს სიამოვნებით მიმოიხილავს. დღეს "არსენალი" "ვალენსიასთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩს მართავს. გუშინდელ პრესკონფერენციაზე "მეთოფეების" თავკაცს ჰკითხეს, მზად არის თუ არა **თეო უოლკოტი** ძირითადში სათამაშოდ. ვენგერმა მიუგო: *"გულწრფელად გეტყვით, არ ვიცი, არის თუ არა მზად, თუმცა მისი კარიერისათვის ეს სეზონი რომ გადამწყვეტი იქნება, ამას თვითონაც აღიარებს. კარგად შევისწავლე საფრანგეთის 1998 წლის ნაკრების შემადგენლობა. თითქმის ყველა მათგანმა პროფესიულ დონეზე თამაში 18 წლის ასაკში დაიწყო. 18 წლისა კლუბის ძირითადში უნდა მოხვდე, ხოლო როცა 19 და 20 წელი შეგისრულდება, შენ კი მაინც სკამზე ზიხარ, უმალ ჩნდება ეჭვი. ვფიქრობ, ის ძირითადში დამკვიდრებას შეძლებს."*

აქვე, "არსენალის" საიანვრო გეგმებზეც მოგახსენებთ ორიოდ სიტყვას: ვენგერს "სევილიის" ახალგაზრდა ნახევარმცველი **დიეგო კაპელი** მოსწონს. პრიმერა დივიზიონის პირველ ტურებში კაპელი ბრაზილიელი **ადრიანოს** ნაცვლად ათამაშეს. მან კარგი შეფასება დაიმსახურა. კაპელს ანდალუსიელებთან კონტრაქტი 2011 წელს ეწურება. ის 8 მილიონი გირვანქა ღირს. "მეთოფეებს" ბერძნული აეკ-ის 20 წლის მცველი **სოკრატის პაპასტატოპულოსიც** მოუვიდათ თვალში. ვენგერი მის სანახავად ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე აეკ "სევილიის" მატჩსაც კი დაესწრო. და კიდევ, ლონდონელებმა პირველი პროფესიული კონტრაქტი გაუფორმეს სარეზერვო გუნდის ხუთ მოთამაშეს - ნახევარმცველებს **ჯეიმს დანსა** და **კირან გიბსს**, აგრეთვე მცველებს, **გევინ ჰოიტს, რენე შტეერსა** და **აბუ ოგოგოს**. ეს სახელები ჯერ არაფერს გვეუბნება, მაგრამ "არსენალში" დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, უახლოეს მატჩებში ნებისმიერი მათგანი, შეიძლება, განაცხადში ვიხილოთ.

ჩელსი

# მოურინიომ კვერცხები ახსენა

## ბრიტანული ტაბლოიდები აბრამოვიჩის რეაქციას ელოდებიან...



აბრამოვიჩს, შეიძლება, მოურინიოს ბოლო კომენტარიც არ მოეწონოს

გუშინ "ჩელსიმ" "რუსენბორგს" უმასპინძლა. თამაშის წინა დღე **ჟოზე მოურინიომ** პრესკონფერენცია გამართა და საინტერესო კომენტარები გააკეთა. ინგლისელმა მიმომხილველებმა ისიც კი თქვეს, **რომან აბრამოვიჩთან** ძლივს მოგვარებულმა კონფლიქტმა, შეიძლება, ახალი ძალით იფეთქოსო. პორტუგალიელმა მწვრთნელმა დაიჩივლა, მაღალი კლასის ფეხბურთელები არ მყავსო. ჟოზემ საკუთარი თავი სასურსათო მაღაზიაში შესულ იმ ადამიანს შეადარა, რომელსაც უფულობის გამო იაფი კვერცხის ყიდვა უწევს, რომ საჭმელი მოამზადოს. მერე კი **ანდრეი შევჩენკოსაც** გაჰკრა კბილი: *"რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ის, თუ რა დონის ფეხბურთს ვთამაშობთ, მაგრამ ჩვენი თამაშის ხარისხს ბევრი ფაქტორი განაპირობებს. ომლეტი ხომ იცით? კვერცხისაგან რომ მზადდება? ჰოდა, თუ კვერცხი არა გაქვს, ომლეტს როგორ გააკეთებ? ომლეტის ხარისხი კვერცხის ხარისხზეა დამოკიდებული. სუპერმარკეტში პირველი, მეორე და მესამე კლასის კვერცხი იყიდება. ძვირი კვერცხით უფრო გემრიელი ომლეტი გამოდის, მაგრამ თუ პირველი კლასის კვერცხი "ვეითროუზში" (სუპერმარკეტების ქსელია) იყიდება, შენი კი ამდენი ფული არა გაქვს, "ვეითროუზში" არაფერი გესაქმება."*

გუშინ "არისტოკრატებმა" **დიდიე დროგბამ** გარეშე ითამაშეს. მისი მაგივრობა **ანდრეი შევჩენკოს** უნდა გაეწია. თუ როგორ გაართვა უკრაინელმა ვარსკვლავმა დაკისრებულ ამოცანას თავი, ამას სტატისტიკიდან შეიტყობთ. ორშაბათის პრესკონფერენციაზე კი, როცა მოურინიოს ჰკითხეს, როგორ აფასებთ შევას თამაშს "ბლექბერნთან" მატჩშიო, მწვრთნელმა მიუგო, კარგად ვიცი, რაც გინდათ, რომ ვთქვა, მაგრამ ის თამაში თქვენც საკუთარი თვალით ნახეთ და უფლება გაქვთ, როგორიც გინდათ, ისეთი შეფასება დაწეროთო.

მოურინიო და ომლეტთან დაკავშირებული ლირიული გადახვევა იმიტომ ვახსენეთ, რომ "რუსენბორგთან" თამაშის წინ "ჩელსის" აღმასრულებელი დირექტორის, **პიტერ კენიონის** ინტერვიუც გამოქვეყნდა. მან სწორედ ხარისხიან ფეხბურთზე ისაუბრა. აგრეთვე, რომან აბრამოვიჩის ამბიციაზე, რომ უახლოეს ექვს წელიწადში მისი გუნდი მინიმუმ ორჯერ დაეუფლოს ჩემპიონთა თასს. რუსი ოლიგარქის გუნდში მისვლის შემდეგ ოთხი წელი მიიწურა. პირველ ათწლეულში ორი ევროპული თასი იმთავითვე აბრამოვიჩის სურვილი იყო: *"კლუბის შეძენის უმალ ათწლიანი სამოქმედო გეგმა შევიმუშავეთ. ამ ხნის განმავლობაში უნდა შეგვექმნა გუნდი, რომელიც სტაბილურად ძლიერი და წარმატებული იქნებოდა. თუ გსურს, მსოფლიო გრანდად გაღიარონ, ათი წლის განმავლობაში ორჯერ მაინც უნდა მოიგო ჩემპიონთა ლიგა. რა არის ამისთვის საჭირო? შემადგენლობა, სტრუქტურა და რწმენა. ჩვენ სამივე კომპონენტში ძლიერები ვართ. ამიტომ ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება არცთუ ისე შორეული პერსპექტივაა."*

კენიონი მოურინიოს უპირველესი მოკავშირეა. ჟოზე ინგლისში მან ჩაიყვანა. აღმასრულებელმა დირექტორმა 2003 წელი და **კლაუდიო რანიერის** ხანა გაიხსენა. კენიონი ამბობს, პირველივე ტურების შემდეგ ვიცოდი, რომ რანიერი არ გამოგვადგებოდაო: *"მანჩესტერ იუნაიტედში" ფერგიუსონის გვერდით ვმუშაობდი. რანიერი ფერგის კლასის სპეციალისტი არ იყო. ამიტომ ახალი მწვრთნელის ძებნას შევუდექით. ასე ვიპოვეთ ჟოზე მოურინიო, ყველასაგან განსხვავებული ახალგაზრდა და ამბიციური სპეციალისტი. მან რაღაცით სერ ალექსიც კი გამახსენა. მისი საუბრის მანერა, მისი გამომეტყველება, მისი ფილოსოფიები ინგლისისათვის სიახლე იყო. ბოლო ათწლეულის განმავლობაში პრემიერლიგაში შოტლანდიელი ფერგიუსონი და ფრანგი ვენგერი ბატონობდნენ, ჩვენ კი გულშემატკივრებს ჩვენი საკუთარი განსაკუთრებული პერსონა წარვუდგინეთ, რომელიც ყველაფერს განსხვავებულად აკეთებდა."*

კენიონის კომენტარი მწვრთნელის მიმართ დირექტორის კეთილგანწყობილებაზე მიუთითებს. მისტერ პიტერს ჟოზესთან პრობლემა არც იანვრის კრიზისისას ჰქონია. მოურინიოს გამოსვლები აბრამოვიჩს არ მოსდიოდა თვალში. მიმომხილველები მწვრთნელის ბოლო კომენტარზე რომან არკადიევიჩის რეაქციას ელოდებიან.

ატლეტიკო

# მოტა ერთთვიან შვებულებაში გაუშვეს

## ენრიკე სერესომ მთავარ მწვრთნელს ნდობის მანდატი გაუგრძელა

პრიმერა დივიზიონის წინა ტურში **ტიაგო მოტამ** "ატლეტიკოს" მაისურით ესპანეთის ჩემპიონატში სადებიუტო შეხვედრა ჩაატარა. ბრაზილიელი ორი ქულის დაკარგვის მიუხედავად, ძალიან გახარებული იყო და იმედს გამოთქვამდა, რომ მომდევნო შეხვედრებში "როხიბლანკოს" კარგი თამაშით დაეხმარებოდა. აღსანიშნავია, რომ როცა მოტა პრესკონფერენციას ატარებდა, მუხლის უმნიშვნელო ტკივილი აწუხებდა. ის ვერც წარმოიდგენდა, რომ "მურსიასთან" მატჩში მენისკის სერიოზულ ტრავმა ჰქონდა მიღებული. მომდევნო დღეებში ტიაგო ტკივილმა იმდენად შეაწუხა, რომ საგულდაგულო სამედიცინო შემოწმების ჩატარება მოითხოვა. "ატლეტიკოს" ექიმებმა დაადგინეს, რომ ახალწვეულს მინიმუმ ერთთვიანი პაუზა სჭირდება. შესაძლოა, მოტამ თვენახევარიც გამოტოვოს.

ამასობაში, მადრიდული კლუბის პრეზიდენტმა, **ენრიკე სერესომ** საგანგებო პრესკონფერენცია მოიწვია და განაცხადა, რომ მთავარ მწვრთნელს ბოლომდე ენდობა. ბევრისთვის ეს მოულოდნელი აღმოჩნდა, რადგან "ატლეტიკოს" პრიმერა დივიზიონში ჯერ არ მოუგია. დიდი ამბიციების მქონე გუნდისთვის, ეს სრულიად მიუღებელი შედეგია, მაგრამ სერესო ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღებას არ აპირებს. პრეზიდენტი საზოგადოებას მოახსენებს, რომ **ხავიერ აგირეს** საკუთარი იდეების ხორცშესხმისთვის დრო სჭირდება. სენიორ ენრიკე მზადაა, მექსიკელ სპეციალისტს ეს დრო მისცეს.

და კიდევ ერთი ცნობა "როხიბლანკოს" ბანაკიდან. "ატლეტიკო" ტორინოელი **ალესანდრო როზინათი** დაინტერესდა. იტალიის ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველს რიგი უდგას. "ინტერი", "რომა", "ჩელსი", "მანჩესტერ სიტი", "მარსელი" და "ბენფიკა" - აი, იმ კლუბების ჩამონათვალი, რომელთაც როზინას ხელში ჩაგდება სურთ. ლისაბონელებმა 20 მილიონი ევროც კი გაამზადეს. "ატლეტიკო" ვილიარეალელი **ხუან რომან რიკელმეს** შეძენის იმედსაც არ კარგავს. მის ტრანსფერზე მუშაობა იანვარში განახლდება.



ხავიერ აგირე მადრიდში რჩება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ კრისტიან ვიერისთან

# ნაკრების თამაშებს აღარ ვუყურებ

## ვიერი: ცხოვრების შეცვლა რომ ცადო, ჯერ საკუთარი თავი უნდა შეცვალო, მაგრამ ეს ჩემს პრინციპებს ეწინააღმდეგება



კრისტიან ვიერი

კრისტიან-ვიერი კვლავ ყურადღების ცენტრშია. კვირას, მან "ფიორენტინის" მაისურით პირველი გოლი გაიტანა. "კორიერე დელო სპორტთან" ინტერვიუში, კლუბის ცვლით განთქმული "ბობო" ფლორენციაში გადასვლის მიზეზებსა და პიკანტურ თემებზეც საუბრობს. ამასთან, ის ყველას აფრთხილებს, რომ მისი ჩამოწერა ნაადრევია...

**- რამ გადაგაწყვეტინა, 34 წლის ასაკში კიდევ ერთი კლუბი გამოგეცვალა? არ შეგეძლო, კარიერა ბერგამოში გაგეგრძელებინა?**

- ბერგამო ჩემი კარიერის უმნიშვნელოვანესი ეტაპი იყო. იქ მოვიგე ბრძოლა როგორც ადამიანმა, ანუ, ადამიანმა, რომელსაც სათქმელი ჯერ ბოლომდე არ უთქვამს. მძიმე ტრავმის შემდეგ "ატალანტამ" საფეხბურთო ცხოვრება დამიბრუნა. ამას არასოდეს დავივიწყებ.

**- ფლორენციაშიც გაქვს ბრძოლა გადასატანი?**

- მინდა, გავიმარჯვო, როგორც ფეხბურთელმა. "ატალანტაში" მხოლოდ 7 მატჩი ჩავატარე. აქ კი, მინდა, ისევ ის კრისტიან ვიერი გავხდე.

**- მძიმე სამუშაოს აუცილებლობა არ გაშინებს?**

- პირიქით, სწორედ ასეთ სამუშაოს ვეძებდი. პრანდელი ფეხბურთზე თავგადაკლული კაცია. ის ყოველთვის ისეთი შეგრძნებით მუშაობს, თითქოს ვილაცის ვალი ჰქონდეს. მეც რაღაც ნაბიჯები უნდა გადავდგა, რათა ძველ დონეს დავუბრუნდე.

**- პრანდელი აცხადებს, რომ ეს არ იქნება ვიერის ბოლო სეზონი, კიდევ ორ-სამ წელიწადს ითამაშებსო...**

- მართალი უთქვამს (იცინის).

**- "ფიორენტინაზე" უფრო სარფიანი შეთავაზებები გქონდა. მაინც რატომ აირჩიე ფლორენცია?**

- პირველი და მთავარი მიზეზი ის გახლდათ, რომ იტალიაში დარჩენა მსურდა. მერე კიდევ ამბიციური გუნდი და ისეთი დიდი მწვრთნელი, როგორიც პრანდელია. მას ჩემი სჯერა და ეს ძალებს მმატებს.

**- ისიც გეცოდინება, რომ "ფიორენტინის" ფანები თავიდან სკეპტიკურად უყურებდნენ შენს ტრანსფერს. როგორ მოხდა, რომ ხალხის განწყობა ერთ დღეში შეიცვალა?**

- როგორ და, მათ დაინახეს, რამხელა დატვირთვით ვმუშაობდი წინასასეზონო შეკრებაზე. შესაძლოა, მათზე იმოქმედა ჩემმა სიტყვებმაც, როცა სრულიად გულწრფელად განვაცხადე - ფლორენციელებთან ერთად რომელიმე პრესტიჟული ჯილდოს მოგება მწადია-მეთქი.

**- მეურვის როლი მოგწონს?**

- ვერ გავიგე, ვისი მეურვის?

**- ჯანპაოლო პაცინის...**

- ყველამ თავის თავს უნდა მიხედოს, მათ შორის მეც. თუმცა თამაშის დროს ერთმანეთის მეურვეობა აუცილებელია. მოედანზე მთავარია გუნდი და არა ერთი რომელიმე ფეხბურთელი.

**- რას მიაღწევს პაცინი?**

- ყველაფერი მასზეა დამოკიდებული. პაცინისა და მონტოლივოს მაღალი კლასი გამოარჩევთ, ამასთან, ახალგაზრდებიც არიან და გამარჯვებები წინ აქვთ. ანუ, ასაკი მათთვის უპირატესობაა და ეს უნდა გამოიყენონ.

**- "ფიორენტინაში" გადასვლის შემდეგ განაცხადე, რომ გუნდი მზადაა, იბრძოლოს ჩემპიონთა ლიგის ზონაში მოსახვედრად. "მილანთან" "სან სიროზე" მიღწეული ფრის შემდეგ ხომ არ გაიზარდა შენი და "ფიორენტინის" ამბიციები?**

- "ფიორენტინა" სერიოზული კლუბია. გაიხსენეთ, გუნდი სერია C-ში იყო, ახლა კი... ახლა, ჩვენ ვალდებულები ვართ, იმაზე ნაკლებად არ ვითამაშოთ, როგორც ეს მილანში იყო. მოედანზე ერთადერთი მიზნით უნდა გავდიოდეთ და მიზანი არის გამარჯვება! თუ მაღალ ამოცანებს ისახავ, გამარჯვებულის მენტალიტეტი უნდა გქონდეს. ნაკლებად მნიშვნელოვანია, მოვხვდებით თუ არა ჩემპიონთა ლიგაში, მთავარია, ყველა შეხვედრაში გამარჯვებისთვის ვიბრძოლოთ.

**- როგორ ფიქრობ, "კალჩოპოლის" სკანდალმა იტალიური ფეხბურთი ხომ არ მოკლა?**

- ჩვენი ფეხბურთის იმიჯს უმძიმესი დარტყმა მიაყენეს. უნდა ვაღიაროთ, რომ დღესდღეობით ინგლისისა და ესპანეთის ჩემპიონატები გაცილებით მაღალ დონეზე არიან. სერია A-ს აღარ აქვს მსოფლიოს უძლიერესი ლიგის სტატუსი. იმედია, ეს დროებითი მოვლენაა.

**- შეიძლება, "იუვენტუსის", "ნაპოლისა" და "ჯენოას" დაბრუნებამ შეუწყოს ხელი კალჩოს აღორძინებას...**

- ძნელია, არ შეაფასო ამ კლუბების როლი. ეს არის უფრო ხალხმრავალი სტადიონები, მეტი აღტაცებული ფანი და მეტი ადრენალინი... ეს უდავოდ დადებითი მოვლენაა.

**- ამავე დროს, იტალიელმა ბომბარდირებმა უცხოეთს მიაშურეს. ტონი გერმანიაში წავიდა, ლუკარელი უკრაინაში, როსი ესპანეთში, ბიანკი ინგლისში...**

- სამაგიეროდ, აქ არიან ინძაგი და კიდევ ბევრი სხვა. საერთოდ, ბომბარდირი ისაა, ვისაც წლების განმავლობაში სტაბილურად გააქვს გოლები. წინა სეზონში, სნაიპერთა შორის ტოტიმ გაიმარჯვა, არადა, ის ფლეიმეიქერი იყო...

**- თუმცა იტალიელი მცველები მსოფლიოში საუკეთესოებად რჩებიან...**

- თუ საუბარია მატერაციზე, ნესტაზე, კანავაროსა და მალდინიზე, მაშინ მართლაც ასეა. ისინი ყოველთვის მწვერვალზე რჩებიან.

**- შენი აზრით, რომელია იდეალური პრეზიდენტი იტალიურ ფეხბურთში?**

- საერთო ენას ყველასთან ვპოულობდი... ან თითქმის ყველასთან. ჩემი სტილი გამჭვირვალე და გულწრფელი ურთიერთობებია. თუმცა ყველა პრეზიდენტს თავისი ინტერესები აქვს და ცდილობს მათ დაცვას. ეს ნორმალურია.

**- უკრაინასთან გამარჯვებაზე რას იტყვი?**

- თუ დამიჯერებთ, რაც ნაკრებიდან წავედი, მისი ერთი თამაშიც არ მინახავს.

**- შეგიძლია, შეადარო ძველი და დღევანდელი მსაჯები?**

- დონე მეტ-ნაკლებად უცვლელი დარჩა.

**- "რომასა" და "იუვენტუსს" შეუძლიათ სკუდეტოსთვის ბრძოლა?**

- "რომას" ნამდვილად შეუძლია. სპალეტის გუნდი შესანიშნავ ფეხბურთს თამაშობს.

**- "იუვენტუსი"?**

- სკუდეტო? არ მჯერა...

**- გაუწევს "მილანი" "ინტერს" კონკურენციას?**

- "ინტერი" იტალიაში უძლიერესია, ეს ყველამ უნდა აღიაროს. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ აუცილებლად გაიმარჯვებს... მაგრამ, მოდით, შევეშვათ პროგნოზებს, ისინი ხშირად არ მართლდება.

**- რომელი გუნდი გახდება ჩემპიონატის აღმოჩენა?**

- ჩემი აზრით, არც ერთი. იტალიის ჩემპიონატებში ასეთი რამ იშვიათად, ან საერთოდ არ ხდება.

**- და რატომ?**

- იმიტომ, გრანდებსა და პატარა კლუბებს შორის უფსკრულია.

**- ...მაგრამ ხომ გახდა "სამპდორია" ჩემპიონი 90-ანი წლების დასაწყისში?**

- კი, მაგრამ მაშინ იტალიას "დიდი შვიდეული" ჰყავდა...

**- ამ შვიდეულში "ფიორენტინაც" შედიოდა?**

- ულაპარაკოდ. მართალია, "ფიორენტინას" მაშინ სკუდეტო არ მოუგია, მაგრამ გაიხსენეთ, რა ხალხი თამაშობდა აქ: რუი კოშტა, ბატისტუტა, ტოლდო...

**- დღეს როგორია "ფიორენტინა"?**

- ამ გუნდს ნებისმიერი ძალის მეტოქისთვის შეუძლია კონკურენციის გაწევა.

**- ბატისტუტას ფლორენციაში დღემდე აღტაცებით იგონებენ. "ფიორენტინის" ფორვარდებისთვის მასთან პარალელების გავლება გარდაუვალია. პირველ რიგში, საუბარია ფიზიკურ სიძლიერესა და შედეგიანობაზე...**

- მთელი ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში ბატისტუტა მსოფლიოს საუკეთესო ფორვარდი იყო. ჩვენ "ინტერში" ერთად ვიყავით. მაშინ ის 34 წლის იყო და ბევრი ამბობდა, შესაძლებლობები უკვე ამოწურაო. მაგრამ ეს არ იყო მართალი. შესაძლოა, "ინტერში" ყოფნისას მან გადაიტანა ის, რაც მე "მილანში" დამემართა. რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, მას ხელს უშლიდა რაც შეიძლება ბევრი გოლის გატანის დაუოკებელი წყურვილი. ეს დამატებითი წნეხი იყო, რაც პრობლემებს ქმნიდა. მიუხედავად ამისა, ბატისტუტა ფანტასტიკური ეპოქის განსახიერება გახდა.

**- ხასიათი ხომ არ გაგიფუჭა ბატისტუტასთან შედარებამ?**

- ხასიათი გამიფუჭა? რას ამბობ? პირიქით, ეს ჩემთვის დიდი პატივია.

**- ვინ არის დღეს ევროპის უძლიერესი თავდამსხმელი?**

- ჩემი აზრით, ვან ნისტელროი... და კიდევ ეტო'ო.

**- როგორ გამოვლენ იტალიური კლუბები ევროტურნირებში?**

- იმედია, წამყვანი კლუბები თავს არ შეირცხვენენ. ამ წელს, ევროტურნირებში "ფიორენტინაც" ითამაშებს. ოთხშაბათს, უეფას თასზე "გრონინგენს" ვხვდებით. ეს დიდი დღე იქნება ფლორენციისთვის.

**- რას ფიქრობ ცხოვრებაზე?**

- ნახე, რა მაწერია ხელზე: "ჩემი ცხოვრება მხოლოდ ჩემზეა დამოკიდებული".

**- წარსულში დაბრუნების საშუალება რომ მოგეცეს, რას შეცვლიდი შენს ცხოვრებაში?**

- არაფერს. ჩემს საქციელზე წუწუნი არ მჩვევია. ცხოვრების შეცვლა რომ სცადო, ჯერ საკუთარი თავი უნდა შეცვალო, ეს კი ჩემს პრინციპების ეწინააღმდეგება.

**- მოდას დიდ ყურადღებას აქცევ...**

- თავიდან ეს მხოლოდ გართობა იყო, მალდინისთან და სხვა მეგობრებთან ერთად. მაგრამ დროთა განმავლობაში გართობა რაღაც უფრო სერიოზულში გადაიზარდა.

**- ვიერის სექს-სიმბოლოს იმიჯი აქვს. რითი ხიბლავ ქალებს? თანაც, შესანიშნავ ქალებს...**

- ხშირად ვესწრები მოდების ჩვენებას, სადაც ბევრი ლამაზი ქალი ტრიალებს...

**- დაოჯახება არ გიფიქრია?**

- მოიცა, მოიცა! არ გვინდა ამაზე, წერილებით ამავსებენ (იცინის). წარმოვიდგენ ხოლმე საკუთარ თავს ბავშვების გარემოცვაში... არ ვიცი, როდის მეყოლება შვილები, ან რამდენი მეყოლება, მაგრამ... მაგრამ სურვილი კი ნამდვილად მაქვს...

**- გოგონა თუ ბიჭი?**

- არ აქვს მნიშვნელობა.

**- კინო, მუსიკა, თეატრი. როგორ ატარებ დროს?**

- კინო ძალიან მიყვარს და კვირაში მინიმუმ ორჯერ კინოთეატრშიც ვზივარ. ამას გარდა, DVD-დისკებს ვყიდულობ და შინაც ვუყურებ ხოლმე.

**- რომელ ჟანრს ანიჭებ უპირატესობას?**

- ყველას, საშინელებათა ფილმების გარდა.

**- შენ და პოლიტიკა...**

- უმჯობესია, გავჩუმდე.

**- შენ და ფული...**

- ამ ზაფხულს უარი ვთქვი დიდ ფულზე იმის გამო, რომ იტალიაში დავრჩენილიყავი. თუმცა ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში ფული მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

**- შენ და ხელოვნება...**

- სახლში რამდენიმე ნახატი მაქვს. მართლია, ისინი ნაკლებად ცნობილ მხატვრებს ეკუთვნით, მაგრამ ჩემთვის მთავარი ყვავილები და ნათელი ფერებია...

**- შენ და სექსი...**

- (იცინის, მაგრამ მერე სერიოზულად პასუხობს). ადრე, საათში ათასი კილომეტრი სიჩქარით დავდიოდი, ახლა ეს უკვე შეუძლებელია.



დოლი ციგლერს: გმადლობთ, მაგრამ აღარ მჭირდები!

დორტმუნდი

# ვირო, მადლიო...

## ციგლერი შესანიშნავი იყო, მაგრამ ვაიდენფელერი პირველია!

ბუნდესლიგის პირველ ორ ტურში, დორტმუნდის "ბორუსიის" კარი ჩვეულებისამებრ **რომან ვაიდენფელერმა** დაიცვა. როგორც იცით, BVB-მ ორივე მატჩი წააგო და ორი ტურის შემდეგ, სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზე იყო. მაგრამ მეორე ტურში, "შალკესთან" უპრინციპულეს შეხვედრაში ვაიდენფელერმა გელზენკირხენელ **ჯერალდ ასამოას** სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა (ჯერალდი ამბობდა, შავი ლორი მიწოდაო, მაგრამ რომანს ცისფერი ლორის თქმა დაუმტკიცეს (?!), რის გამოც მას სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯა. შესაბამისად, მომდევნო სამ შეხვედრაში, "ბორუსიის" კარში 31 წლის **მარკ ციგლერი** იდგა და უნდა ითქვას, რომ თავის ამოცანას მოსალოდნელზე გაცილებით უკეთ გაართვა თავი. თავად განსაჯეთ, ბოლო სამ ტურში "დორტმუნდმა" სამივე თამაში მოიგო და რაც მთავარია, გოლი აღარ გაუშვა (ბურთების შეფარდება: 7:0). მიუხედავად ამისა, მომავალ შაბათს ციგლერი ისევ სათადარიგო იქნება, რადგან ვაიდენფელერს დისკვალიფიკაცია გაუვიდა და "ჰერტასთან" "ბორუსიის" კარს ისევ რომანი დაიცავს.

ექსპერტების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ BVB-ს თავკაცი **თომას დოლი** დიდ შეცდომას უშვებს. რომ ძირითად შემადგენლობაში თამაშს ვაიდენფელერზე მეტად სწორედ ციგლერი იმსახურებს, რაც ამ უკანასკნელმა ხსენებულ სამ შეხვედრაში არაერთხელ დაამტკიცა, როცა მკვდარ ბურთებს იგერიებდა. დორტმუნდული კლუბის სპორტული დირექტორი **მიხაელ ცორკი** ძალიან ბრაზდება, როცა ამ მოსაზრებას ისმენს. *"რისი თქმა გსურთ? გინდათ, რომ გუნდში სკანდალი მოხდეს? ჩვენ ციგლერი სწორედ ასეთი შემთხვევებისთვის ვიყიდეთ და ეს მანაც კარგად იცის. ამ სამ ტურში მან თავისი საქმე ძალიან კარგად გააკეთა, გაშვებული გოლისგან არაერთხელ გვიხსნა და მოკლედ, ვაიდენფელერი იდეალურად შეცვალა, მაგრამ მწვრთნელს გასაგებად აქვს ნათქვამი, რომ გუნდის პირველი მეკარე რომანია!"* - აცხადებს ცორკი.

"ბორუსიის" ბოსს 100 პროცენტით ეთანხმება 35 წლის **გეორგ კოხი**, რომელიც ბუნდესლიგაში წლების განმავლობაში თამაშობდა, ვაიდენფელერს "კაიზერსლაუტერნიდან" იცნობს და რომელიც ახლა ზაგრების "დინამოშია". *"ლოგიკურია, რომ დოლი ისევ რომანს ენდობა. ვაიდენფელერი ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა და ჩემი აზრით, გერმანიის ნაკრებშიც უნდა გამოიძახონ. ორი თამაშის ჩაგდების გამო ხელი არ უნდა ჰკრა მეკარეს, რომელმაც დორტმუნდელ ქომაგებს იენს ლემანი დაავიწყა!"* - ამბობს კოხი.

და რას ფიქრობს თვითონ ციგლერი თავისივე დეგრადაციაზე? *"ცხადია, მინდოდა, რომ სასტარტო შემადგენლობაში ადგილი დამემკვიდრებინა, მაგრამ ამაზე უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ დავამტკიცე, საჭიროების შემთხვევაში ჩემი ნდობა რომ შეიძლება,"* - ამბობს ვაიდენფელერის დუბლიორი. მისთვის დიდი ვერაფერი შეღავათია ის, რომ ოქტომბრის ბოლოს, გერმანიის თასის მომდევნო ეტაპზე, რომელშიც "ბორუსია" "აინტრახტს" დაუპირისპირდება, თამაში აუცილებლად მოუწევს, რადგან ვაიდენფელერი იქაც დისკვალიფიცირებულია, ოლონდ მხოლოდ ერთი მატჩით...

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარსელონა. კრიზისი

# რიიკაარდს წყალი შეუდგა

## ჰოლანდიელს სამმატჩიანი ვადა მისცეს, პრეზიდენტი ლაპორტა უკმაყოფილოა და მწვრთნელის გათავისუფლებას აპირებსო...



ფრანკ რიიკაარდს გათავისუფლება ემუქრებაო

პრიმერა დივიზიონის წინა ტურში, "ოსასუნასთან" წაფორხილებამ კატალონიაში მრავალი კითხვა გააჩინა. ოდნავადაც არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ საფეხბურთო საზოგადოება სათაყვანებელი "ბარსელონის" წლევანდელი სტარტით სასოწარკვეთილი და იმედგაცრუებულია. ბუნებრივია, ყველას კარგად ესმის, რომ სეზონი ესესაა დაიწყო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ "ბარსას" სამი ტურის შემდეგ დაკარგული ოთხი ქულის ამოქაჩვის შესაძლებლობა არაერთხელ მიეცემა. დიახ, ეს უტყუარი ფაქტია, მაგრამ კატალონიელი ინჩასები მაინც ღელავენ და მიიჩნევენ, რომ **ფრანკ რიიკაარდმა** მთავარი მწვრთნელის პოსტზე საკუთარი შესაძლებლობები ამოწურა.

როგორც ჩანს, ესპანური გრანდის ხელმძღვანელობაც ამ დასკვნამდე მივიდა. სპორტულ გაზეთებში გამოქვეყნებული ინფორმაცია გვაფიქრებინებს, რომ პრეზიდენტსა და რიიკაარდს ძალიან სერიოზული საუბრის გამართვა მოუწევთ. ესპანელი ჟურნალისტები სანდო წყაროებზე დაყრდნობით იუწყებიან, რომ ჰოლანდიელმა სპეციალისტმა კლუბის მესვეურთა ნდობა დაკარგა. **ხოან ლაპორტასა** და **ჩიკი ბეგირისტაინს** განვლილმა მატჩებმა საშინელი შთაბეჭდილება შეუქმნა. მთავარი პრობლემა არა იმდენად შედეგი (უკვე ვისაუბრეთ, რომ სეზონის სტარტზე დაკარგული ოთხი ქულის ამოქაჩვა არ არის დიდი სირთულე), არამედ თამაშის ხარისხია. კატალონიური გიგანტის ხელმძღვანელებმა მიმდინარე სეზონის დაწყების წინ ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ შემადგენლობა მნიშვნელოვნად გაძლიერებულიყო. ამასთან, ისიც ალსანიშნავია, რომ სენიორ ლაპორტას არც ერთი ეგრეთ წოდებული ბოლო წამის ტრანსფერი არ გაუჩარხავს. რიიკაარდს საშუალება ჰქონდა, ახალწვეულებთან მთელი პრეტემპორადის განმავლობაში მშვიდად ემუშავა და გუნდი ფუნქციურად კარგად მოემზადებინა. როგორც ხედავთ, "ბარსელონა" ახალ ჩემპიონატს, ფაქტობრივად, მოუმზადებელი შეხვდა. თვალშისაცემია, რომ რგოლებს საერთო ენის გამონახვა უჭირთ. ჰოლანდიელმა **ტიერი ანრის** ახალ გუნდთან ადაპტაციაში ხელი ვერ შეუწყო. არადა, ფრანგი "ბარსას" სტილისთვის ზედგამოჭრილი ფორვარდია. ყოველივე ამის გამო, ლაპორტა მთავარი მწვრთნელის შეცვლაზე სერიოზულად დაფიქრდა...

"დიარიო მარკაში" ვკითხულობთ, რომ ბატონ ფრანკს სამმატჩიანი გამოსაცდელი ვადა დაუნიშნეს. თუ "ლიონთან", "სევილიასა" და "სარაგოსასთან" შეხვედრების შემდეგ შედეგი და სათამაშო ხარისხი კვლავ უარყოფითი იქნება, მას თანამდებობიდან გაათავისუფლებენ. ბუნებრივია, დირექტორატს მოვლენათა ამგვარი სცენარით განვითარების შემთხვევაში ახალი მთავარი მწვრთნელის უმოკლეს დროში დანიშვნა მოუწევს. აქ კი პრობლემები გარდაუვალი იქნება. სეზონის მსვლელობისას გარედან რომელიმე სპეციალისტის მოყვანა ძალიან სარისკო იქნება. თავად განსაჯეთ, ახალ მწვრთნელს ძალაუნებურად ცაიტნოტის პირობებში მუშაობა მოუწევს. შეგირდებისა და "ბარსელონის" მსოფლმხედველობის გასაცნობად მას დრო საერთოდ არ ექნება. ამ სიტუაციაში კი ვერავინ გასცემს საიმისო გარანტიას, რომ გუნდი უკეთ ათამაშდება. საუკეთესო გამოსავალი ალბათ, შიდა რესურსის გამოყენებაა. მაგრამ ბუნებრივად ისმის კითხვა, ვინ არის ის კაცი, რომელიც "ბარსელონის" ძირითადი გუნდის წარმატებით გაძღოლას შეძლებს?! ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, კატალონიური გრანდის ბანაკში ამ მომენტისთვის ასეთი კაცი არ მოიძებნება.

ამასობაში, ფრანკ რიიკაარდს კატალონიური ტელევიზიის ჟურნალისტებმაც შეუტიეს. ყოველკვირეულ გადაცემაში განიხილეს, თუ რამდენად სწორი გადაწყვეტილება მიიღო "ბარსას" დამრიგებელმა, როცა "ოსასუნასთან" მატჩის დასრულებამდე მცირე ხნით ადრე **რონალდინიო** შეცვალა. მედიელების აზრით, ამ ნაბიჯით ისედაც ინერტული თავდასხმა კიდევ უფრო დასუსტდა. გადაცემაშივე გაირკვა, რომ რიიკაარდმა გაუჩოს მოედანი დასჯის მიზნით დაატოვებინა. თურმე ბრაზილიელი შეხვედრის მსვლელობისას უპასუხისმგებლოდ ირჯებოდა და დამრიგებელს თავი მოაბეზრა. რიიკაარდის დამცველის მიერ გამოთქმულმა არგუმენტმა ოპონენტებს გული ვერ მოულბო. მათი აზრით, ბატონ ფრანკს რონალდინიოს მდგომარეობა თამაშამდე უნდა შეესწავლა და თუ აღმოაჩენდა, რომ მზად არ იყო, ძირითად შემადგენლობაში საერთოდ არ უნდა დაეყენებინა. სატელევიზიო კინკლაობამ კიდევ დიდ ხანს გასტანა. მაყურებელს ცხადი შთაბეჭდილება შეექმნებოდა, რომ ფრანკ რიიკაარდს წყალი შეუდგა...

**ილია ნიკოლაიშვილი**



ფაბიო კაპელო იფიქრებს, წავიდეს თუ არა კიევში

კიევის დინამო

# ულიე არ გამოვიდა, კაპელო?

კიევის "დინამოს" პრეზიდენტმა **იგორ სურკისმა** ჟურნალისტებს აუწყა, წლის დასაწყისში **ჟერარ ულიესთან** წინასწარი კონტრაქტი გავაფორმეთო. ფრანგ სპეციალისტს უკრაინაში მუშაობა 1 ივლისს უნდა დაეწყო, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, სარფიან კონტრაქტზე უარი თქვა. ცოტა ხნის წინ მას საფრანგეთის ნაკრების ტექნიკური დირექტორის პოსტი უბოძეს. უკრაინული მედია იუწყება, რომ გასულ ოთხშაბათს კიევში იმყოფებოდა **ფაბიო კაპელო**. "რეალის" ყოფილი თავკაცი ტელეკომპანია "რაის" ეთერში უკრაინისა და იტალიის ნაკრებთა მატჩს გაუძღვა. თამაშამდე ის "დინამოს" პრეზიდენტს შეხვდა. საუბარმა თითქმის ორ საათს გასტანა. მისი დეტალები არ გახმაურებულა. ჟურნალისტთა ვარაუდით, დონ ფაბიოსაც "დინამოში" მუშაობა შესთავაზეს. კიევურ გრანდთან დაახლოებული წყარო იუწყება, რომ იტალიელ მწვრთნელს წინადადება მოეწონა, თუმცა მოსაფიქრებლად დრო ითხოვა.

### ჰილდებრანდი უკმაყოფილოა

**ტიმო ჰილდებრანდი** უკმაყოფილოა. ესპანეთში სეზონი დაიწყო, მას კი თამაშის საშუალება არ ეძლევა. გასულ ზაფხულს ტიმონატორმა "ვალენსიას" მიაშურა. ის თავისუფალი აგენტი იყო. "შტუტგარტს" ერთი ცენტიც კი არ მიუღია. სამაგიეროდ, ფეხბურთელს სარფიანი კონტრაქტი გაუფორმეს. ჰილდებრანდი ესპანეთში სათამაშოდ გადავიდა. ის მთელი წლის განმავლობაში სკამზე ჯდომას არ აპირებს. ვალენსიელთა თავკაცი **კიკე სანჩეს ფლორესი** ძირითადში **სანტიაგო კანისარესს** ათამაშებს. თუ ვითარება არ შეიცვლება, გერმანელი გოლკიპერი მწვრთნელს შეხვდება და გაარკვევს, უპირებენ თუ არა კარში ჩაყენებას.

### ბელამიმ შვებულება გამოიწერა

პრემიერლიგის ბოლო ტურში "ვესტ ჰემმა" "მიდლსბროს" დიდი ანგარიშით მოუგო, 3:0. ლონდონელებს ეს გამარჯვება ძვირად დაუჯდათ. 26-ე წუთზე მძიმედ დაშავდა მათი საუკეთესო თავდამსხმელი **კრეიგ ბელამი**. ის დაუყოვნებლივ შეცვალეს. უელსელის ნაცვლად მინდორზე **კარლტონ კოული** გამოვიდა. "ჩაქუჩებმა" სწორედ ამ ეპიზოდის შემდეგ გაიტანეს სამი უპასუხო გოლი. ბელამის სამედიცინო შემოწმება ჩაუტარეს. დიაგნოზი ასეთია: ფეხბურთელს საზარდულის ტრავმა აქვს და დასვენება სჭირდება. კრეიგი "ვესტ ჰემში" ზაფხულის ტრანსფერებისას "ნიუკასლიდან" გადავიდა. მის სანაცვლოდ 7.5 მილიონი გირვანქა გადაიხადეს.

### სელტიკიდან მანჩესტერში?

"მანჩესტერ იუნაიტედი" "სელტიკის" ცენტრალური ნახევარმცველით, **სკოტ ბრაუნით** დაინტერესდა. შოტლანდიელი მიმომხილველები ამ ბიჭს გლაზგოელ რიბერის უწოდებენ. **სერ ალექს ფერგიუსონმა** მას შოტლანდიის ნაკრების მატჩისას მიაქცია ყურადღება და "მენიუს" ემისრებს ტრანსფერისათვის ნიადაგის მოსინჯვა დაავალა. ბრაუნს გაათმაგებული ინტერესით დააკვირდებიან. იანვრის ფანჯრის გახსნისას კი "სელტიკთან" მოლაპარაკებები დაიწყება.

### ამორუზო ბირმინგემში მიდის?

რეჯინელმა თავდამსხმელმა **ნიკოლა ამორუზომ** "ასტონ ვილის" ყურადღება მიიპყრო. 32 წლის ვეტერანმა გასულ სეზონში 17 გოლი გაიტანა. ის კარიერის დასრულებას კალაბრიულ კლუბში აპირებდა, მაგრამ ინგლისელთა გააქტიურებამ მისი გეგმები თავდაყირა დააყენა. ბირმინგემელები ამორუზოს გაცილებით სარფიან კონტრაქტს შესთავაზებენ. ნიკოლას მთხოვნელები ზაფხულშიც არ აკლდა. ის დონეცკის "შახტარსა" და "ფიორენტინაში" მიიწვიეს, მაგრამ ამ კლუბებს 4.5 მილიონი ევროს გადახდა ჭკუაში არ დაუჯდათ. "ვილა" თანახმაა, ფეხბურთელი ამ ფასად შეიძინოს.

ტოტენჰემი

# კლინსმანს მამალი თვალში არ მოუვიდა

## ლონდონური კლუბი იყიდება, მყიდველს კი არავინ იცნობს...

**იურგენ კლინსმანმა** "მამლების" განვრთნაზე უარი თქვა. "მირორის" ცნობით, გერმანელს "ტოტენჰემი" ეპატარავება და უფრო დიდ კლუბში მუშაობა სურს, მაგალითად, "ჩელსიში". "ტოტენჰემის" ყოფილი ვარსკვლავი ოცნებობს, ერთ მშვენიერ დღეს **ჟოზე მოურინიოს** საქმეები გადააბარონ. წლის დასაწყისში, როცა მოურინიოსა და **რომან აბრამოვიჩის** დაპირისპირებამ პიკს მიაღწია, კლინსმანი ერთი იმათგანი იყო, რომელსაც "ჩელსიში" დანიშვნა უწინასწარმეტყველეს. მაშინ გერმანელმა კალიფორნიაში, ოჯახთან ერთად ყოფნა ისურვა. ზაფხულის დადგომისთანავე გავრცელდა ინფორმაცია, კლინსის "ლოს ანჯელეს გალაქსიში" იწვევენო. ჯერჯერობით იურგენი არც "გალაქსიში" მიუწვევიათ. ბრიტანულმა ტოტალიზატორმა "ლედროკსმა" კი გერმანელი სპეციალისტი "ტოტენჰემის" სავარაუდო მწვრთნელთა ნუსხაში შეიყვანა და მისი გამწვრთნელება 7/2-ზე შეაფასა.

სანამ მწვრთნელის საკითხი გაირკვეოდეს, "ტოტენჰემის" აქციები ხელიდან ხელში გადადის. "გარდიანის" ცნობით, ბოლო ერთი კვირის განმავლობაში სულ ცოტა 1 მილიონ აქციას გამოუჩნდა ახალი მფლობელი. ლონდონელთა ბოსი **დანიელ ლევი** კლუბის გაყიდვას აპირებს. ის 250 მილიონ გირვანქას ითხოვს. დაინტერესება დიდია. პოტენციურ ინვესტორებთან მოლაპარაკებები ინტენსიურად მიმდინარეობს. უცნობია, ვინ შეიძენს პოპულარულ დედაქალაქურ კლუბს. ლევიმ ყოფილი თავმჯდომარის, **სერ ალან შუგარისაგან** "ტოტენჰემის" აქციების 12 პროცენტი გასულ ზაფხულს შეიძინა და კლუბის ოფიციალური მეპატრონე გახდა.

და კიდევ, "მამლებმა" ნიგერიის 17-წლამდელთა ნაკრების თავდამსხმელ **მაკოლი კრისანტუსს** დაადგეს თვალი. ის ახლახან დასრულებული 17-წლამდელთა მუნდიალის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, გაიტანა რა შვიდ მატჩში შვიდი გოლი. "ტოტენჰემი" კრისანტუსში 2.3 მილიონ გირვანქას იხდის. "ლივერპულსა" და "რეალს" მხოლოდ 1.5 მილიონი ემეტებათ. ფეხბურთელის სატრანსფერო უფლებებს მისი აგენტი **ადამ მოჰამედი** ფლობს. ის ინგლისში იმყოფება და დაინტერესებულ მხარეებთან მოლაპარაკებებს აწარმოებს.




იურგენ კლინსმანი ტოტენჰემის კიდევ ორ ვარსკვლავთან, დავიდ ჟინოლასა და ლეს ფერდინანდთან ერთად

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ფიგუს გალაქსიში?

"კორიერე დელო სპორტის" ცნობით, "ლოს ანჯელეს გალაქსის" **ლუიშ ფიგუსთან** თანამშრომლობა სურს. პოპულარული გაზეთი გვაუწყებს, ამერიკელთა გენერალური მენეჯერი **ალექსი ლალასი** მილანში იმყოფება და გალაქტიკოსთან მოლაპარაკებებს მართავსო. ფიგუს "ინტერთან" კონტრაქტი ივნისში უმთავრდება. თუ სარფიან პირობებს შესთავაზებენ, ჰოლივუდში ისიც დაუფიქრებლად გაემგზავრება. სპეკულაციების თანახმად, ამერიკელებს **ზინედინ ზიდანის** გადაბირებაც სურთ. არც ფიგუს და არც ზიდანს მოსალოდნელ ტრანსფერთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებიათ.

გაირკვა, რომ "გალაქსი" ამხანაგურ მატჩს ახალ ზელანდიაშიც გამართავს. ნოემბრის მიწურულს ამერიკული კლუბი ოკეანეთში გაემგზავრება. "გალაქსიმ" **დევიდ ბექჰემი** უნდა იახლოს. თუ ინგლისელი გალაქტიკო ტრავმას ვერ მოიშუშებს, ტურნე გაურკვეველი ვადით გადაიდება. ყველაზე პესიმისტური პროგნოზითაც კი ბექზი ზამთრის დადგომამდე უნდა გამოჯანმრთელდეს. ესე იგი, ტურნეს არაფერი ემუქრება. ლოსანჯელესელები ავსტრალიაში სიდნეის საფეხბურთო კლუბთან ითამაშებენ. სიდნეელთა ღირსებას ერთი მატჩით დაქირავებული **ზინედინ ზიდანი** დაიცავს. შემდეგ "გალაქსი" ზელანდიისაკენ აიღებენ გეზს და "ველინგტონს" შეხვდება. "ველინგტონი" ავსტრალიის A ლიგაში ასპარეზობს. ამერიკელთა სტუმრობა ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში ფეხბურთის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი



ნიკა მეტრეველი

# მეტრეველი და მონტეპასკი

## პირველი ნაბიჯი დიდ კალათბურთში

1991 წელს დაბადებული, 210 სმ სიმაღლის **ნიკა მეტრეველი** იტალიის ჩემპიონის, "მონტეპასკის" თორმეტკაციან განაცხადშია. ხიმინის "კრაზსიდან" სიენურ კლუბში გადასული ქართველი აგვისტოდან "მონტეპასკის" პირველ გუნდთან ერთად ვარჯიშობს. მწვრთნელმა **სიმონე პიანიჯანიმ** იგი საერთაშორისო ტურნირზე 12-კაციან განაცხადში შეიყვანა. მატჩები ქულაქულაში რომ არ წასულიყო, ეგებ მეტრეველი მოედანზეც გამოჩენილიყო.

ნიკამ სათადარიგოთა სკამიდან უყურა, როგორ დაამარცხეს მისმა თანაკლუბელებმა ესპანური "უნიკახა" (79:65). ხოლო მეორე დღეს, ფინალში "მონტეპასკიმ" მოსკოვის ცსკა-საც სძლია - 72:67. ქართველი მეფარე ამჯერადაც სათადარიგო იყო. იმედი დავიტოვოთ, რომ ახალგაზრდა ქართველს იტალიის ჩემპიონატსა და ევროლიგაზე, შედარებით იოლ მატჩებში მიეცემა თავის გამოჩენის შანსი.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ძალოსნობა

მსოფლიო ჩემპიონატი

# ფორტუნის ღიმილი, 4.8 ქულა

გუშინდელი დღე დილის ათის ნახევარზე 62 კილომდე ათლეტებმა გახსნეს: ზედიზედ სამი ჯგუფი გამოვიდა და ამის შემდეგ, საღამოს 5 საათზე დაიწყეს ასპარეზობა ჩვენთვის საინტერესო სპორტსმენებმა - 56 კილოში თამაშდებოდა მედლები. აქ ქართველმა კი იასპარეზა - **ზვიად სამუკაშვილმა,** მაგრამ C ჯგუფში და წინასწარი მონაცემებით 26-ე ადგილზე იყო. ეს კი ჩასათვლელ ზონას ერთით სცილდებოდა.

დარჩენილ ჯგუფებში თუკი ვინმე საწყის წონას ვერ დაძლევდა, ან ქართველის 230 კილოგრამზე უარეს შედეგს აჩვენებდა, სამუკაშვილი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხვდებოდა 25 კაცში. ამის დიდი შანსი იყო, განსაკუთრებით უძლიერეს, A ჯგუფში და თუ რატომ გუშინ მოგახსენეთ. საბედნიეროდ, ჩვენი მოლოდინი გამართლდა და ოთხ მონაწილეს მოეცარა ხელი, რამაც სამუკაშვილი 26-ე ადგილიდან 22-მდე ალაზევა. ფაქტი სასიხარულოა, 22 ადგილი ოლიმპიადის სალიცენზიო ჩათვლაში 4 ქულას იძლევა და ცუდი ნამდვილად არ არის, თუმცა გული მაინც გვეთანაღრება, რომ ზვიადმა მეტი ვერ შეძლო.

4 ქულა კი მოვიპოვეთ, მაგრამ დადგენილი წესით ეს 4 ქულა 1,2-ზე მრავლდება, ამიტომ საქართველოს ნაკრებს 4,8 ქულა შეემატა. საქმე ის არის, რომ შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე სანტო დომინგოში, ყველა ქვეყანას დაგროვილი ქულების შესაბამისად გარკვეული კოეფიციენტი მიენიჭა; საქართველომ 51 ქულა დააგროვა და 1,2 ერგო.

ამ წონაში მსოფლიო ჩემპიონი ჩრდილოკორეელი **ჩა კუმ ჩოლი** გახდა (383 კგ), მეორეზე შარშანდელი ჩემპიონი, იმავე შედეგის პატრონი, მაგრამ 50 გრამით მძიმე, ჩინელი **ლი ჭენი** გავიდა, მესამეზე - ინდონეზიელი **ეკო იული ირავანი** - 278.

მსოფლიო ჩემპიონატს ოლიმპიური თამაშებისგან ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი გამოარჩევს - აქ მედლები ორჭიდშიც თამაშდება და ცალკეულ მოძრაობებში ცალ-ცალკეც. ორჭიდისა, ატაცისა და აკვრის მედლები ზუსტად ერთნაირია და დაჯილდოების ცერემონიალიც, სადაც გამარჯვებულის ქვეყნის ჰიმნი ჟღერს. საერთო გუნდურ ჩათვლაში კი მედალთა რაოდენობასაც ითვალისწინებენ. ამ ნიშნით **გიორგი ასანიძე** ორგზის მსოფლიო ჩემპიონია - როცა 2001 წელს ჯერ ატაცში მოიგო ოქრო და შემდეგ - ორჭიდის ჯამშიც საუკეთესო გახდა. სამწუხაროდ, დღეისთვის ასანიძე ვერ არის ისეთ ფორმაში, რომ ჩემპიონობისთვის იბრძოლოს, თუმცა ბეჩავიც არაა და დღითი-დღე უმატებს. ეს ასეა და ძალიანაც გვიხარია - ეჭვი არ არის, პეკინის ოლიმპიადისთვის გიორგი საჭირო ფორმას დაიბრუნებს, იქამდე ისიც და ნაკრების სხვა წევრებიც მოახლოებული შეჯიბრებების მოლოდინში არიან და გეგმის მიხედვით ვარჯიშობენ. ზედმეტი წონის პრობლემა არავის ექნება - პირიქით, ზოგიერთმა ისიც კი თქვა, ცოტა მეტიც დავიკელი და კონტროლი ამასაც სჭირდებაო.



გიორგი ასანიძემ ოლიმპიადისთვის ფორმაში შესვლა უნდა მოასწროს

საშეჯიბრო დარბაზში და ყველგან სიცხე რომ შემაწუხებელია, წინა რეპორტაჟებშიც გითხარით. ვიფიქრე, მიხედავენ ამ საკითხს-მეთქი, მაგრამ ძალიანაც არ შეწუხებულან. მართალია, დარბაზში რამდენიმე ვენტილატორი დაამატეს, მაგრამ სრულ კომფორტამდე შორია. ერთია, რომ მედიისათვის სპეციალური ადგილი, მაგიდათა რამდენიმე წყება, ორრიგად გამართეს და ვენტილატორი ახლოს დაგვიდგეს, აქ კი მართლა მოვითქვით სული და ასპარეზობის ხილვა თავიდან ბოლომდე შესაძლებელი გახდა. პრესცენტრმაც გამოასწორა მუშაობა და ყველა ინფორმაციას სწრაფად ვიღებთ - მაგიდებზე ყველა საჭირო ქაღალდი დევს. ერთია, პრესცენტრში ინტერნეტის გამართვას არ დაადგა საშველი და ამიტომ სხვადასხვა ადგილს ვეძებთ, რომ კომპიუტერთან მუშაობა შევძლოთ. იმედია, ამ დღეებში ამასაც მოევლება, თორემ ჩვენისთანა მოკლეჯიბიანი ჟურნალისტებისთვის ჩიან მაის ინტერნეტ კაფეებში საათობით სტუმრობა მეტად დიდი ფუფუნებაა...

გასაკვირია ერთი ფაქტიც: ქალაქში თითქმის ვერსად ნახავთ აფიშებს, ბილბორდებს და სხვა სარეკლამო საშუალებას, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატზე იუწყებოდეს, არადა აქაურ ნაციონალურ ტელევიზიას პირდაპირი რეპორტაჟები მიჰყავს. ტელეაუდიტორია საკმაოდ დიდი უნდა იყოს, მაგრამ ეს არაფრით ეტყობა დარბაზს - ამდენი გულშემატკივარი, ქართულ ფეხბურთზე არ ვიტყვი და, რახან ყველაზე კარგად ამ სახეობის ამბავი ვიცი - ხელბურთზე დადის.

გუშინ, პირველი დღისგან განსხვავებით ბევრად ნაკლები გულშემატკივარი ჰყავდა დარბაზს და ეს იმ დროს, ვაჟთა შორის 56 კილოში მედლები რომ თამაშდებოდა. მართალია, პირველ დღეს აქაურთა სიმრავლე გასაგები იყო - ქალთა შორის, 48 კილოში 2 ტაილანდელი გამოდიოდა და თანაც ფავორიტები, მაგრამ უმეტესობა სტუდენტების დიდი ჯგუფი იყო, საქომაგოდ საგანგებოდ მოყვანილი, დაახლოებით 500 კაცი. ყველას ყვითელი მაისური ეცვა და ინკუბატორში გამოჩეკილი წიწილებივით ჩანდნენ ჩრდილოეთ ტრიბუნაზე. სიმართლე გითხრათ, მეორე დღეს რომ ველარ შევნიშნე ეს ჯგუფი, ძალიანაც გამიხარდა, იმიტომ, რომ ზღვარგადასულად ხმაურობდნენ, რაც ძალოსნობაში სასტიკად აკრძალულია - ათლეტის გამოსვლის დროს დარბაზში ბუზის გაფრენის ხმა უნდა ისმოდეს.

აქამდე არაფერი გვითქვამს ქალთა შესახებ, თუმცა გუშინ, მთლიანად ვაჟთა დღე იყო. მანდილოსნებმა მხოლოდ პირველ დღეს იასპარეზეს - 48 კილოგრამამდე ქალბატონებმა მოსინჯეს მკლავის ძალა. როგორც გითხარით, ფავორიტებად ორი ტაილანდელი და, ცხადია, რამდენიმე სხვაც - მათ შორის ჩინელი ათლეტიც იყვნენ. ამ ჩინელმა კი, ვისი სახელიცაა **ჩენ სიესია,** რომ იტყვიან - თავზე გადაალუნა შტანგა ყველას და მათ შორის ჩვენგან ნაქებ ტაილანდელებსაც, სამივე ოქროს მედალი დაისაკუთრა! ატაცში 96 კილო აწია და 10-ით აჯობა მეორეზე გასულ ტაილანდელ **პრამსირი ბუნფიტაკს,** აკვრაში კი 118 დაძლია, რაც მეორე ტაილანდელზე - **პენსირი ლაოსირიკულის** შედეგზე 6 კილოთი მეტია. საერთო ჯამში, ჩენმა 214 კილო დააგროვა, მეორეზე **პრამსირი ბუნფიტაკია** - 196, მესამეზე კი **პენსირი ლაოსირიკული** - 195 კილო.

ქართველების შემდეგი გამოსვლა კი 21 სექტემბერსაა. ამ დღეს 85 კილოგრამის C ჯგუფში **რაულ ცირეკიძე** იასპარეზებს, მეორე დღეს, შაბათს კი ამავე წონის B ჯგუფში **გიორგი ასანიძე** გამოვა. ჩვენებურები დღევანდელ დღეს ვარჯიშით დაიწყებენ, საღამოს კი ძალების აღდგენაზე ზრუნვაა უმთავრესი საქმე...

**ზვიად შათირიშვილი**
ჩიან მაიდან

გურამ თიკანაძე 75

# სრული კაი ყმა...



საქართველოს მთიელები ამბობენ: "კაი ყმა ყველაფრით სრული უნდა იყოს". **გურამ თიკანაძე** იყო სულიერად და ფიზიკურად სრულყოფილი პიროვნება და ასე გამორჩეულად ამიტომაც შეიყვარა იგი მთიელმა სვანეთმა. ხსოვნის უკვდავყოფაში გადაიზარდა მისდამი ეს სიყვარული. გ. თიკანაძე შხარის დალაშქვრის შემდეგ დაშვებისას დაილუპა ტრაგიკულად. სვანეთის საამაყო შვილმა, გურამის დიდმა მეგობარმა, **ბორის კახიანმა** მაშინ, პირადი თაოსნობით წამოიწყო გ. თიკანაძის სახელობის სპორტული კომპლექსის მშენებლობა. შრომობდა დიდი და პატარა, რადგან იცოდა, წილს იდებდა გ. თიკანაძის სახელის უკვდავებაში. თავადაც, სვანეთშივე ავტოკატასტროფაში ტრაგიკულად დაღუპულმა ბ. კახიანმა იცოდა, როგორ მისულიყო მოკლე გზით თავისივე კუთხის ხალხის გულამდე, როგორ გადაეცა თაობებითვის ის მუხტი და იმპულსი, რომელიც გურამ თიკანაძისნაირი ზნეობრივი გმირების სახელს უკავშირდება. იმავე კომპლექსში გაიხსნა გ. თიკანაძის ცხოვრება-მოღვაწეობის მუზეუმი.

1963 წლის 27 ივლისს, გურამის დაღუპვის დღეს, ფეხზე დადგა მთელი სვანეთი. შეიქმნა ცხედრის მოძიების და ჩამოსვენების ჯგუფი, რომელშიც ყველაზე გამოცდილი მთამსვლელები და მონადირეები გაერთიანდნენ.

თვითმხილველი ყვებოდა: გურამის ჩამოსვენებას უამრავი ხალხი სვანური ზარით შეეგება მთის ძირში. ცრემლმორეული, ერთი გამხდარი კაცი, ბუჩქებს იყო ამოფარებული და იქიდან იცქირებოდაო. **მურმან ლებანიძე** ყოფილა. ასე უჩუმრად ადევნებდა თვალყურს თურმე, რაც იქ ხდებოდა. ღრმა პოეტური განცდით შექმნილ გურამ თიკანაძისადმი მიძღვნილ ლექსში ჩააქსოვა მან სათქმელი:

*"ვოი, კალა - უშგული შეკრებილა -*
*ყანას და სათიბს მომცდარა.*
*მთელი სვანეთი შეკრებილა,*
*მთლად საქართველო შეკრებილა,*
*შხარასთან ღრუბელივით მომდგარა.*
*ვოი, შხარა სისხლით შეღებილა -*
*კოხტა თიკანაძე მომკვდარა"...*

იმ წლიდან მოყოლებული სვანეთში ტრადიციულად აღნიშნავენ გურამ თიკანაძის დაბადების დღეს. წლეულს, 12 სექტემბერს, 75 წლისა გახდებოდა. განსაკუთრებული მონდომებით მოემზადა სვანეთი ამ საიუბილეო თარიღისთვის. ლატალი იქცა ამჯერადაც თავშეყრის ცენტრად. მთელმა სოფელმა, გ. თიკანაძის მუზეუმის უცვლელი დირექტორის და მუდმივი მასპინძლის, **ვალერი ფარჯიანის** თავკაცობით მიიღო სტუმრები თბილისიდან, ქუთაისიდან, ზუგდიდიდან, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. აქ იყვნენ გ. თიკანაძის მეგობრები, მთამსვლელები, ოჯახის წევრები, ნათესავები. ადგილობრივები შთამბეჭდავად ყვებოდნენ როგორ შეისწავლა და შეითვისა გურამმა მთის ხალხის ადათ-წესები და როგორ იცავდა მას. "აქ, ამ კუთხეში, განსაკუთრებით ვგრძნობ თუ ვინ იყო მამა, ასე მგონია, ცოცხალია, აგერ ჩვენს გვერდითაა", - თქვა გურამის ქალიშვილმა **ია თიკანაძემ.** შვილიშვილი გურამი კი ჩოხაში და სვანურ ქუდში მასპინძლებთან ერთად მღეროდა "ლილეოს" და ფერხულს ცეკვავდა.

ვისაც განუცდია მთის სიყვარული, მან კარგად იცის, რა უდევს ლიბოში ამ სიყვარულს. იცის, მაგრამ უძნელდება სიტყვებით მისი გადმოცემა. კაცმა არ იცის, რა ჰქვია ამ უძლურებას. ალბათ, ეს არის ის შემთხვევა, როცა სიტყვა უნდა მოარიდო გრძნობას. მაგრამ, რაკი სხვაგვარად არ შეიძლებოდა, გ. თიკანაძისავე სახელობის სპორტულ კომპლექსში გამართულ საიუბილეო საღამოზე, თავიანთ განცდებს და გრძნობებს შეძლებისდაგვარად გადმოსცემდნენ მთისა და გ. თიკანაძის სიყვარულით თავშეყრილი სტუმრები თუ მასპინძლები.



გურამ თიკანაძის მეგობარი, მთამსვლელი შოთა ჩართოლანი, გურამის ქალიშვილი ია და შვილიშვილი გურამი

იმ ტრაგიკული დღიდან ათეული წლები გავიდა. გურამი 30 წლისა იყო მაშინ. ახალგაზრდა გეოლოგი, მეცნიერების მიმდევარი, მრავალმხრივი სპორტსმენი, მთამსვლელი, ნოვატორი ფოტოხელოვანი, საქვეყნოდ იყო ცნობილი და თავისი თაობისთვის მისაბაძი გახდა. დიდი **ნიკო კეცხოველი** - დედაუნივერსიტეტის ეს ლეგენდარული რექტორი, სტუდენტობისას მოკრივე გურამ თიკანაძეს თავის ჯილად თვლიდა.

"ეს იყო ულამაზესი ჭაბუკი, რომელიც თავად ჰგავდა ხელოვნების ქმნილებას, მაღალი, აშოტილი ვაჟკაცი, ცასავით ლურჯი და უძირო თვალებით, მომხიბლავი ღიმილით, ნათელი შთაგონებული სახით, რომლისგანაც მოქანდაკეს შეეძლო ახალი ავთანდილის გამოძერწვა", - ამას **გიორგი ნატროშვილი** წერდა გურამ თიკანაძეზე.

გ. თიკანაძის მუზეუმში, ლატალში, უამრავ ფოტონამუშევარს შორის, რომელიც ამ ფოტოხელოვანს ეკუთვნის, ერთ-ერთი შედევრიცაა გამოფენილი - **მიხეილ მესხის** თავბრუდამხვევი ფინტის შემდეგ მოედანზე თავითაა "ჩასობილი" მეტოქის გუნდის მცველი. მსგავსი ფოტოკადრი, არც მანამდე და არც შემდეგ ალარავის შეუქმნია. და, ალბათ, აღარც შეიქმნება, რადგან მიხეილ მესხი ღვთით მოვლენილი განუმეორებელი ტალანტი იყო, ფოტოხელოვნებამ კი უდროოდ დაკარგა თავისი განუმეორებელი დიდოსტატი.

**თენგიზ გაჩეჩილაძე**
მესტია, ლატალი

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ესტაფეტა მიღებულია: რამაზ ნოზაძე!






ფინალური ორთაბრძოლა

ზურაბ ქურციკიძის ფოტო




გადაძახილი ქართველ ქომაგებთან

ავტორის ფოტო

პირველი გვერდიდან

ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ ვწერდით გუანჯოუდან – მაშინ რამაზმა მედალიც კი ვერ მოიგო, მაგრამ ნათლად გამოჩნდა მისი პოტენციალი – რომ ჩინეთში მომავალი ჩემპიონი გამოჩნდა. ფინალამდე არა, მაგრამ ფინალში ლიტველ **მინდაუსკას ეზერსკისთან** რამაზმა მაგრად გვანერვიულა. ნოზაძე ვერ ჭიდაობდა, მწვრთნელების დარიგებებს არ უსმენდა თუ ვერ იგებდა, ლიტველი კი ყოჩაღად გამოიყურებოდა, პირველი პერიოდი 5:0 მოუგო და მეორეშიც არ შეჩერებულა. თითქოს, ხელიდან წავიდა ოქროს მედალი, რომელიც ასე ახლოს მოჩანდა, მაგრამ რამაზიც გამოფხიზლდა და ფორტუნამაც ჩვენკენ გამოიხედა. მეორე პერიოდში ჩოქბჯენში ჯერ ლიტველი ჩააყენეს, მართალია რამაზი ვერას გახდა, მაგრამ ვერც ლიტველმა იმარჯვა, 1:1 ქართველის სასარგებლოდ, მესამე პერიოდშიც ანალოგიური გამეორდა, თუმცა ნოზაძემ მხოლოდ წილისყრით არ მოიგო - მეტოქემ ჯერ ტრიალი დაუპირა, და თითქმის დაატრიალა კიდეც, მაგრამ კრიტიკული ვითარებიდან ნოზაძე სასწაულებრივად შემობრუნდა ჰაერში და ზემოდან მოექცა - ერთი ქულა! ეს უკვე გამარჯვება იყო, მაგრამ ჩემპიონმა ახლა დაატრიალა ვერცხლის პრიზიორი და კიდევ ორი ქულა ჩაიწერა. საბოლოოდ, მესამე პერიოდი 3:1 მორჩა.

მხოლოდ გამარჯვების შემდეგ დაიცალა ემოციებისგან ქართველი ფალავანი – მეზობელ ლეიბზე მალაყი შეასრულა, მწვრთნელი **ოთარ ტატიშვილი** კი ყველაზე ეფექტური ილეთით, უკუზნექით ძირს დააგდო. ლეიბიდან გამოსულმა შესძახა რომ ამ მოგებას საქართველოს უძღვნის. პოდიუმის ზემოთ ქართველმა გულშემატკივრებმა საქართველოს დროშები გამოფინეს, საშეჯიბრო არენაზეც უამრავმა ქართველმა მოიყარა თავი. პირველ დღეს ამდენი ჩვენებური ნამდვილად არ ყოფილა ჰეიდარ ალიევის სპორტკომპლექსში. ხალხმა საქართველოს ჰიმნი ჩემპიონთან ერთად იმღერა, რაც მართლაც შესანიშნავ, სადღესასწაულო გარემოს ქმნიდა.

**- მოგებას მთელ საქართველოს ვუძღვნი. ძალიან გახარებული ვარ, რომ მიზანს მივაღწიე, მსოფლიო ჩემპიონი გავხდი. ბიჭებმა კარგად იასპარეზეს, ორი ოქროს მედალი და ბრინჯაო უკვე გვაქვს, თან ერთ წონაში კიდევ საასპარეზო გვაქვს, უდიდესი წარმატებაა. დღეს ბევრი ბრძოლა მომინია, წილისყრამ ერთით მეტი რაუნდის ჭიდაობა მარგუნა.**

ქართული დელეგაცია გუშინ მხოლოდ ერთი ოქროთი არ შემოიფარგლა, 84 კილოგრამ წონით კატეგორიაში **ბადრი ხასაიამ** შვედი **არა აბრაჰამიანი** დაამარცხა და ბრინჯაოს მედალთან ერთად პეკინის ოლიმპიადის საგზური მოიპოვა. ბადრის მთელი დარბაზი გულშემატკივრობდა, ქართველთა ტრიბუნები, ირანელი გულშემატკივრები და აზერბაიჯანელები (გასაგები მიზეზების გამო) – ყველა ბადრი, ბადრის გაიძახოდა. პირველი პერიოდი ქართველმა 3:1 მოიგო, მეორეში კი მან შეძლო ბოლო ქულის მოპოვება, რამაც მთელ დარბაზში დიდი ჟივილ-ხივილი გამოიწვია.

ნოზაძემ ოქრომდე დიდი გზა გაიარა, მან საკვალიფიკაციო წრეში ჩეხი **მარეკ შვეცი** დაამარცხა. შვეცს ძალზე გაუმართლდა, რომ მაინცდამაინც ნოზაძესთან დამარცხდა, ქართველმა გზა ფინალისკენ გაიკაფა, ჩეხს კი რეპეშაჟის საგზური არგუნა, რომელიც ბრინჯაოს მედლად აქცია კიდეც. ნოზაძემ ამის შემდეგ ამერიკელი **ჯასტინ რუისი**, შვედი **ჯიმი ლიდბერგი** და ალბანელი **ელის გური** ჩამოიშორა გზიდან და ნახევარფინალში იტალიელ **დიეგო ტიმონჩინის** შეხვდა. პირველ პერიოდში ნოზაძემ დამაჯერებლად მოიგო, მეორეში კი 2:0 იკმარა.

ბადრი ხასაიამ დიდებულად დაიწყო, იოლად გაუსწორდა ერაყელ **ვატიგ ჯაბრს**, აკადემიურად მოუგო ბულგარელ **მარინოვს**, მესამე წრეში ქართველს მომავალი ჩემპიონი რუსი **ალექსეი მიშინი** შეხვდა. პირველი პერიოდი 1:1 დასრულდა, მეორეში კი უკვე რუსმა იმარჯვა – 1:3. მიშინი ფინალამდე გავიდა და სალამოს კიდევ მოიგო კიდეც ამერიკელ მეტოქესთან. რეპეშაჟში ხასაიამ ყაზახი **ვიაჩესლავ ზუბარევი** და მსოფლიო ჩემპიონი თურქი **ნაზმი ავლუჯა** დაამარცხა და მესამე ადგილისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვა

სამწუხაროდ, **მანუჩარ კვირკველიამ** ვერ გაამართლა იმედები, პირველ საკვალიფიკაციო წრეში ჩინელი **იონსიანგ ჩანი** დაამარცხა, შემდეგ გერმანელ **შნაიდერთან** თითქმის მოგებული ბრძოლა წააგო -პირველი პერიოდის მოგების და მეორეში 3:0 დაწინაურების შემდეგ, მან ჯერ სამქულიანი გდება გაატარა და მესამეში ქულაც ვერ აიღო.

დღის ბოლოს საქართველოს ნაკრების თავკაც **ბეგი დარჩიას** შევხვდით, რომელიც უზომოდ გახარებული იყო - მიზეზიც ჰქონდა, ბოლო წონითი კატეგორიის წინ საქართველოს ნაკრები პირველ ადგილზეა ორი ოქროს მედალი ტურნირზე ჯერ არც ერთ ნაკრებს არ მოუპოვებია

- ძალიან გახარებული ვართ, მეორე ჩემპიონი გვყავს, დიდებულია. ბადრი ხასაიამაც ძალიან კარგად იჭიდავა და კარგი შედეგიც აჩვენა. სამწუხაროდ, მოგებული შეხვედრა გაუშვა ხელიდან მანუჩარ კვირკველიამ, თუმცა ყველაფერი ხდება. მიხარია, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ანტიკური სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა საუკეთესო შედეგი აჩვენა. ასევე საუკეთესოა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში სპორტის ნებისმიერი სახეობის ნაკრებისთვის მსოფლიო ჩემპიონატის რანგის ტურნირზე.

კმაყოფილი იყო ბრინჯაოს პრიზიორი ბადრი ხასაია, რომელმაც ქართველ გულშემატკივრებს დაგიბარათ: პეკინში აუცილებლად ოქროსთვის ვიბრძოლებო. როგორც ნოზაძის, ასევე ხასაიასთვის მსოფლიო ჩემპიონატის მედალი მეორე იყო კარიერაში ხასაიამ 2002 წელს ვერცხლი მოიპოვა, ნოზაძემ ერთი წლის შემდეგ - ბრინჯაო.



ბადრი ხასაია

ავტორის ფოტო

დღეს ანტიკოსთა ტურნირს ჩვენი გუნდიდან **რევაზ ჭელიძე** (120) დაასრულებს და დღესვე თავისუფალი სტილით შეჯიბრება დაიწყება. ტურნირს ხსნიან **გოჩა კირკიტაძე** (55) და **მალხაზ ქურდიანი** (60); ხვალ იჭიდავებენ **ოთარ თუშიშვილი** (66), **გელა სალირაშვილი** (74) და **რევაზ მინდორაშვილი** (84); ზეგ - **გიორგი გოგშელიძე** (96), **დავით მოძმანაშვილი** (120).

ჩვენ კი შეგახსენებთ საქართველოს მსოფლიო ჩემპიონთა ქრონოლოგიას: 1997 - **გიორგი კანდელაკი** (კრივი); 2001 - **მუხრან ვახტანგაძე** (ანტიკური ჭიდაობა) და **გიორგი ასანიძე** (ძალოსნობა); 2002 - **ლუკა კურტანიძე** (თავისუფალი ჭიდაობა); 2003 - **მანუჩარ კვირკველია** (ანტიკური ჭიდაობა) და **ლუკა კურტანიძე** (თავისუფალი ჭიდაობა); 2005 - **რევაზ მინდორაშვილი** (თავისუფალი ჭიდაობა), 2007 - **ირაკლი ცირეკიძე** (ძიუდო), **დავით ბედინაძე** და **რამაზ ნოზაძე** (ანტიკური ჭიდაობა).

რამაზ ნოზაძის ოქროს მედალი მეათეა, ხოლო 2007 სარეკორდო: ერთი წელიწადს სამი მსოფლიო ჩემპიონი ჯერ არ გვყოლია და არც ერთ ტურნირზე მოგვიხვეჭია ორი ოქროს მედალი.

| მეორე დღე |
|---|
| **74 კგ.** |
| 1. იავორ იანაკიევი (ბულგარეთი) |
| 2. მარკ მადსენი (დანია) |
| 3. ქრისტოფ გენო (საფრანგეთი) |
| 3. ვალდემარას ვენცკაიტისი (ლიტვა) |
| **84 კგ.** |
| 1. ალექსეი მიშინი (რუსეთი) |
| 2. ბრედ ვერინგი (აშშ) |
| 3. ბადრი ხასაია (საქართველო) |
| 3. ჰასან ტაჰმასები (ირანი) |
| **96 კგ.** |
| 1. რამაზ ნოზაძე (საქართველო) |
| 2. მინდაუგას ეზერსკისი (ლიტვა) |
| 3. მარეკ შვეცი (ჩეხეთი) |
| 3. ლასემ რეზაეი (ირანი) |

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი

ინტერვიუ რომან თავაძესთან

# ურინგო დარბაზიდან ლონდონის ოლიმპიადამდე

**აზერბაიჯანში გამართულ კადეტ მოკრივეთა მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებში ერთადერთი მედალი ქუთაისელმა რომან თავაძემ (70კგ.) მოიპოვა. იგი ფინალში გავიდა და ჩემპიონობისთვის ბრძოლაში კუბელ პლატ რეისთან დამარცხდა. ქართველი მოკრივის წარმატება მით უფრო დასაფასებელია, რომ იგი წლების განმავლობაში ქუთაისში, ნახევრადდანგრეულ, ურინგო დარბაზში ვარჯიშობს...**



რომან თავაძე

-16 წლის ვარ და აქამდე ასეთ სერიოზულ ტუნირში არ მიასპარეზია. წლეულს საქართველოს ჩემპიონი გავხდი კადეტთა და ახალგაზრდებს შორის, შარშან ბაქოს საერთაშორისო ტურნირზე ვიჩხუბე, რითაც საკმაო გამოცდილება დავაგროვე, თუმცა მსოფლიო ჩემპიონატის სულ სხვა დონეა. ეს ჩემთვის პირველი სერიოზული გამოცდა იყო და წარმატებას ნაკლებად ველოდი. სამაგიეროდ, ჩემი პირადი მწვრთნელები კუკური შავგულიძე და გიორგი ქოჩიშვილი იყვნენ დარწმუნებული, რომ საპრიზო ადგილის დაკავების უნარი შემწევდა და მაგულიანებდნენ. კიდეც. სპონსორის, „ამქარი ქართუს" ხელმძღვანელის გიორგი გვანცელაძის დახმარებით ისინი ბაქოში წამოვიდნენ და ჩემს წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი დაიდეს.

**- რომელ ბრძოლას გამოარჩევდი?**

- ძლიერი მეტოქეები მყავდა და ყველა ორთაბრძოლა დაძაბული გამოდგა. მოკრივეები კარგად იყვნენ მომზადებულნი, თანაც მათ მეტი გამოცდილებაც უმაგრებდათ ზურგს. თუმცა, ჩემპიონატისთვის მეც კარგად მოვემზადე. ჯერ ქუთაისის მერიის დაფინანსებით ქალაქის ნაკრებ გუნდთან ერთად ერთი თვე უწერაში ვვარჯიშობდი, შემდეგ ამას საქართველოს ნაკრების შეკრებაც დაემატა. ყველაზე დასამახსოვრებელი, ნახევარფინალური ბრძოლა იყო, სადაც ყაზახი ერლან სეიდალიევი 15:14 დავამარცხე. ამ გამარჯვებას იმდენი ენერგია შევალიე, რომ ფინალს სრულიად გამოფიტული შევხვდი და ერთ რაუნდზე მეტი ვერ გავძელი. არადა, პირველ რაუნდში კუბელ პლატ რეის 3:2 ვუგებდი, თუმცა შემდეგ დაღლილობამ და კლასმა თავისი გაიტანა და კუბელმა აშკარა უპირატესობით გაიმარჯვა. ფინალში დამარცხების მიუხედავად ჩემი ასპარეზობით უკმაყოფილო არა ვარ, მაგრამ მიღწეულზე არ გავჩერდები.

**- სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვი?**

-მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატებამ სტიმული შემმატა. ახლა გაათმაგებული ენერგიით უნდა ვივარჯიშო და პროგრესი გავაგრძელო. ცოტა ხანში ახალგაზრდებში მომიწევს გადასვლა და ვეცდები იქაც მივაღწიო წარმატებებს.

**- ისეთ პირობებში, სადაც შენ ემზადები, შესაძლებელია პროგრესი?**

- "ავანგარდის" კრივის სასპორტო სკოლის დარბაზი, სადაც მე ვვარჯიშობ ცუდ მდგომარეობაშია და რინგიც არა გვაქვს, მაგრამ წუწუნი საქმეს ვერ უშველის. 10 წელიწადია აქ ვვარჯიშობ, კიდევ ვივარჯიშებ და უკან არასდროს დავიხევ.

**- შენი ოცნება...**

- ოლიმპიური ჩემპიონობა. მომავალი ოლიმპიური ციკლისთვის უკვე დაწყებული მაქვს ფიქრი და იმედი მაქვს, ლონდონში საქართველოს ღირსებას დავიცავ.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

ჩოგბურთი

# ოქსანა კალაშნიკოვა ფავორიტთან დამარცხდა

თელავში გუშინ გაგრძელდა 25 ათასიანი ტურნირი თიხის კორტებზე. მეორე დღეს ქართველთაგან მოედანზე **ოქსანა კალაშნიკოვა (754)** გავიდა და მე-6 ნომრად განთესილ რუმინელ **მიჰაელა ბუზარნესკუსთან** (368) დამარცხდა - 2:6, 5:7. საღამოს უნდა ეთამაშა **თინათინ ყავლაშვილს**, მაგრამ მისი და უკრაინელი **ლესია ცურენკოს** მატჩი სულ ბოლოს იყო განრიგში და ვერ მოესწრო.

გუშინვე დაუგეგმავად ითამაშა კიდევ ერთმა ქართველმა. თელავში ვერ ჩამოვიდა მე-8 ნომრად განთესილი ფრანგი **ორელი ვედი**, რომელიც შეცვალა კვალიფიკაციის "იღბლიანმა წაგებულმა" **მარიამ ქურდაძემ**. ქურდაძემ დიდი ბრძოლა გაუმართა ავსტრიელ **ანა ბარტენშტაინს** (394), თუმცა, დამარცხდა - 7:6, 2:6, 4:6. პირველ დღეს მერვედფინალში გავიდა **სოფიო შაფათავა**, რომელიც მეორე წრეში უკრაინელ **კატერინა ავდიენკოს** შეხვდება.

პირველი წრის სხვა მატჩები: **1. ლიანა-გაბრიელა უნგური** (რუმ, 217) - ირინა კუზმინა (ლატ, 447) 6:1, 6:0; **ვარვარა გალანინა** (რუს, 441) - ელიზავეტა ტოჩილოვსკაია (რუს, 518) 7:5, 7:5; 3. **ანა გერასიმუ** (საბ, 281) - ანა მოვსისიანი (სომ, 903) 6:2, 6:0; **ნატალია ორლოვა (რუს, 395)** - 5. მარია-ბეიენ კორბალანი (არგ, 358) 6:1, 7:5; **კატერინა ავდიენკო (უკრ, 416)** - კატერინა პოლუნინა (უკრ, 564) 6:3, 6:1.

გუშინვე დასრულდა პირველი წრე წყვილთა თანრიგში. ქართველთაგან შეჯიბრებას **მარიამ ქურდაძე** და **თეონა ცერცვაძე** შემორჩნენ. მეოთხედფინალში ისინი მეორენომრად განთესილ რუსებს, **ვასილისა დავიდოვას** და **მარინა შამაიკოს** ხვდებიან.

# სამი მარცხის შემდეგ...

**სუმო.** ზედიზედ სამი წაგების შემდეგ **კოკაიმ** მე-16 მაეგაშირა **კასუგანიშიკი** დაამარცხა და 4 მოგება გაუხდა 6 მარცხის წილ. დღეს, მეთერთმეტე ბროლაში ქართველის მეტოქეა მე-6 მაგეშირა **კაიჰო**, რომელსაც სექტემბრის ბაშოზე სულ 2 მოგება აქვს. ზედიზედ მეორედ დამარცხდა ყოფილი ლიდერი, სეკივაკე **ამინიშიკი**, ვისაც ოძეკი **ჩიოტაიკაიმ** მოუგო. ორივეს 8 მოგება აქვს, ისევე როგორც **ტაკეკაძეს** (მ 8), **კიოკუტენჰოს** (მ 12) და **კაკიძოეს** (მ 16). ლიდერობენ იოკოძუნა **ჰაკუჰო** და მე-14 მაეგაშირა **გოეიდო** - 9 მოგება, 1 წაგება.

ხელბურთი

**საქართველოს ხელბურთის ფედერაციის ახალი პრეზიდენტი თამაზ თევზაძე უკვე შეუდგა მუშაობას. საქმე ნამდვილად თავზე საყრელადაა, მაგრამ ამჟამად, ყველაზე აქტუალურია ორი საკითხი: მე-18 ეროვნული ჩემპიონატის დაწყება და ოქტომბრის ბოლოს თბილისში გასამართი "ჩელენჯ ტროფისთვის" ღირსეულად მომზადება.**

ინტერვიუ თამაზ თევზაძესთან

# ახალი პრეზიდენტის საზრუნავი

## ჩემპიონატი, ჩელენჯი და ნაკრების მწვრთნელი...



ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტი თამაზ თევზაძე

- პრეზიდენტად ახლახან ამირჩიეს, ეროვნული ჩემპიონატი კი უკვე კარსაა მომდგარი. ცაიტნოტში ვართ, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ჩემპიონატი მაქსიმალურად კარგად იყოს ორგანიზებული. უკვე შემუშავებულია შეჯიბრების დებულება და კალენდარი, რომელიც კლუბებს დავურიგეთ. კლუბებთან ამჟამად მოლაპარაკებებს აწარმოებს ჩვენი ფედერაციის გენერალური მდივანი ზურაბ კაკაბაძე. პრობლემების მნიშვნელოვანი ნაწილი მოგვარებულია და ეროვნული ჩემპიონატის კონტურები უკვე გარკვევით მოხაზულია.

**- როდის იწყება ჩემპიონატი, რამდენი კლუბი ითამაშებს?**

- კალენდრის თანახმად, მეთვრამეტე ეროვნული ჩემპიონატი დაიწყება 24 სექტემბერს. ამჟამად, ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში არიან ქვეყნის ჩემპიონი სტუ-"თელავი" და "თბილისი". ისინი მთელი ზაფხული ემზადებოდნენ, ახლახან ევროთასებზეც იასპარეზეს და ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე, ფინანსურადაც არ უჭირთ. რაც შეეხება დანარჩენ კლუბებს, იყო პრობლემები, მაგრამ ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ ჩემპიონატში იასპარეზებს შარშან მონაწილე კიდევ სამი გუნდი - "ქარიშხალა", "იმედი" და "მამული". ამას გარდა, ჩემპიონატს უბრუნდება "ქუთაისი". ახლახან, პრეზიდიუმის სხდომაზე, ქუთაისელთა საკითხი დადებითად გადავჭერით. გვქონდა მოლაპარაკება კლუბის და ქალაქის ხელმძღვანელობასთან, რომლებმაც მოგვცეს გარანტია, რომ "ქუთაისს" პრობლემები არ ექნებოდა. ეს გუნდი ძირითადად ახალგაზრდებით იქნება დაკომპლექტებული და რამდენიმე ქუთაისელ, გამოცდილ ხელბურთელს დაემატება. მოკლედ, წლევანდელ ჩემპიონატში იასპარეზებს შარშანდელზე ერთით მეტი - ექვსი კლუბი.

**- რა ფორმატით ჩატარდება ჩემპიონატი?**

- წლეულს გაიმართება სამი ტური. ზამთრის არდადეგების შემდეგ, კიდევ ორი ტური შედგება - ამჯერად უკვე მიმოსვლითი სისტემით. ბოლოს კი დადგება პლეიოფის ჯერი.

**- ეროვნულ ჩემპიონატს ძალიან აკლია რეკლამა...**

- მნიშვნელოვანი საკითხია. სპორტული გაზეთების მიმართ მადლობის მეტი არაფერი მეთქმის - მაქსიმალურად კარგად აშუქებთ ჩემპიონატს, მაგრამ ტელევიზიას სულ სხვა დატვირთვა აქვს - იგი ყველასათვის ხელმისაწვდომია და ამას გარდა, საუკეთესო საშუალებაა სპორტის ამა თუ იმ სახეობის რეკლამისთვის. ქართულ ფეხბურთში უკვე დაიწყო სატელევიზიო კონტრაქტების გაფორმება და ღმერთმა ქნას, მალე ხელბურთსაც აქეთ ეხვეწებოდნენ ტელეკომპანიები. ჯერჯერობით, ამით ნამდვილად ვერ დავიკვეხნით, მაგრამ ტელეკომპანიებთან ნამდვილად ვაპირებთ თანამშრომლობაზე მოლაპარაკებას. თუკი ჩვენი ტელევიზიები ეროვნული ჩემპიონატის შედეგებს მაინც გადასცემენ ხოლმე და ფლეიოფების დასკვნითი ეტაპის პირდაპირ რეპორტაჟს აწარმოებენ, ეს იქნება საქართველოს ჩემპიონატის შესანიშნავი რეკლამა.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ შეთანხმებას მივაღწიეთ ტელეკომპანია "იმედთან", რომელიც ოქტომბერში, თბილისში გასამართი "ჩელენჯ ტროფის" მატჩების პირდაპირ რეპორტაჟს გადასცემს. ბიზნესმენებს მოვუწოდებ, რომ ამ ტურნირზე მათთან თანამშრომლობისთვის მზად ვართ. "ჩელენჯ ტროფი" ევროპის ხელბურთის ფედერაციის ოფიციალური ტურნირია.

**- მივადექით ეროვნულ ნაკრებსაც. როგორ ემზადებით "ჩელენჯ ტროფისთვის"?**

- ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტი ხელბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებამდე კარგა ხნით ადრე ჩამოყალიბდა. ფინანსურად თითქმის ყველაფერი მოგვარებულია. იმავეს ვიტყოდი საორგანიზაციო საკითხებზე. გადაწყვეტილია ისიც, რომ ტურნირს ჩავატარებთ სპორტის სასახლეში. უკვე მოველაპარაკეთ სპორტის სასახლის ხელმძღვანელობას და ამ ახალგაზრდა ადამიანებთან თანამშრომლობით ფრიად კმაყოფილი ვარ. მართალია, განახლებული სპორტის სასახლის დაქირავება ცოტა არ იყოს, ძვირი სიამოვნებაა, სამაგიეროდ, ისეთი პირობებია, რომ ნამდვილად ღირს. მაგალითად, რესტავრაციამდე, ამ ნაგებობის დაქირავება ჯდებოდა დღეში 2800 ლარამდე, მაგრამ საშინელი პირობები იყო, ახლა კი ყველაფერი იდეალურ მდგომარეობაშია - მოედანიც, ტრიბუნებიც, ტაბლოც, გასახდელებიც და განათებაც.

ალსანიშნავია, რომ სპორტის სასახლის ხელმძღვანელობა სპეციალურად "ჩელენჯ ტროფისთვის" ყიდულობს ევროპის ხელბურთის ფედერაციის ოფიციალური პარტნიორის - ფრანგული ფირმა "ჯერ ფლორის" იატაკს. სწორედ ასეთ საფარზე ტარდება ევროპული მნიშვნელოვანი ოფიციალური შეჯიბრებები.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ სპორტის სასახლის ხელმძღვანელობამ შემოგვთავაზა საკმაოდ შეღავათიან ფასში, ეროვნული ჩემპიონატის მატჩების გამართვაც.

რაც შეეხება უშუალოდ ნაკრების სამზადისს, ოქტომბრის პირველ რიცხვებში, დროებით შეჩერდება ეროვნული ჩემპიონატი და ნაკრები შეკრებას დაიწყებს თბილისში. თუკი დროში ჩავეტევით, გვინდა საკონტროლო მატჩების ჩატარებაც. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რა ვადებში ჩამოვლენ ლეგიონერები.

**- ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, მერაბ მეტრეველმა ამასწინათ გვითხრა, რომ რაკილა ევროპის ხელბურთის ფედერაციის დელეგატია, მწვრთნელობის შეთავსებას ველარ მოახერხებს...**

- მეტრეველთან უკვე მქონდა საუბარი. სამწუხაროდ, არ ვართ მაღალი დონის სპეციალისტებით განებივრებულები და გადაწყვეტილების მიღებამდე, კარგად დაფიქრებაა საჭირო. ნაკრების მთავარი მწვრთნელის საკითხს კვირის ბოლომდე გადავჭრით.

**- როგორ ფიქრობთ, "ჩელენჯ ტროფის" ფინალში თამაშის რა შანსი გვაქვს?**

- სომხეთი გამოკვეთილი აუტსაიდერია, გამოუცდელი და ახალგაზრდული გუნდი ჰყავს. აზერბაიჯანის გუნდი საკმაოდ ანგარიშგასაწევი ძალაა. თანაც, ჩვენი ხელბურთელები აზერბაიჯანელებთან ხშირად სპარინგობენ და ერთმანეთს იცნობენ. რაც შეეხება მოლდოვას, ევროპის ხელბურთის ფედერაციის დელეგატის რანგში, ნანახი მაქვს ამ გუნდის სამი მატჩი. მართალია, სამივე შეხვედრა დათმეს, მაგრამ საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. მოპოვებული გვაქვს მოლდოველთა ორი მატჩის ამსახველი ვიდეოფირიც. მოკლედ, ყველაზე რთული მეტოქე ალბათ სწორედ მოლდოვა იქნება. მიუხედავად ყველაფრისა, მჯერა, რომ თბილისიდან ფინალის საგზურს არავის გავატანთ.

რაც შეეხება მეორე ჯგუფს, რატომღაც შეიქმნა ილუზია, რომ იქ ყველა გუნდი სუსტია, რაც არასწორია. მაგალითად, ლუქსემბურგული კლუბები სისტემატურად თამაშობენ ევროთასებზე, სადაც ნაკრების წევრები დიდ გამოცდილებას ილებენ. ინგლისსა და შოტლანდიასაც არ ეყოლება ხელწამოსაკრავი გუნდები - ისინი გაერთიანებული გუნდით ითამაშებენ ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადაზე და აქედანვე იჭერენ გამაღლებულ თადარიგს. თქვენ წარმოიდგინეთ, ფარერებსაც კი საკმაოდ ძლიერი ნაკრები ჰყავთ - იქაური კლუბები არცთუ ურიგოდ გამოდიან ევროთასებზე, დანიური ხელბურთის სკოლის გავლენას განიცდიან და დანიის ჩემპიონატში ჰყავს ლეგიონერები. მოკლედ, თუკი ჯგუფიდან გავედით, ფინალში ნამდვილად არ შეგვხვდება სუსტი მეტოქე.

რადგან ნაკრებზე ვსაუბრობთ, იმასაც გეტყვით, რომ გაისად, 18 და 20-წლამდელთა ნაკრებ გუნდებსაც ვათამაშებთ ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე. რაც შეეხება ეროვნულ ნაკრებს, იგი გაისად გამართავს შეკრებებს და საკონტროლო მატჩებს, ვითამაშებთ მსოფლიო უნივერსიადაზეც, ხოლო 2008 წლის შემოდგომაზე, ევროპის 2010 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ციკლზე წარვდგებით. მოგეხსენებათ, 2010 წლის საკვალიფიკაციო ეტაპი ახალი სისტემით გაიმართება, რომელიც ფეხბურთის მსგავსად, ორ წელიწადს გასტანს, გაუქმდება პლეიოფი. წინა წლებისაგან განსხვავებით, ახალ საკვალიფიკაციო ციკლში, მასპინძლისა და ევროპის მოქმედი ჩემპიონის გარდა, უკლებლივ ყველა ევროგრანდი ითამაშებს.

**კობა ხატისაშვილი**







თვითმხილველთა შთაბეჭდილებები

# კრძალვით ჩასულები და ამაყად გამობრუნებულები

**საქართველოს რაგბის კავშირის, მისი სპონსორებისა და ტურისტული კომპანია "ენ ტურის" ერთობლივი ძალისხმევით, ვეტერან მორაგბეთა ნაწილი საფრანგეთში მიმდინარე მსოფლიო თასის პირველ ნაწილს დაესწრო. გუშინ ვესტუმრეთ სამ მათგანს, რომლებმაც ფრანგული შთაბეჭდილებები გაგვიზიარეს.**

## ვალტერ კაპანაძე

- პარიზში რვა ვეტერანი მორაგბე ჩავედით, იქიდან ავტობუსით ლიონში. არგენტინასთან მატჩამდე დარჩენილი დრო ქალაქის დასათვალიერებლად გამოვიყენეთ. იოლად შესამჩნევი იყო, რომ მთელი ლიონი რაგბით ცხოვრობს...

უნდა თუ არ უნდა, ნებისმიერი გუნდი, პირველ მატჩში ქვეცნობიერად მუდამ განიცდის ფსიქოლოგიურ წნეხს და ამას ვერც საქართველოს ნაკრები ასცდა. თანაც, ჩვენ წინააღმდეგ ხომ ის გუნდი იდგა, რომელმაც ოთხი დღის წინ, თვით მასპინძელი საფრანგეთის ნაკრები დაჩაგრა. მთლიანობაში, არგენტინასთან ურიგოდ არ გვითამაშია, მაგრამ იყო ხარვეზებიც. გვქონდა ტექნიკური წუნი, ვერ ვახერხებდით დროულ გადაწყობას თამაშის მსვლელობისას, დაცვაში გაგვიჩნდა ხვრელები და ამით კარგად ისარგებლა მეტოქემ. ჩვენს უკანა ხაზს განსაკუთრებით ავიწროებდა არგენტინელთა 12 ნომერი ფელიპე კონტეპომი.

ძალიან დაგვაკლდა პირველ ტაიმში ტრავმირებული დავით ზირაქაშვილი, რომელიც გუნდის ერთ-ერთი ლიდერია. პირველ ხაზს მისი ძალა სჭირდებოდა. თუმცა ვერც იმას ვიტყვი, რომ მხოლოდ ზირაქაშვილის მოედნიდან ნაადრევად გასვლის გამო წავაგეთ. არგენტინასთან სავსებით ლოგიკურად დავმარცხდით, მაგრამ ობიექტურად უკეთ თამაშიც შეგვეძლო.

რაც შეეხება საქართველო-ირლანდიას, ამ შეხვედრის მსვლელობისას და თამაშის შემდეგ, საოცარი ამბები ხდებოდა. მთელი სტადიონი აღფრთოვანებული გაჰყვიროდა, "ჟორჟი, ჟორჟი!". თამაშის შემდეგ ჩვენი გუნდი ათიათასობით გულშემატკივარმა მქუხარე ოვაციებით გააცილა სტადიონიდან. ლელო რომ არ ჩაგვითვალეს, ამ შემთხვევაში, არბიტრები მართლები იყვნენ, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვი იმ მომენტზე, როცა ირლანდიამ მეორე ლელო გაგვიტანა. იმ მომენტში, მერაბ კვირიკაშვილი დაშავებული იყო, მოედანზე იწვა და თამაში უნდა შეჩერებულიყო. ითქვა ისიც, რომ მატჩის მსვლელობისას ირლანდიელთა ლიდერები რეფერიზე ზეწოლას ახდენდნენ.

შეხვედრის შემდეგ რა ხდებოდა, სიტყვებით ძნელი გადმოსაცემია. საქართველოს ნაკრების თამაშით გაოცებული უცხოელები "ვერი გუდს" გაჰყვიროდნენ და პროგრესს გვილოცავდნენ. ამ მატჩით, ჩვენ კიდევ უფრო მყარად მოვიკიდეთ ფეხი დიდ სარაგბო ოჯახში და ყველას დავუმტკიცეთ, რომ მსოფლიო თასის მონაწილეთა 16-მდე შემცირების იდეა ჩვენნაირი გუნდების ხარჯზე აბსურდულია. და რაც ყველაზე მთავარია, ირლანდიასთან კინაღამ მოგებული შეხვედრით, საქართველოს ნაკრებმა ბოლომდე ირწმუნა საკუთარი თავის, დაძლია გრანდების სინდრომი. ახლა "ბორჯღალოსნები" მარტო ნამიბიასთან მოსაგებად კი არ ილესავენ კბილებს, იმასაც გვპირდებიან, რომ ფრანგებსაც დიდ ომს გაუმართავენ.

შეხვედრის შემდეგ, საქართველოს ნაკრებთან ერთად ვიმგზავრეთ ავტობუსით. მთელი გუნდი გახარებული იყო კარგი თამაშით. ერთ-ერთმა მორაგბემ გუნდს ასეთი სიტყვებით მიმართა: - *დღეს ჩვენ ძალიან მაღლა ავფრინდით, რაც მშვენიერია, მაგრამ მალე უნდა დავეშვათ მიწაზე და ნამიბიას სრული სერიოზულობით უნდა ვეთამაშოთ!* ვფიქრობ, ამით ყველაფერია ნათქვამი.

მოკლედ, საქართველოს ნაკრებმა უკვე ჩააბარა დიდი გამოცდა და ვიმედოვნებ, ამაზე არ გავჩერდებით. აქვე, ისიც სათქმელია, რომ მხოლოდ ლეგიონერების იმედად ყოფნა არაფერს გვარგებს, შიდა ჩემპიონატსაც უნდა მივხედოთ. საქართველოში სულ რვა სარაგბო მოედანი გვაქვს, როცა მაგალითად, საფრანგეთში მხოლოდ ერთ ძლიერ კლუბს აქვს ათამდე მოედანი, დარბაზი, აუზები და საათივით აწყობილი ინფრასტრუქტურა. ამას გარდა, საჭიროა მწვრთნელთა სემინარები თუ სტაჟირება. ეს ყველაფერი კი ძალიან ძვირი დაჯდება.

## გოჩა აბაშიძე

- არგენტინასთან საქართველოს ნაკრების ასეთ კარგ თამაშს ნამდვილად არ ველოდით. 33:3 თითქოს დიდი ანგარიშია, მაგრამ აქ ანგარიშზე მნიშვნელოვანი ის არის, ჩვენზე გაცილებით ძლიერ, მსოფლიოს მეოთხე გუნდს, მთელი ტაიმნახევარი თანაბრად ვებრძოლეთ.

ირლანდიასთან შეხვედრამ კი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. სიმართლე გითხრათ, ბორდოში ერთგვარი შიშით ჩავედით. ჩვენი ნაკრები ხომ "ექვსი ერის" მეორე გუნდის წინაშე უნდა დამდგარიყო. ისიც გვაფიქრებდა, რომ პირველი მატჩის შემდეგ შემადგენლობაც საფუძვლიანად გადახალისდა.

თუმცა დაიწყო შეხვედრა და ჩვენდა საბედნიეროდ, მოედანზე ისე წარიმართა მოვლენები, რომ ვერ გაიგებდი, ვინ იყო გამოკვეთილი ფავორიტი. საქართველოს ნაკრებმა ირლანდიელებს არ მისცა თამაშის გაშლის საშუალება, დაცვაშიც წინა მატჩზე გაცილებით უკეთ ითამაშა და მეორე ტაიმში იმხელა უპირატესობას დაეუფლა, რომ კინაღამ სასწაული არ მოახდინა და არ მოიგო.

ვერ ვიტყვი, რომ საქართველოს ნაკრების ასეთი თამაში მხოლოდ ირლანდიელთა უნიათო გარჯის დამსახურებაა - ამგვარად თამაში საქართველოს ნაკრებმა აიძულა მეტოქეს. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ველაპარაკე ჩვენი ნაკრების წევრებს, რომლებიც ერთხმად ამბობენ, რომ იდეალურ ფიზიკურ ფორმაში არიან, რისთვისაც გუნდის ფრანგ ფიზმომზადების მწვრთნელ ნიკოლა ფულკიეს ემადლიერებიან.

რაც შეეხება მსაჯობას, ტრავმირებული კვირიკაშვილი რომ მოედანზე იწვა, თამაში აუცილებლად უნდა გაეჩერებინათ. სწორედ მეკოს თამაშიდან გამოთიშვის შედეგად გაჩენილი ნაპრალით ისარგებლეს ირლანდიელებმა და ლელო გაგვიტანეს. ირლანდიელი მორაგბე რომ ყოფილიყო კვირიკაშვილის ადგილას, დარწმუნებული ვარ, არბიტრი თამაშს გააჩერებდა.

ძალიან დაგვაღალატა გამოუცდელობამ. გადამწყვეტ მომენტებში, შეხვედრის ბოლო წუთებზე, ორი საკუთარი დერეფანი და შერკინება წავაგეთ. გუნდი რომ არ აღელვებულიყო, არ აჩქარებულიყო და მშვიდად გაეკეთებინა ყველაფერი, ამ საბედისწერო შეცდომებს არ დაუშვებდა და მოიგებდა კიდეც.

მატჩის დამთავრების შემდეგ, ირლანდიელმა და ფრანგმა გულშემატკივრებმა დიდი ოვაციები მოგვიწყეს და საქართველოს ნაკრებს კარგა ხნით არ მისცეს მოედნიდან გასვლის საშუალება.

ტრიბუნებზე, ჩვენ გვერდით იჯდა ექვსი ესტონელი, რომლებიც თავგამოდებით ქომაგობდნენ საქართველოს ნაკრებს. თქვენ წარმოიდგინეთ, "ლელო, ლელო, საქართველოც" კი ისწავლეს და ამ შეძახილით ამხნევებდნენ ჩვენს გუნდს.

შესაძლოა, ბევრმა არ იცის, რომ ირლანდიელებს აქვთ ასეთი ტრადიცია: როცა მათი მორაგბე ჯარიმას არტყამს, ყველა გაისუსება ხოლმე და ტრიბუნებზე სრული სიჩუმე დგება. თუკი ამ მომენტში ვინმე ხმას ამოიღებს, ირლანდიელები პირზე თითის მიტანით და სსსუ-თი აიძულებენ ხოლმე გაჩუმებას. ისე, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ზუსტად ასევე იქცევიან მაშინაც, როცა მეტოქე ურტყამს. ერთ-ერთ მომენტში, როცა ირლანდიელთა კიკერი ჯარიმას ასრულებდა, ზემოთ ნახსენები ექვსეულიდან, ერთი ზორბა ესტონელი არ დაემორჩილა ბრიტანელებს და იმხელა ხმით დაიწყო ხველება, რომ ლამის მთელმა სტადიონმა გაიგო.

საერთო ჯამში, ამ ორი მატჩის შემდეგ, საქართველოს ნაკრების მწვრთნელებიც და მოთამაშეებიც კმაყოფილები არიან. ერთი ეგ არის, რომ გუნდს გამოცდილება აკლია. ცუდია, რომ გრანდებთან სისტემატურად შეხვედრის საშუალება არ გვაქვს. რუმინეთთან, ჩეხეთთან, პორტუგალიასთან, რუსეთსა თუ ესპანეთთან მატჩების შემდეგ, საკმაოდ ძნელია ამხელა გამოცდილების მქონე გუნდებთან თამაში.

## თემურ ბენდიაშვილი

- ლიონში ვნახეთ იქ მცხოვრები ასამდე ქართველი, რომლებიც საფრანგეთში სწავლობენ, ყოვლად წესიერი ადამიანები არიან და ერთგულად ქომაგობენ საქართველოს ნაკრებს.

რაც შეეხება უშუალოდ მატჩებს. დავიწყოთ არგენტინით, რომელთან მშვენივრად ნათამაშებმა პირველმა ტაიმმაც იმედები ჩაგვისახა. საწყის 40 წუთში ლათინოამერიკელებს არ გამოვაყენებინეთ ძირითადი კოზირი - შერკინებით შეტევა. არადა, სწორედ ამის ხარჯზე მოუგეს საფრანგეთს, მაგრამ ჩვენთან აღარ გაუვიდათ.

მეორე ტაიმში კი, მეტოქემ შეცვალა ტაქტიკა. ზირაქაშვილის დაშავების შემდეგ, დაირღვა ჩვენი შერკინების დინამიკა. არგენტინელებმა ხრიკს მიმართეს, ვითომ ისევ პირველ შეტევაზე აკეთებდნენ აქცენტს, ჩვენს მოთამაშეებს ითრევდნენ თამაშში და მერე ბურთის ხაზზე გატანით მცირე უპირატესობას იღებდნენ. ამის მერე იწყებდნენ მეორე-მესამე შეტევას, მცირე მოლებს აგორებდნენ და ბოლოს ჩვენი შეცდომების წყალობით, დაცვის ხაზს ჭრიდნენ.

ირლანდიამ ვერანაირად ვერ გვაჯობა. პირველი მატჩისაგან შედარებით, გაცილებით კარგად გამოიყურებოდა მერაბ კვირიკაშვილი. სიტყვამ მოიტანა, და როცა კვირიკაშვილი დაშავდა, ბურთი ამ დროს ჩვენს მორაგბეებს ჰქონდათ და სანამ მეკო არ ადგებოდა, ან მისი შემცვლელი არ შემოვიდოდა მოედანზე, ბურთი არაფრით არ უნდა შეეყვანათ თამაშში. ყველა გამოცდილი გუნდი ასე მოიქცეოდა...

ცუდი იყო ისიც, რომ მატჩის მიწურულს, მეტოქის ხუთმეტრიან ზონაში, წავაგეთ ერთი საკუთარი შერკინება და ორი დერეფანი. არადა, რომ მოგვეგო და ლელო გაგვეტანა, ირლანდია ნაღდად აღარ იყო იმ შეხვედრის მომგები. ოდრისკოლსა და მის თანაგუნდელებს აშკარად ეტყობოდათ სახეებზე, რომ ერთი სული ჰქონდათ, როდის დამთავრდებოდა თამაში.

მიუხედავად ყველაფრისა, ბიჭების მიმართ სასაყვედურო არაფერი გვაქვს. ამ გუნდმა დაიმსახურა მთელი საფრანგეთის სიმპათია და არა მხოლოდ იმიტომ, რომ მათ უშუალო კონკურენტს კაცურად ვეომეთ. ნამატჩევს, სტადიონიდან რომ გამოვდიოდით, ყველა აქებდა "ბორჯღალოსნებს" და სინანულით გვეკითხებოდნენ - როგორ თვალსა და ხელს შუა გაგისხლტათ გამარჯვებაო. რეალურად, ირლანდიასთან ნაღდად მოსაგები თამაში გვქონდა. თუმცა მთლად თვითკმაყოფილებასაც არ უნდა მივეცეთ, რადგან დასახვეწი კიდევ ბევრი გვაქვს.

წინ გველის თამაში ნამიბიასთან, რომელიც საკმაოდ კარგ თამაშს აჩვენებს და მისი დამარცხება ნამდვილად არ იქნება ადვილი. დასასრულ, მინდა ვთქვა, რომ ჩვენ არაფერს მოგვცემს სხვების ყურება - ეს გუნდი ასე თამაშობს და ეს ისეო. ქართული რაგბი და საქართველოს ეროვნული ნაკრები განვითარებადი კი არა, უკვე განვითარებულია გუნდია. ახლა მხოლოდ პროგრესზე, უკეთეს პირობებზე და გრანდების დამარცხებაზე უნდა ვიფიქროთ.

**კობა ხატისაშვილი**

RUGBY WORLD CUP 2007 FRANCE

# მეზობელმა ვერ მოგვბაძა

**18 სექტემბერი. ედინბურგი. C**

**შოტლანდია-რუმინეთი 42:0**

შოტ: (15-9) რ. ლემონი, შ. ლემონი, ვებსტერი, დიუი (საუსველი 58), პატერსონი, პარქსი (ვოკერი 68), ბლერი (კაზიტერი 58); (1-8) ქერი (სმითი 52), ფორდი (ლოუსონი 58), ი. მარი, ჰაინსი (მაკლიოდი 52), ჰემილტონი, ვაითი, ჰოგი (ბრაუნი 65), ტეილორი - *6ლ (პატერსონი, ჰოგი 3, რ.ლემონი 2) 6გ (პატერსონი)*

რუმ: (15-9) დუმიტრაში, ფერკუ, გალი, გონტინიაკი (ვლაიკუ 73), ბრეზოიანუ, დიმოფტე (ტოფანი 45), სირბუ (კალაფეტიანუ 45); (1-8) ტოდერაშკი, ტინკუ (მავროდინი 41), ბ. ბალანი (ფლორია 69), სოკოლი, პეტრე, კოროდიანუ (რაციუ 61), მანტა(ტუდორი 53), ტონიცა

| C ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | ბ | პ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზელანდია | 2 | 2 | 0 | 0 | 184-27 | 2 | 10 |
| შოტლანდია | 2 | 2 | 0 | 0 | 98-10 | 2 | 10 |
| იტალია | 2 | 1 | 0 | 1 | 38-94 | - | 4 |
| რუმინეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 18-66 | 1 | 1 |
| პორტუგალია | 2 | 0 | 0 | 2 | 23-164 | - | 0 |

ამ დღეებში პირზე ყველას "პატარა სარაგბო ერები" აკერია საქართველოს მეთაურობით - ისინი, ვინც გაბედა და გრანდებს თამამად შეერკინა. სამწუხაროდ, ჩვენი მაგალითი ვერ გადაიღო რუმინეთმა, რომელმაც მარიფილდში პირველივე წუთზე გაუშვა ლელო მასპინძლებისგან, მთელ თამაშში ერთ აცილებულ საჯარიმოს გამორჩა და 0:42 განადგურდა. არადა, იყო დრო და მომენტი - რუმინეთს ბუქარესტში ორჯერ ჰყავს დამარხებული შოტლანდია - 1984 და 1991 წლებში.

დღეს და ხვალ კიდევ ორ "მცირე" ერს მიეცემა საშულება, მოგვბაძოს ქართველებს: პორტუგალიას - იტალიასთან და იაპონიას - უელსთან. ზეგ საფრანგეთ-ირლანდიის დიდი შერკინებაა, ხოლო შაბათს...

შაბათს მოედანზე გამოვა **ჯონი ვილკინსონი**. მწვრთნელმა უკვე დაასახელა წინა მსოფლიო თასის გმირი სამოასთან მატჩის 10 ნომრად. ცხადია, დამრტყმელადაც. შაბათსვე, არგენტინასთან თამაშს გამოტოვებს ფრანგი **სებასტიან შაბალის** წინააღმდეგ უხეშობისთვის გაძევებული ნამიბიელი **ჟაკ ნიუვენჰოისი**. ტრიბუნალმა მას ერთთამაშიან დისკვალიფიკაცია აკმარა, რაც იმას ნიშნავს, რომ 30 სექტემბერს ნამიბიის 8 ნომერს საქართველოს წინააღმდეგ თამაში შეუძლია.

ხოლო "პლანეტ რაგბიმ" შეადგინა მეორე ტურის სიმბოლური ნაკრები. კანდიდატთა შორის რამდენიმე ქართველი იყო - **ირაკლი მაჩხანელი, ავთანდილ კოპალიანი, გოდერძი შველიძე** და **მამუკა მაგრაქველიძე**, თუმცა, საბოლოოდ თხუთმეტეულში მოხვდა ირლანდიის ბრძოლის გმირი **გიორგი შკინინი**.

აი, მეორე ტურის რჩეული გუნდი: 15. **ჯეისონ რობინსონი** (ინგ) 14. **ვენსან კლერი** (საფ) 13. **სტირლინგ მორტლოკი** (ავს) 12. **ფრანსუა შტაინი** (ს.აფრ) 11. **გიორგი შკინინი** (საქ) 10. **ბერიკ ბარნსი** (ავს) 9. **ფური დუპრე** (ს.აფრ); 1. **ენდი შერიდანი** (ინგ) 2. **ჯონ სმითი** (ს.აფრ) 3. **პიერ დევილიე** (საფ) 4. **ლიონელ ნალე** (საფ) 5. **სებასტიან შაბალი** (საფ) 6. **ჯერი კოლინზი** (ზელ) 7. **აკაპუსი ქერა** (ფიჯ) 8. **ფინაუ მაკა** (ტონ)

ბარემ, პირველი კვირის საუკეთესო თხუთმეტიც: 15. **პერსი მონტგომერი** (ს.აფრ) 14. **დაგ ჰაულიტი** (ზელ) 13. **ტომ შენკლინი** (უელ) 12. **ფელიპე კონტეპომი** (არგ) 11. **ბრაიან ჰაბანა** (ს.აფრ) 10. **დან კარტერი** (ზელ) 9. **აუგუსტინ პიშო** (არგ); 1. **როდრიგო რონსერო** (არგ) 2. **მარიო ლედესმა** (არგ) 3. **კარლ ჰეიმენი** (ზელ) 4. **ვიქტორ მეტფილდი** (ს.აფრ) 5. **ნეითან ჰაინსი** (შოტ) 6. **როკი ელსომი** (ავს) 7. **რიჩი მაკქოუ** (ზელ) 8. **ვასკუ უვა** (პორ)

**19 სექტემბერი. 22:00. C ჯგუფი**

**იტალია-პორტუგალია**

პარიზი, პარკ დე პრენსი

იტა: 15. დავიდ ბორტოლუსი 14. პაბლო კანავოზიო 13. გონსალო კანალე 12. ანდრეა მაზი 11. მატეო პრატიკეტი 10. როლანდ დემარინი 9. ალესანდრო ტრონკონი; 1. ანდრეა ლოჩიჩერო 2. ლეონარდო გირალდინი 3. მარტინ კასტროჯოვანი 4. კარლო დელფავა 5. მარკო ბორტოლამი (კაპ) 6. სერჯო პარისე 7. მაურო ბერგამასკო 8. მანოა ვოსავაი / 16. ფაბიო ონგარო 17. მატიას აგერო 18. სალვატორე პერუჯინი 19. ვალერიო ბერნაბო 20. სილვიო ორლანდი; 21 პოლ გრიფენი 22. ეძიო გალონი

პორ: 15. პედრო კაბრალი 14. დავიდ მატეუში 13. ფედერიკო სოუსა 12. დიოგო მატეუში 11. ანტონიო აგილარი 10. დუარტე პინტუ 9. ჟოზე პინტუ; 1. რუი კორდეირუ 2. ჟოაო კორეია 3. რუბენ შპაჩუკი 4. დავიდ პენალვა 5. გონსალო უვა 6. ტიაგო ჟირაუ 7. ჟოაო უვა 8. ვასკუ უვა (კაპ) / 16. ხუან მანუელ მურე 17. ანდრე სილვა 18. დუარტე ფიგეირედო 19. პაულუ მურინელუ; 20. ლუის პისარა 21. დიოგო გამა 22. გონსალო ფორო

ჰოკეი

## ახალი სუპერსერია

კანადის ჰოკეის ასოციაცია მომავალ ზაფხულში ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების მორიგ სუპერსერიას გეგმავს. ამჯერად, კანადელთა მეტოქე აშშ-ის ნაკრები უნდა გახდეს. ცოტა ხნის წინ, ანალოგიური სერია გაიმართა, რომელშიც კანადამ რუსეთის ახალგაზრდული ნაკრები გაანადგურა. რვა გამართული მატჩიდან, ჰოკეის დამაარსებლებმა 7 მოიგეს და 1 ფრედ დაასრულეს. მიუხედავად ასეთი უპირატესობისა, ამ სუპერსერიამ დიდი ინტერესი გამოიწვია და მაღალი სატელევიზიო რეიტინგიც ჰქონდა.

სავარაუდოდ, მომავალი სერია ექვს მატჩამდე შემცირდება. გადაიწევს ჩატარების თარიღიც, რათა ის არ დაემთხვეს ამერიკული ფეხბურთისა და ჩოგბურთში აშშ-ის ღია პირველობის ტრანსლაციებს.

სუპერსერიის თამაშებს დეტროიტი, სენტ-პოლი, გრანდ-ფორკსე, ვინიპეგი, სასკაჩევანი და ვანკუვერი იმასპინძლებენ.

## ვანკუვერს დანაკლისი აქვს

"ვანკუვერ კენაქსის" მცველმა **სამი სალომ** მარცხენა ხელის ტრავმა მიიღო და სავარაუდოდ, რეგულარული ჩემპიონატის სტარტს გამოტოვებს.

შვედმა ჰოკეისტმა ხელი ერთ-ერთი ბოლოს ვარჯიშისას, ორმხრივი მატჩის დროს დაიზიანა.

სალომ NHL-ში გატარებული 8 სეზონიდან, ხუთი "ვანკუვერის" შემადგენლობაში ითამაშა. შარშან, ამ მცველის ანგარიშზე 67 შეხვედრაში დაგროვებული 37 ქულა (14 გოლი+23 პასი) იყო.

## ნესლუნდი წასვლაზე ალაპარაკდა

"ვანკუვერის" ბანაკიდან გავრცელებული კიდევ ერთი სიახლე ფორვარდ **მარკუს ნესლუნდს** უკავშირდება. შესაძლოა, ამ შვედი ჰოკეისტისთვის მომავალი სეზონი უკანასკნელი აღმოჩნდეს NHL-ში.

*"ამ სეზონის შემდეგ, მხოლოდ ერთწლიან კონტრაქტებს გავაფორმებ. თანაც, ხელშეკრულებების დადებამდე ბევრს ვიფიქრებ, ღირს თუ არა კარიერის გაგრძელება. არ არის გამორიცხული, ჰოკეის თავი მომავალ ზაფხულს დავანებო"*, - ამბობს ნესლუნდი.

ოლიმპიზმი

## ცეცხლი 25 მარტს დაინთება

საბერძნეთმა და ფინეთმა ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტის გამართვაზე კონტრაქტი გააფორმეს.

ამ ხელშეკრულების თანახმად, 2008 წლის 25 მარტს, ოლიმპიური თამაშების სამშობლოში, ოლიმპოს მთაზე მზის სხივებისგან ჩირაღდანს აანთებენ და ის პეკინის ოლიმპიადამდე მთელ მსოფლიოს მოივლის.

ესტაფეტის საერთო სიგრძე 137 ათასი კილომეტრი იქნება. ის პლანეტის ხუთ კონტინენტზე გაივლის და 2008 წლის 8 აგვისტოს, ოლიმპიადის გახსნის დღეს დასრულდება.

ფორმულა 1

## მაკლარენი რენოს წინააღმდეგ

ფორმულა 1-ში შესაძლოა მორიგი ჯაშუშური სკანდალი აგორდეს. ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის (FIA) პრეზიდენტმა **მაქს მოსლიმ** განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ "მაკლარენი" "რენოს" მხრიდან ჯაშუშობის ფაქტის დამამტკიცებელ დოკუმენტებს წარმოადგენს, მაშინ ფრანგული საჯინიბოს წინააღმდეგ ადეკვატური სასჯელი იქნება მიღებული.

*"ამ საკითხთან დაკავშირებით, "მაკლარენისგან" დაპირებული დოკუმენტები ჯერ არ მიგვიღია. როგორც კი საბუთებს მოგვაწვდიან, მაშინვე გამოძიებას დავიწყებთ. წინასწარი ინფორმაციით, რომელიღაც თანამშრომელმა კომპიუტერიდან საიდუმლო მასალები მოიპარა. ჯერჯერობით, სხვა არაფერია ცნობილი"*, - ამბობს მოსლი.

FIA-ს პრეზიდენტმა დაადასტურა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით უკვე ესაუბრა "მაკლარენის" შეფს, **რონ დენისს**: *"დენისმა "რენოში" ექსპერტები გაგზავნა, რათა მათ იქაური კომპიუტერული სისტემა შეამოწმონ. როცა დასკვნას მიიღებს, საქმეც, ალბათ, მაშინ დაიძვრება"*.

კალათბურთი

## სტერნმა სასჯელი შეამსუბუქა

NBA-ის გასულ სეზონში, ლიგის კომისარმა **დევიდ სტერნმა** გაურკვეველი ვადით დისკვალიფიკაცია მისცა მსაჯ **ჯო კროუფორდს**. ეს უკანასკნელი 15 აპრილს, "სან ანტონიოსა" და "დალასის" მატჩის დროს, **ტიმ დანკანის** მიმართ მიღებული აბსურდული გადაწყვეტილებების გამო დაისაჯა. მაშინ, კროუფორდმა ტექნიკური ფოლით დასაჯა "სპურსის" ლიდერი, რომელმაც მიღებული პერსონალური გააპროტესტა. "სან ანტონიოს" მწვრთნელმა **გრეგ პოპოვიჩმა** დანკანი სათადარიგოთა სკამზე დასვა, მაგრამ კროუფორდმა იქაც ანალოგიური სასჯელი გამოიყენა და მიზეზად ის დაასახელა, ტიმი ირონიულად იცინოდაო.

გუშინ გაირკვა, რომ დევიდ სტერნმა 5 თვემდე შეუმცირა დისკვალიფიკაციის ვადა კროუფორდს. ასე რომ, მომავალ სეზონში ეს მსაჯი კვლავ მოემსახურება NBA-ის თამაშებს. სხვათა შორის, კროუფორდისთვის ეს 34-ე სეზონი იქნება ლიგაში. მის ანგარიშზეა 200-ზე მეტი მატჩი რეგულარულში და 226 შეხვედრა ფლეი ოფში. გარდა ამისა, კროუფორდს NBA-ის ფინალების 38 შეხვედრა უმსაჯია.

## მაიამიმ შევსება მიიღო

"მაიამი ჰიტმა" თავისუფალ აგენტ **ჩარლი ბელთან** გააფორმა კონტრაქტი. ეს კალათბურთელი გასულ წელს "მილუოკი ბაქსში" თამაშობდა.

NBA-ის წესების თანახმად, თუ უახლოესი ერთი კვირის განმავლობაში "მილუოკის" ხელმძღვანელობა იმავე პირობებს არ შესთავაზებს ბელს, მაშინ კალათბურთელი "მაიამის" შემადგენლობაში ჩაირიცხება.

28 წლის ბელმა შარშან რეგულარული ჩემპიონატის ყველა, 82 შეხვედრა ჩაატარა და საშუალოდ მატჩში 13.5 ქულას, 3.0 გადაცემას, 2.9 მოხსნასა და 1.2 ჩაჭრას აგროვებდა.

ჩოგბურთი

## ნოა გასკეს გაწვრთნის

ლეგენდარულმა ფრანგმა ჩოგბურთელმა **იანიკ ნოამ** თავისი თანამემამულის, **რიშარ გასკეს** მწვრთნელობაზე თანხმობა განაცხადა.

*"არ შემიძლია გულგრილი დავრჩე, როცა ჩემთან მოთამაშე მოდის და დახმარებას მთხოვს. ცოტა ხნის წინ, გასკეს შესახებ ბევრი არაფერი ვიცოდი, მაგრამ ახლა დავაკვირდი, თუ როგორ მუშაობს კორტზე და ეს მხოლოდ დასაწყისია"*, - განაცხადა 1983 წლის როლან გაროსის ჩემპიონმა.

გასკეს წინა დამრიგებელი **ერიკ დებლიკერი** ჩოგბურთელის გუნდში მუდმივი მწვრთნელის სტატუსით დარჩება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1. ინტერვიუ რონ დენისთან

# საიდუმლო მასალები არ გამოგვიყენებია

**გასული კვირის მთავარი გმირი ჩემპიონატის ლიდერი "მაკლარენი" და მისი ბოსი რონ დენისი იყვნენ. ბრიტანელებმა სერიოზული დარტყმა მიიღეს, რომელიც გახმაურებულ ჯაშუშურ სკანდალს უკავშირდება. არსებობდა იმის საფრთხე, რომ გუნდი სრული შემადგენლობით მოიხსნებოდა წლევანდელი და საგაისო ჩემპიონატებიდან, მაგრამ საბედნიეროდ, ეს განზრახვა სანახევროდ განხორციელდა. "მაკლარენი" 100 მილიონი დოლარით დაჯარიმდა და კონსტრუქტორთა თასიდან მოიხსნა, სამაგიეროდ, ორივე პილოტს - ლუის ჰემილტონსა და ფერნანდო ალონსოს ქულები შეუნარჩუნდათ და მათ შეუძლიათ პირველობისთვის ბრძოლის გაგრძელება. იმის შესახებ, თუ რა გადაიტანა "მაკლარენმა" გასულ კვირას და რა ელის მომავალში, რონ დენისის ინტერვიუდან შეიტყობთ.**



რონ დენისი

**- რა რეაქცია გქონდათ ასეთი მკაცრი სასჯელის გამო?**

- ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ მთელი ამ სკანდალის შემდეგ, სეზონის დარჩენილ რბოლებში გამოსვლის უფლება დაგვიტოვეს. მეორე მხრივ, სულაც არ ვთვლი, რომ "მაკლარენის" ასე მკაცრად დასჯა სწორი გადაწყვეტილება იყო.

**- ანუ თავს დამნაშავედ არ თვლით?**

- FIA-ს ინსტანციებში ჩემი გუნდის პილოტებისა და ინჟინრების ჩვენებებიდან ის დასკვნა უნდა გავაკეთოთ, რომ ჩვენს ხელში აღმოჩენილი საიდუმლო ინფორმაცია არავის გამოუყენებია მთავარ კონკურენტთან ბრძოლაში უპირატესობის მისაღებად. ამას "მაკლარენის" 140 თანამშრომელი დაგიდასტურებთ. მათ ფედერაციაში ჩვენებები გაგზავნეს, რომელშიც თავიანთ უდანაშაულობას ამტკიცებენ.

**- თქვენ უარყოფთ, რომ "მაკლარენის" ერთ-ერთმა თანამშრომელმა მოახერხა 780-გვერდიანი საიდუმლო მასალების კოპირება?**

- ყოველთვის ვადასტურებდით, რომ ეს ინფორმაცია ჩვენი თანამშრომლის სახლში ინახებოდა. საკითხი მხოლოდ იმაში მდგომარეობს, გამოყენებული იყო თუ არა ეს მასალა? ამაზე კი, ჩვენ ცალმხრივი პასუხი გვაქვს: არა, არ გამოგვიყენებია. ფედერაციაში საწინააღმდეგოს დამტკიცება სცადეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ.

**- შეგიძლიათ დაწვრილებით მოგვიყვეთ "ფერარისა" და "მაკლარენის" რიგებში აღმოჩენილ ორ მოღალატეზე?**

- გამოძიების დროს ხშირად გვეკითხებოდნენ: თუ ამ მასალებს არ იყენებდით, მაშინ რა საჭირო იყო მათი შეგროვება? ამაზე მხოლოდ ვარაუდებით შეიძლება საუბარი. მაგალითად, ჩვენი ინფორმაციით, ამ სკანდალის მთავარი მოქმედი პირნი სხვა გუნდებში ეძებდნენ სამუშაოს.

**- იმ შემთხვევაში, თუ "მაკლარენს" თავისი ბოლიდების შექმნისას სხვა გუნდების იდეებიც აქვს გამოყენებული, საერთაშორისო ფედერაცია მომავალი მსოფლიო ჩემპიონატიდან მოკვეთით გემუქრებათ.**

- მომავალ სეზონში დისკვალიფიკაცია არ გვემუქრება, რადგან კანონის წინაშე მართლები ვართ.

**- რატომ ესწრებოდა პარიზში გამართულ სხდომას "მაკლარენის" მხოლოდ ერთი პილოტი?**

- ალონსომ თავისი ახსნა-განმარტება წერილობითი სახით გამოაგზავნა. მე მინდოდა, რომ ყველა პილოტი დასწრებოდა სხდომას, მაგრამ მოქმედმა ჩემპიონმა გადაუდებელი საქმეების გამო ვერ შეძლო მოსვლა. ჰემილტონი კი, მოწმის სახით იყო გამოძახებული, მაგრამ მისთვის არაფერი უკითხავთ და ამიტომაც ის ჩუმად იყო.

**- როგორ გადაიხდით გიგანტურ ჯარიმას?**

- მხოლოდ ერთ რამ ვიცი: გუნდის ბიუჯეტი არ შემცირდება. უნდა გავიმარჯვოთ და ამიტომაც, თანხებში ეკონომია არ იქნება. ჯარიმის გადახდა სხვა ანგარიშებიდან მოხდება.

**- ისევ ამტკიცებთ, რომ ალონსო მომავალ სეზონშიც "მაკლარენში" იასპარეზებს?**

- ჩვენს პილოტებს მოქმედი კონტრაქტები აქვთ, რომლებიც განხილვას არ ექვემდებარებიან. თუ რომელიმე მათგანს გუნდიდან წასვლის სურვილი გაუჩნდება, აი, მაშინ დავილაპარაკებთ ამის შესახებ. ჯერჯერობით, წასვლაზე განცხადებები არ ყოფილა.

**- შეგიძლიათ აგვიხსნათ რა ხდებოდა ბუდაპეშტში: ალონსო მართლა შეეცადა გუნდის ხელმძღვანელობაზე ზეწოლას? თითქოს, თუ ის "მაკლარენის" პირველი ნომერი არ გახდებოდა, გუნდს დატოვებდა.**

- უნგრეთის გრან-პრის შემდეგ, სერიოზული შეხლა-შემოხლა გვქონდა, რადგან მისი საქციელით გუნდმა ქულები დაკარგა. შემდეგ ის ჩემთან მოვიდა და ჩვენ ხელი ჩამოვართვით ერთმანეთს.

**- მაგრამ იმ კვალიფიკაციაზე ალონსოს აღშფოთება სამართლიანი იყო. თავის კომპიუტერზე რაღაც ნივთები აღმოაჩინა და ამან გააცოფა.**

- თუ მე მაგალითად ჩემს მეუღლესთან ვიჩხუბე, შეიძლება ვერ მოვზომო და ზედმეტი წამომცდეს, რასაც შემდეგ ვნანობ ხოლმე. ალონსომ შესანიშნავად იცის, როგორ მუშაობს გუნდი. ხოლო თუ როგორ ვხელმძღვანელობ მას - ეს ჩემი პირადი საქმეა. მეორე მხრივ, ხალხში არასოდეს დავიწყებ იმაზე დისკუსიას, რაც მხოლოდ მე და ჩემს ოჯახს ეხება. არც იმის განხილვას ვაპირებს, თუ რაზე ვესაუბრე ალონსოს. გუნდიც ჩემი ოჯახია, რომელიც ძალიან მიყვარს.

**- ფედერაციის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრებას ხომ არ აპირებთ?**

- თუ ჩვენ საერთაშორისო სასამართლოს მივმართავთ, ეს დიდ თანხებსა და დროს წაიღებს. დაახლოებით წელიწადნახევარი დასჭირდება საქმის განხილვას. ღირს თუ არა ასეთი ხანგრძლივი საქმის წამოწყება, ამას უახლოეს დღეებში გადავწყვეტთ. ჩვენ არ ვიმალებით, მხოლოდ საქმეში გარკვევა გვინდა.

**- მაქს მოსლი იმასაც ამბობს, რომ "მაკლარენი" საბედნიეროდ გადაურჩა ორწლიან დისკვალიფიკაციას. უფრო სასტიკი სასჯელისთვის მზად იყავით?**

- ვიცოდი, რომ საქმე აქამდე არ მივიდოდა და ამიტომაც არ მეშინოდა.

**- პრინციპში, ფორმულა 1 - ინდუსტრიული ჯაშუშობის სამყაროა. ამ სფეროში თქვენი შემთხვევა ტიპურია...**

- ფორმულა 1-ში მომუშავე ჩემს კოლეგებს ათ წელზე მეტია ვიცნობ. გასაგებია, რომ მუდმივად გვაქვს ერთმანეთში ურთიერთობა, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა გუნდში ვმუშაობთ. ეს ფორმულა 1-ის რეალობაა და მას ვერსად გავექცევით.

**- კონსტრუქტორთა თასზე ქულები ჩამოგართვეს. ახლა რა მიზანი აქვს გუნდს?**

- ჩვენთან საუკეთესო პილოტები ასპარეზობენ, ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ მსოფლიო ჩემპიონობა გვინდა.

**- გასული კვირა ერთ-ერთი ყველაზე კოშმარული იყო თქვენს ცხოვრებაში...**

- ასე გიპასუხებთ: ეს იყო რთული პერიოდი, მაგრამ ვცდილობდით გვეთანამშრომლა FIA-სთან, რათა ეს გაუგებრობა დასრულებულიყო. ახლა იმაზე ვფიქრობ, ფორმულა 1-ისა და ჩვენი პარტნიორების ინტერესებიდან გამომდინარე, როგორ დავასრულოთ ეს საქმე. საკუთარი მოქმედების გეგმა უკვე დასახული მაქვს, მაგრამ მაინც უნდა გავიარო კონსულტაციები ჩვენს აქციონერებთან, რათა ერთობლივი გადაწყვეტილება მივიღოთ - გავაპროტესტოთ მკაცრი სასჯელი და ყველაფერი ისე დავტოვოთ, როგორც არის.

სკანდალის კვალდაკვალ

# არანაირი აპელაცია

"მაკლარენმა" უკან გაიხმო საკუთარი აპელაცია, რომლითაც ის უნგრეთის დიდი პრიზის კვალიფიკაციაზე მომხდარი ინციდენტის გამო დაკლებული ქულების დაბრუნებას მოითხოვდა. იმ ინციდენტის დროს, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, ესპანელმა **ფერნანდო ალონსომ** ბოქსში შეაყოვნა ბრიტანელი თანაგუნდელი **ლუის ჰემილტონი**, ვინც ამის გამო, ბოლო სწრაფ წრეზე გასვლა ველარ მოასწრო.

უნგრეთში დაკარგული 15 ქულა (რბოლა ჰემილტონმა მოიგო, ალონსო კი მეოთხეზე გავიდა) "მაკლარენს" კონსტრუქტორთა პირველობაზე დააკლდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც სპაიგეიტის საქმე წააგო და ჩემპიონატიდან მოიხსნა, გუნდს ის ქულები თითქოს აღარაფერში სჭირდებოდა.

მაგრამ საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციამ (ფია) გამოაცხადა, რომ სატელევიზიო და სხვა სახის რეკლამიდან მიღებული შემოსავლების განაწილებისას, "მაკლარენის" მიერ იტალიის დიდ პრიზამდე მოგროვებული ქულები იქნება გათვალისწინებული და ინგლისური გუნდი თავის წილს სწორედ ამ ქულების მიხედვით მიიღებს.

თეორიულად შესაძლებელი იყო, რომ თუ უნგრეთის ქულებს მიიღებდა, "მაკლარენს" იტალიამდე შეიძლება იმაზე მეტი ქულა დაეგროვებინა, ვიდრე ამას "ფერარი" მთელი სეზონის განმავლობაში დააგროვებს. ამით, გუნდი რამდენიმე მილიონს დამატებით მიიღებდა, რაც დაკისრებული ჯარიმის - 100 მილიონი დოლარის გასტუმრებაში დაეხმარებოდა.

მაგრამ, ფია-ს მიერ გუშინ გავრცელებული ინფორმაციით, "მაკლარენმა" თავისი აპელაცია უკან გაიხმო. ოღონდ, ჯერჯერობით არაფერია ცნობილი იმის შესახებ, აპირებს თუ არა ინგლისური საჯინიბო თავისი დისკვალიფიკაციის გასაჩივრებას.

დოპინგი

# ველოსპორტის შეფი სამუდამო დისკვალიფიკაციის მომხრეა

ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტი **პატრიკ მაკქუეიდი** დოპინგზე ჩავარდნილი ველომრბოლების სამუდამო დისკვალიფიკაციით დასჯის მომხრეა. ის იმედოვნებს, რომ სანქციების გამკაცრების მეშვეობით, ველომრბოლელებს დოპინგის გამოყენების სურვილს დააკარგვინებს.

*"მარტო ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, დოპინგის გამო, სასჯელს სამუდამო დისკვალიფიკაციამდე გავამკაცრებდი. ყველა სხვა შემთხვევაში, დოპინგთან ბრძოლის საქმეში ჩვენ ყოველთვის დამარცხებულები ვიქნებით"*, - ბიბისის გადაცემა "ინსაიდ სპორტთან" საუბარში განაცხადა მაკქუეიდმა.

ადრე ის ამბობდა, რომ დოპინგზე პირველად ჩავარდნილებისთვის ორწლიანი დისკვალიფიკაცია დოპინგთან ბრძოლის ეფექტური საშუალებაა. მაგრამ ბოლო ორ სეზონში მომხდარმა სკანდალებმა მაკქუეიდს აზრი რადიკალურად შეაცვლევინა. ის თვლის, რომ თუ ველომრბოლს ეცოდინება, რომ გამოჭერის შემთხვევაში, მას პროფესიის შეცვლა მოუწევს, ის პრეპარატების გამოყენებას მოერიდება.

დოპინგსკანდალებით განსაკუთრებით გადატვირთული იყო წლევანდელი ტურ დე ფრანსი, რომლის მსვლელობისას, დოპინგზე ჩავარდა მთავარი ფავორიტი, ყაზახი **ალექსანდრ ვინოკუროვი,** მოგვიანებით კი, ჰოლანდიურმა გუნდმა "რაბობანკმა", ისევ და ისევ დოპინგსკანდალის გამო, ასპარეზობიდან მოხსნა ყვითელი მაისურით მოასპარეზე დანიელი **მიქაელ რასმუსენი**. მოგვიანებით, კიდევ ორმა ველომრბოლმა ჩააგდო ტესტი, ტურის ახალ ჩემპიონს, ესპანელ **ალბერტო კონტადორს** კი დოპინგთან დაკავშირებულ ბრალდებათა გამო, თავის მართლება დასჭირდა.

არანაკლებ სკანდალური იყო შარშანდელი ტურიც, რომლის სტარტზე საერთოდ არ დაუშვეს რბოლის ფავორიტები - იტალიელი **ივან ბასო** და გერმანელი **იან ულრიხი**. ამჟამად ბასო დისკვალიფიკაციას იხდის, ულრიხი კი სპორტიდან წავიდა, თუმცა არსებობს საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ 1997 წელს როცა ტური მოიგო, ის დოპინგს იყენებდა. შარშანდელ ტურზევე მონაწილეობა ვერ მიიღო ვინოკუროვმაც, ვისი თანაგუნდელების უმეტესობაც დოპინგსკანდალ ოპერასიონ პუერტოში იყო გარეული და რბოლაში მარტო ყაზახის მონაწილეობას აზრი არ ჰქონდა.

სხვათა შორის, წლევანდელი ტურის დროს აღებულები სინჯები რამდენიმე წლით ინახება, რათა მოგვიანებით, როცა დოპინგთან მებრძოლები ახალ, უფრო სრულყოფილ ტესტებს შეიმუშავებენ, ისინი ხელახლა შეამოწმონ.

სხვათა შორის, სპორტის ოლიმპიურ სახეობათა შორის ველოსპორტი დოპინგთან ბრძოლის ავანგარდში იმყოფება. სპორტის ამ სახეობაში დოპინგთან ბრძოლის ყველაზე მკაცრი ნორმები მოქმედებს, რის გამოც ველომრბოლთა პირადი ცხოვრება უკიდურესად შეზღუდულია. მაგრამ ბევრი სპეციალისტი, მათ შორის მაკქუეიდიც, თვლის, რომ გატარებული ზომები არასაკმარისია.

■■■

დასასრულს მიუახლოვდა ტურის შარშანდელი ჩემპიონის, ამერიკელი **ფლოიდ ლენდისის** საქმე. აშშ-ის სპორტის საქმეთა საარბიტრაჟო სასამართლომ დაასრულა საქმესთან დაკავშირებული მასალების შესწავლა და მხარეების არგუმენტების მოსმენა. უფრო მეტიც, გადაწყვეტილება მიღებულია და მას ამ დღეებში გამოაცხადებენ.

შეგახსენებთ, რომ ლენდისისგან ტურის დროს აღებულ ერთ-ერთ სინჯში შემოწმებამ ჰორმონ ტესტოსტერონის ჭარბი დონე დააფიქსირა. ლენდისი ამბობს, რომ აღნიშნული შედეგი პარიზის მახლობლად მდებარე ლაბორატორიის თანამშრომელთა მიერ დაშვებული შეცდომების შედეგია.



პატრიკ მაკქუეიდი

თუ ბრალი დაუმტკიცდა, ლენდისი ტურის ჩემპიონის წოდებასაც დაკარგავს და ორწლიანი დისკვალიფიკაციითაც დაისჯება.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

### ვუელტა

**მე-16 ეტაპი. ხაენიდან პუერტოლანომდე (165 კმ)**

1. ლეონარდო დუკე (კოლუმბია, კოფიდისი) 4:00.39 (41.147 კმ/სთ); 2. ალექსანდრ კოლობნევი (რუსეთი, CSC) იგივე დროში; 3. ხოან ორაჩი (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) იგივე დროში; 4. კოლდო ფერნადესი (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი) 0.06; 5. ლეონარდო ბერტანიოლი (იტალია, ლიკიგაზი) 0.06; 6. ხავიერ მეგიას ლეალი (ესპანეთი, სონიე დიუვალ-პროდირი) 0.06; 7. სებასტიან მინარი (საფრანგეთი, კოფიდისი) 0.06; 8. დავიდ ლოპესი (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 0.06; 9. ჟან-მარკ მარინო (საფრანგეთი, კრედიტ აგრიკოლი) 0.06; 10. ხოსე რუის სანჩესი (ესპანეთი, ანდალუსია-კაიასური) 0.06...

**კლასიფიკაცია 16 ეტაპის შემდეგ**

1. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) 66:40.49; 2. ვლადიმირ ეფიმკინი (რუსეთი, კაისე დ'ეპარნი) 2.01; 3. კეიდელ ევანსი (ავსტრალია, პრედიქტორ-ლოტო) 2.27; 4. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) 3.02; 5. სამუელ სანჩესი (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი) 4.01; 6. ეზეკილ მოსკერა (ესპანეთი, კარპინ-გალისია) 4.35; 7. მანუელ ბელტრანი (ესპანეთი, ლიკიგაზი) 5.15; 8. ვლადიმირ კარპეცი (რუსეთი, კაისე დ'ეპარნი) 6.17; 9. კარლოს ბარედო (ესპანეთი, ქვიკსტეპ-ინერგეტიკი) 6.22; 10. იგორ ანტონი (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი) 7.41...

## [illegible]

### 19 სექტემბერი. ოთხშაბათი

**I არხი**

17:05 ანტიკური ჭიდაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. ბაქო. აზერბაიჯანი (LIVE).
18:20 ანტიკური ჭიდაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. ბაქო. აზერბაიჯანი (LIVE).

**რუსთავი 2**

22:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ბარსელონა-ლიონი (LIVE).
01:20 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. არსენალი-სევილია.

**SPORT 1 (უკრაინა)**

06:59 სპორტდოსიე. თხილამურები.
07:26 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
08:01 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
08:58 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ტურის მიმოხილვა.
09:58 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:55 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. მილანი-ბენფიკა.
12:45 ფეხბურთი. Barca TV.
12:53 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. შალკე-ვალენსია.
14:43 სპორტდოსიე. თხილამურები.
15:10 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-სარაგოსა.
16:54 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ოლიმპიაკოსი-ლაციო.
18:45 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
19:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ჩელსი-რუსენბორგი.
21:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
21:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ტურის მიმოხილვა.
22:15 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
22:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. სპორტინგი-მანჩესტერი (LIVE).
00:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. არსენალი-სევილია.
02:35 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-სარაგოსა.
04:18 სპორტდოსიე. თხილამურები.
04:44 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რეჯინა-რომა.
06:27 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.

**EUROSPORT**

10:30 ექსტრემალური სპორტი.
11:00 ველოსპორტი. ვუელტა. XVI ეტაპი.
11:30 ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. 62 კგ. ტაილანდი (LIVE).
13:30 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ტურნირი. ნორვეგია-განა. ჩინეთი (LIVE).
15:00 ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. 69 კგ. ტაილანდი (LIVE).
16:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ტურნირი. [illegible]ნია. ჩინეთი (LIVE).
18:00 ველოსპორტი. ვუელტა. XVII ეტაპი (LIVE).
19:30 ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
20:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
20:15 ტესტ-დრაივი.
21:00 მულტისპორტი.
21:05 ცხენოსნობა. სუპერლიგა. ფინალი. ბარსელონა. ესპანეთი.
22:05 ცხენოსნობა. ბრიტანეთი.
23:35 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
23:40 მულტისპორტი.
23:45 გოლფი. US PGA-ის ტური.
00:45 გოლფი. ევროტური.
01:15 გოლფ-კლუბი.
01:20 აფროსნობა.
01:50 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
01:55 მულტისპორტი.
02:15 ტესტ-დრაივი.
03:00 ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
13:30 მულტისპორტი.
14:00 ახალი ამბები.
16:00 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ფლეი ოფი. ფინალი. ბარსელონა-რეალი. IV მატჩი.
17:00 ხელბურთი. EHF-ის თასი. ფინალი. მაგდებურგი (გერმანია)-არაგონი (ესპანეთი).
18:00 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი. პოლონეთი-ჰოლანდია.
19:00 გოლფი. ევროპის ჩემპიონატი. ამსტერდამი. ჰოლანდია.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ექსტრემალური სპორტი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 ექსტრემალური სპორტი.
22:30 ტიმბერსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანია.
23:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ჰოლანდიის გრან-პრი.
00:00 პრო-რესტლინგი.
01:30 მულტისპორტი.
02:00 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**უეფას თასი**

**I რაუნდი. I მატჩი**

| | |
|---|---|
| ლიტექსი-ჰამბურგი | 0:1 |

**მსოფლიო ჩემპიონატი**

**ქალები**

| | |
|---|---|
| ნიგერია-აშშ | 0:1 |
| ჩრ. კორეა-შვედეთი | 1:2 |

**ინგლისი**

**ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| სკანთორფი-პრესტონი | 2:1 |
| ბლეკპული-შეფილდი | 2:2 |
| ბრისტოლი-ვესტ ბრომვიჩი | 1:1 |
| უენსდი-ბარნლი | 0:2 |
| სტოკი-ბარნსლი | 0:0 |
| ვულვზი-ჰალი | 0:1 |
| ჩარლტონი-ნორვიჩი | 2:0 |
| კრ. პალასი-ქოვენთრი | 1:1 |
| ქუინზ პარკი-პლიმუტი | 0:2 |

**I ლიგა**

| | |
|---|---|
| ჩელტენემი-სუონსი | 1:2 |

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| ალდერშოტი-იორკი | 2:0 |
| ალტრინჩემი-კემბრიჯი | 0:3 |
| ბარტონი-ებსფლიტი | 1:1 |
| ქროული-უოკინგი | 5:3 |
| ექსეტერი-ფორესტ გრინი | 3:3 |
| ჰალიფაქსი-ნორთვიჩი | 3:1 |
| ჰისტონი-ტორკი | 4:5 |
| კიდერმინსტერი-დროილსდენი | 3:1 |
| სალისბერი-სტეფორდი | 1:0 |
| სტივენეიჯი-ფარსლი | 4:0 |
| უეიმაუთი-რაშდენი | 1:2 |

**ინგლისი**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ნოტინგემი-ლესტერი | 2:3 |

**იტალია**

**სერია B**

| | |
|---|---|
| ბრეშა-პიაჩენცა | 2:0 |

**შოტლანდია**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ეირდრი-დანფერმლაინი | 0:2 |
| ეირი-პარტიკი | 1:1 დ.დ. 2:1 |
| ისტ სტირლინგი-მორტონი | 0:4 |
| სტ. ჯონსტონი-ბრეჩინი | გადაიდო |

**შვედეთის თასი**

| | |
|---|---|
| იორგრიტე-ოსტერსი | 0:0 |

**პოლონეთი**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ლეგია-რუხი | 0:0 |
| პოლონია-ზაგლებე | 2:0 |
| იაგელონია-კრაკოვია | 0:1 |
| ვიძევი-კორონა | 3:1 |

### ჰოკეი

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| კაიპა-ტპს | 0:3 |
| კიეკო-პელიკანსი | 2:4 |
| ტაპარა-ლუკო | 2:2 ო.ტ. 3:2 |
| ჰპკ-ილვესი | 3:2 |
| ესეტი-კერპეტი | 2:0 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| დავოსი-ლანგნაუ | 7:4 |
| ჟენევა-ბაზელი | 8:2 |

### ჩოგბურთი

**WTA. კოლკატა**

| | |
|---|---|
| როდიონოვა-სრომოვა | 6:3, 6:2 |
| ამანმურადოვა-გალოვიტცი | 6:2 ტრავმა |
| პუტჩეკი-კუდრიავცევა | 6:3, 6:3 |
| არვიდსონი-ბრიანტი | 6:2, 7:5 |
| შვედოვა-ობზილერი | 6:7, 7:6, 1:6 |
| რაო-გუმულია | 2:6, 6:4, 6:2 |
| ბარტოლი-კინგი | 1:6, 5:7 |

**WTA. პორტოროჟი**

| | |
|---|---|
| დეში-კერბერი | 6:3, 3:6, 7:6 |
| ზვონარევა-სანჩესი | 6:3, 6:3 |
| კნაპი-ვორაკოვა | 4:6, 6:1, 7:6 |
| ლუა-არნი | 6:2, 6:4 |
| ბამერი-მოისბურგერი | 6:2, 6:1 |
| შონესი-რიბარიკოვა | 6:1, 6:4 |
| ვიერინი-ლაპუშჩენკოვა | 6:0, 6:1 |
| კამერინი-ბენეშოვა | 2:6, 6:2, 6:7 |
| დუშევინა-ოჟეგოვიჩი | 6:2, 6:1 |
| კლეპაჩი-ვრლიიჩი | 2:6, 4:6 |

**WTA. პეკინი**

| | |
|---|---|
| დანიილიდუ-გოვორცოვა | 6:2, 6:1 |
| ნაკამურა-დომინგეს ლინო | 6:1, 7:6 |
| მედინა გარიგესი-მორიგამი | 1:6, 6:7 |
| რუანო პასკუალი-პუჩკოვა | 6:1, 6:1 |
| პენგი-შუ | 6:1, 6:4 |
| იან ჟი-სპირსი | 5:7, 3:6 |
| ოლარუ-მიულერი | 6:2, 4:6, 6:4 |
| ჰინგისი-სუნი | 6:2, 6:3 |
| შავაი-ერაკოვიჩი | 7:5, 6:3 |

## ჩოგბურთი

რეიტინგები

| ATP-ის რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 7605 |
| 2(2). რაფაელ ნადალი (ესპ) | 5385 |
| 3(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 4295 |
| 4(4). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 3255 |
| 5(5). ენდი როდიკი (აშშ) | 2540 |
| 6(7). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 2360 |
| 7(6). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2290 |
| 8(8). დავიდ ფერერი (ესპ) | 1940 |
| 9(11). ტომი რობრედო (ესპ) | 1935 |
| 10(9). ტომას ბერდიჩი (ჩეხ) | 1925 |
| 11(10). ტომი ჰაასი (გერ) | 1880 |
| 12(12). ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 1850 |
| 13(13). გილერმო კანიასი (არგ) | 1633 |
| 14(14). რიშარ გასკე (საფ) | 1625 |
| 15(15). კარლოს მოია (ესპ) | 1620 |
| 16(16). ხუან იგნასიო ჩელა (არგ) | 1465 |
| 17(17). მიხაილ იუჟნი (რუს) | 1465 |
| 18(19). ენდი მარეი (ბრიტ) | 1345 |
| 19(20). ხუან მონაკო (არგ) | 1320 |
| 20(18). მარკოს ბაღდატისი (კვი) | 1295 |

| ATP-ის საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 1171 |
| 2(2). რაფაელ ნადალი (ესპ) | 1012 |
| 3(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 802 |
| 4(4). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 485 |
| 5(5). ენდი როდიკი (აშშ) | 466 |
| 6(6). დავიდ ფერერი (ესპ) | 382 |
| 7(11). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 331 |
| 8(7). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 321 |
| 9(8). ტომი ჰაასი (გერ) | 316 |
| 10(9). კარლოს მოია (ესპ) | 315 |
| 11(10). ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 314 |
| 12(12). ტომი რობრედო (ესპ) | 304 |
| 13(13). ტომას ბერდიჩი (ჩეხ) | 290 |
| 14(14). მიხაილ იუჟნი (რუს) | 281 |
| 15(15). ხუან იგნასიო ჩელა (არგ) | 279 |
| 16(16). რიშარ გასკე (საფ) | 266 |
| 17(17). გილერმო კანიასი (არგ) | 265 |
| 18(18). მარკოს ბაღდატისი (კვი) | 258 |
| 19(19). ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა) | 256 |
| 20(20). ხუან მონაკო (არგ) | 251 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 7 063 620 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპ) | 4 344 435 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 3 057 150 |
| 4. ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 1 417 775 |
| 5. ენდი როდიკი (აშშ) | 1 224 120 |
| 6. ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 1 106 430 |
| 7. დავიდ ფერერი (ესპ) | 1 033 452 |
| 8. ტომაშ ბერდიჩი (ჩეხ) | 993 070 |
| 9. ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 893 045 |
| 10. მიხაილ იუჟნი (რუს) | 889 625 |
| 11. ტომი ჰაასი (გერ) | 887 150 |
| 12. ხუან იგნასიო ჩელა (არგ) | 871 515 |
| 13. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 853 985 |
| 14. ტომი რობრედო (ესპ) | 840 347 |
| 15. კარლოს მოია (ესპ) | 826 880 |
| 16. რიშარ გასკე (საფ) | 819 440 |
| 17. გილერმო კანიასი (არგ) | 792 165 |
| 18. მაიკ ბრაიანი (აშშ) | 737 185 |
| 19. ბობ ბრაიანი (აშშ) | 733 360 |
| 20. მარკოს ბაღდატისი (კვიპ) | 712 755 |

| WTA-ს რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). ჟუსტინ ანენ-არდენი (ბელ) | 5200 |
| 2(2). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 3734 |
| 3(3). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 3365 |
| 4(4). მარია შარაპოვა (რუს) | 3235 |
| 5(5). ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 2940 |
| 6(6). ანა ივანოვიჩი (სერ) | 2925 |
| 7(7). სერენა უილიამსი (აშშ) | 2391 |
| 8(8). ნადია პეტროვა (რუს) | 2266 |
| 9(9). ვენუს უილიამსი (აშშ) | 2215 |
| 10(11). ამელი მორესმო (საფ) | 2062 |
| 11(12). დან. ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 2012 |
| 12(10). მარიონ ბარტოლი (საფ) | 1999 |
| 13(13). პატი შნიდერი (შვეიც) | 1737 |
| 14(14). ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 1736 |
| 15(15). ელენა დემენტიევა (რუს) | 1686 |
| 16(16). შაარ პეერი (ისრ) | 1678 |
| 17(17). დინარა საფინა (რუს) | 1674 |
| 18(18). მარტინა ჰინგისი (შვეიც) | 1673 |
| 19(19). ტატიანა გოლოვინი (საფ) | 1414 |
| 20(20). სიბილ ბამერი (ავსტრია) | 1298 |

| WTA-ს საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ანენი (ბელ) | 4675 |
| 2. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 3725 |
| 3. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 3246 |
| 4. ანა ივანოვიჩი (სერ) | 2847 |
| 5. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 2556 |
| 6. მარია შარაპოვა (რუს) | 2430 |
| 7. სერენა უილიამსი (აშშ) | 2391 |
| 8. ვენუს უილიამსი (აშშ) | 2190 |
| 9. მარიონ ბარტოლი (საფ) | 1802 |
| 10. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 1801 |
| 11. ნადია პეტროვა (რუს) | 1788 |
| 12. დინარა საფინა (რუს) | 1667 |
| 13. შაარ პეერი (ისრ) | 1588 |
| 14. პატი შნიდერი (შვეიც) | 1555 |
| 15. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 1511 |
| 16. ელენა დემენტიევა (რუს) | 1447 |
| 17. ამელი მორესმო (საფ) | 1406 |
| 18. სიბილ ბამერი (ავსტრია) | 1370 |
| 19. მარტინა ჰინგისი (შვეიც) | 1337 |
| 20. ტატიანა გოლოვინი (საფ) | 1218 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ანენი (ბელ) | 4 092 676 |
| 2. სერენა უილიამსი (აშშ) | 1 946 491 |
| 3. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 1 855 242 |
| 4. ვენუს უილიამსი (აშშ) | 1 800 437 |
| 5. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 1 595 067 |
| 6. ანა ივანოვიჩი (სერ) | 1 549 349 |
| 7. მარია შარაპოვა (რუს) | 1 243 420 |
| 8. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 1 095 261 |
| 9. მარიონ ბარტოლი (საფ) | 1 037 645 |
| 10. დან. ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 868 417 |
| 11. დინარა საფინა (რუს) | 778 052 |
| 12. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 768 503 |
| 13. შაარ პეერი (ისრ) | 744 595 |
| 14. მარა სანტანჯელო (იტა) | 669 662 |
| 15. ლიზელ ჰუბერი (აშშ) | 644 084 |
| 16. კატ. სრებოტნიკი (სლოვენ) | 637 772 |
| 17. ნადია პეტროვა (რუს) | 634 502 |
| 18. კარა ბლეკი (ზიმ) | 621 892 |
| 19. მარტინა ჰინგისი (შვეიც) | 618 065 |
| 20. პატი შნიდერი (შვეიც) | 616 037 |



მილანი-ბენფიკა. კალაძე და ნესტა კარდოზოს წინააღმდეგ



რეალი-ვერდერი. ვან ნისტელროი და ბაუმანი

## A ჯგუფი

### პორტუ-ლივერპული 1:1

პორტუ: ნუნუ, ბრუნო ალვეში, მ. ჩეხი, ჟოაო პაულო, ასუნსაო, ბოსინგვა, ლუჩო გონსალესი, რაულ მეირელეში (64. მარიანო გონსალესი), კვარეშმა, სექტიუი (64. ფარიასი), ლისანდრო ლოპესი.

ლივერპული: რეინა, ჰიიპია, კარაგერი, ფინენი, არბელოა, მასკერანო, პენანტი, ჯერარდი, ბაბელი (85. ფაბიო აურელიო), ფერნანდო ტორესი (76. ვორონინი), კუიტი.

გოლები: 1:0 ლუჩო გონსალესი (8-პენ), 1:1 კუიტი (17)

გაძევება: პენანტი (58. ლივერპული)

მაყურებელი: 41 000

არბიტრი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო: პორტუ**
**პირველი ჯარიმა: ლივერპული**
**პირველი კუთხური: პორტუ**
**პირველი გაფრთხილება: პორტუ**

| | | |
|---|---|---|
| 14 (4) | დარტყმა | 2 (1) |
| 14 | ჯარიმა | 21 |
| 10 | კუთხური | 1 |
| 1 | გაფრთხილება | 4 |
| 58% | ბურთის ფლობა | 42% |

### მარსელი-ბეშიქთაში 2:0

მარსელი: მანდანდა, ტაივო, ჟ. როდრიგესი, ფატი, ბონარი, ზიანი, ზენდენი (76. ვალბუენა), კანა, ნასრი (88. მ'ბამი), ჯ. სისე, ნიანგი (86. გრანიკი).

ბეშიქთაში: ჰაქანი, სერდარ ქურთულუში (26. იბრაჰიმ ქაში), იბრაჰიმ თორამანი, დიატა, ე. სისე, იბრაჰიმ უზულმეზი, ტელო, სერდარ იოზქანი, რიკარდინიო (44. ქორაი), ბობო, დელგადო (75. ფ. იგუაინი).

გოლები: 1:0 ჟ. როდრიგესი (76), 2:0 ჯ. სისე (90)

მაყურებელი: 47 000

არბიტრი: მატეო ტრეფოლონი (იტალია)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო: მარსელი**
**პირველი ჯარიმა: მარსელი**
**პირველი კუთხური: მარსელი**
**პირველი გაფრთხილება: მარსელი**

| | | |
|---|---|---|
| 15 (5) | დარტყმა | 5 (1) |
| 17 | ჯარიმა | 13 |
| 8 | კუთხური | 2 |
| 5 | გაფრთხილება | 2 |
| 50% | ბურთის ფლობა | 50% |

## B ჯგუფი

### ჩელსი-რუსენბორგი 1:1

ჩელსი: პ. ჩეხი, ბელეტი, ალექსი, ტერი, ე. კოული (74. ბენ ჰაიმი), ჯ. კოული (74. რაიტ-ფილიპსი), ესიენი, მაკელელე, მალუდა, კალუ, შევჩენკო.

რუსენბორგი: ჰირშფელდი, კოპინენი, ბასმა (46. კვარმე), დორსინი, რიზეტი, სკილბრედი (85. ივერსენი), ტეტეი, საპარა (69. ია), სტრანდი, ი. კონე, ა. ტრაორე.

გოლები: 0:1 კოპინენი (24), 1:1 შევჩენკო (53)

მაყურებელი: 24 973

არბიტრი: ლორან დუამელი (საფრანგეთი)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო: რუსენბორგი**
**პირველი ჯარიმა: ჩელსი**
**პირველი კუთხური: ჩელსი**
**პირველი გაფრთხილება: რუსენბორგი**

| | | |
|---|---|---|
| 29 (5) | დარტყმა | 9 (3) |
| 19 | ჯარიმა | 19 |
| 8 | კუთხური | 2 |
| 1 | გაფრთხილება | 2 |
| 63% | ბურთის ფლობა | 37% |

### შალკე-ვალენსია 0:1

შალკე: ნოიერი, რაფინია (73. გროსმიულერი), ვესტერმანი, ბორდონი, პანდერი, ჯოუნსი, ფ. ერნსტი, ჰალილ ალთინთოფი (73. ლოვენკრანდსი), რაკიტიჩი, ასამოა (61. იოზილი), კურანი.

ვალენსია: კანისარესი, მიგელი, ივან ელგერა, ალბიოლი, მარჩენა, მორეტი, ალბელდა, ანგულო (75. ხოაკინი), დავიდ სილვა, მორიენტესი (80. არისმენდი), ვილია (90. სანი).

გოლი: 0:1 ვილია (63)

მაყურებელი: 53 951

არბიტრი: იან ვეგერეეფი (ჰოლანდია)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო: ვალენსია**
**პირველი ჯარიმა: ვალენსია**
**პირველი კუთხური: შალკე**
**პირველი გაფრთხილება: ვალენსია**

| | | |
|---|---|---|
| 12 (4) | დარტყმა | 7 (4) |
| 15 | ჯარიმა | 15 |
| 4 | კუთხური | 0 |
| 2 | გაფრთხილება | 3 |
| 51% | ბურთის ფლობა | 49% |

## C ჯგუფი

### რეალი-ვერდერი 2:1

რეალი: კასილიასი, სერხიო რამოსი, კანავარო, მეტცელდერი, მარსელო, სნეიდერი, გ. იგუაინი (69. რობინიო), გუტი (77. დრენტე), გაგო, რაული (84. რობენი), ვან ნისტელროი.

ვერდერი: ვიზე, პასანენი, მერტეზაკერი, ნალდო, ტოშიჩი, ბაუმანი, ვრანიეში, დ. იენსენი, დიეგო, სანოგო, როზენბერგი (69. უგო ალმეიდა).

გოლები: 1:0 რაული (16), 1:1 სანოგო (17), 2:1 ვან ნისტელროი (74)

მაყურებელი: 65 000

არბიტრი: ჰოვარდ უები (ინგლისი)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო: ვერდერი**
**პირველი ჯარიმა: რეალი**
**პირველი კუთხური: რეალი**
**პირველი გაფრთხილება: ვერდერი**

| | | |
|---|---|---|
| 18 (9) | დარტყმა | 16 (6) |
| 10 | ჯარიმა | 15 |
| 5 | კუთხური | 2 |
| 1 | გაფრთხილება | 2 |
| 61% | ბურთის ფლობა | 39% |

### ოლიმპიაკოსი-ლაციო 1:1

ოლიმპიაკოსი: ნიკოპოლიდისი, დომი, პაცაცოგლუ (80. კოვაჩევიჩი), სტოლტიდისი, გალეტი, ჟევლაკოვი, ლუა ლუა, ანცასი, ტოროსიდისი, კ. რაულ ლედესმა, ჯორჯევიჩი.

ლაციო: ბალოტა, კრიბარი, სტენდარდო, ძაური, დე სილვესტრი (81. დე სილვესტრი), კ. ლედესმა, მუდინგაი, მანფრედინი (70. დელ ნერო), მაური (61. მუტარელი), პანდევი, როკი.

გოლები: 1:0 გალეტი (55), 1:1 ძაური (77)

მაყურებელი: 0 (დისკვალიფიკაცია)

არბიტრი: ერიკ ბრამჰაარი (ჰოლანდია)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო: ლაციო**
**პირველი ჯარიმა: ლაციო**
**პირველი კუთხური: ოლიმპიაკოსი**
**პირველი გაფრთხილება: ოლიმპიაკოსი**

| | | |
|---|---|---|
| 15 (6) | დარტყმა | 11 (8) |
| 20 | ჯარიმა | 10 |
| 11 | კუთხური | 3 |
| 1 | გაფრთხილება | 3 |
| 51% | ბურთის ფლობა | 49% |

## D ჯგუფი

### მილანი-ბენფიკა 2:1

მილანი: დიდა, ოდო (81. ბონერა), ნესტა, კალაძე, იანკულოვსკი, ამბროზინი, პირლო, გატუზო, ზეედორფი (75. ემერსონი), კაკა, ინძაგი (84. ჯილარდინო).

ბენფიკა: კუიმი, ლუიშ ფილიპე, მიგელ ვიტორი (73. ბინია), ედკარლუში, ლეო, კაცურანისი, რუი კოშტა (87. ნუნუ ასისი), მაქსი პერეირა, კ. როდრიგესი, დი მარია, კარდოზო (63. ნუნუ გომეში).

გოლები: 1:0 პირლო (9), 2:0 ინძაგი (24), 2:1 ნუნუ გომეში (92)

მაყურებელი: 38 358

არბიტრი: მაიკ რაილი (ინგლისი)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო: მილანი**
**პირველი ჯარიმა: ბენფიკა**
**პირველი კუთხური: ბენფიკა**
**პირველი გაფრთხილება: ბენფიკა**

| | | |
|---|---|---|
| 21 (10) | დარტყმა | 12 (5) |
| 18 | ჯარიმა | 22 |
| 6 | კუთხური | 4 |
| 1 | გაფრთხილება | 1 |
| 55% | ბურთის ფლობა | 45% |

### შახტარი-სელტიკი 2:0

შახტარი: პიატოვი, კუჩერი, სრნა, რაცი, ჰიუბშმანი, ფერნანდინიო (86. დულიაი), ლევანდოვსკი, ჟადსონი (65. ჟადსონი), ილსინიო, ბრანდაუ, ლუკარელი (70. გლადკი).

სელტიკი: ბორუცი, კოლდუელი, მაკმანუსი, ნეილორი, უილსონი, ნაკამურა (65. მაკგიდი), ჰარტლი, დონატი, ს. ბრაუნი, ვენეგოორი (85. ჟურავსკი), მაკდონალდი (68. კილენი).

გოლები: 1:0 ბრანდაუ (5), 2:0 ლუკარელი (8)

მაყურებელი: 28 500

არბიტრი: ალბერტო მალენკო (ესპანეთი)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო: შახტარი**
**პირველი ჯარიმა: სელტიკი**
**პირველი კუთხური: სელტიკი**
**პირველი გაფრთხილება: სელტიკი**

| | | |
|---|---|---|
| 19 (8) | დარტყმა | 9 (3) |
| 13 | ჯარიმა | 13 |
| 5 | კუთხური | 5 |
| 1 | გაფრთხილება | 1 |
| 55% | ბურთის ფლობა | 45% |



შახტარი-სელტიკი. დონეცკელები სკოტებს თავზე წამოაჯდნენ



ჩელსი-რუსენბორგი. ბელეტის ტრაორეს წინააღმდეგ უჭირდა

ეროვნული სპორტული გაზეთი

განახლებულია ბადრი პატარკაციშვილის ხელშეწყობით

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართი
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62,
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
53-39-11
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა